ISSN 0130—1624

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცრემლა

ივნისი
№ 6 1989

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მრისხანე
გაზაფხული

მრისხანე, ავბედითი გაზაფხული დაუდგა საქართველოს. ცხრა აპრილის ტრაგედიის შემდეგ აღარც ბუნებამ დაგვინდო. ღვთის რისხვასავით დაგვატყდა თავს ახალი უბედურება. გამძვინვარებულმა სტიქიამ ნგრევა და მსხვერპლი მოგვიტანა. მიწის, ქვების, ხე-ტყის მასის ქვეშ აღმოჩნდნენ ხულოს, ქედისა და შუახევის რაიონების სოფლები წაბლანა, ტბეთი, ჩაო, ვაშლოვანი, ღორჯომელაძეები, ირემაძეები, ფაჩხა, ფუშრუკაული და სხვ. განადგურდა ბევრი საცხოვრებელი სახლი. დარჩენილთა უმრავლესობა უვარგისია საცხოვრებლად. საშიშ ზონაში იმყოფება ათასობით ოჯახი. ამ მაისისათვის გადასახლებული იქნა 3000-მდე კაცი. დაიკარგა ათასობით ჰექტარი მიწა. სახალხო მეურნეობისათვის მიყენებულმა ზარალმა 10 მილიონ მანეთამდე მიაღწია. არის ადამიანთა მსხვერპლიც.

საძიებო აღდგენითი სამუშაოების შედეგად ნაპოვნია დაღუპულთა გვამები. ეს სამუშაოები კვლავაც გრძელდება.

გადაწყდა, რომ დაზარალებულები, რომელთა რიცხვი 20 ათას კაცს აღწევს, დაასახლონ ახალქალაქის, ახალციხის, ბოგდანოვკის, დმანისის, სიღნაღის, წალკის და საქართველოს სხვა რეგიონებში.

სტიქიური უბედურებისაგან დაზარალებულთა დასახმარებლად გახსნილია სპეციალური ანგარიში: № 000700969.

ჟურნალ „დროშის“ რედაქციის კოლექტივი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს მთიან აჭარაში დატრიალებული ტრაგედიის გამო და სამძიმარს უცხადებს დაღუპულთა ოჯახებს, ნათესავებს, ახლობლებს.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროშა

№6 ივნისი, (630), 1989

ჟურნალი გამოდის 1923 წლიდან

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

ნ ო მ ე რ შ ი ა:

ოთარ ქინქლაძე. მწუხრისა და განკითხვის ჟამი.

მაია გელუტაშვილი. ოდეს კაცსა დაეჭირვოს...

ეთერ ლონდარიძე. მლერის მედია ძიძიგური.

არნოლდ გეგეჭკორი. ჰაერის ქალწულები.

ოთარ ხუციშვილი. მძიმე ტვირთი.

რემ დავიდოვი. ყორღანოვის ქ. № 20.

ვლადიმირ ტენდრიაკოვი. კაცნი და არაკაცნი (თარგმანი).

კახაბერ სურგულაძე. ელადის მიწაზე.

ანდრე კარგელაშვილი. ოცნება და სინამდვილე ვიდეოტელეფონზე.

კროსვორდი.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა

© „დროშა“, 1989 წ.

მ თ ა ვ ა რ ი რ ე დ ა ქ ტ ო რ ი

ოთარ ქინქლაძე

სა რ ე დ ა ქ ც ი ო კ ო ლ ე გ ი ა:

გულნარა გახტაძე (პ/მგ. მდივანი), ოთარ ბერიშვილი, ვასილ გვეტაძე, ნათელა გიორგობიანი, ოთარ დემეტრაშვილი, სერგო დურმიშიძე, ვახტანგ ესვანჯია, ჯემალ მეხრიშვილი, დინარა ნოდია (მხატვარ-რედაქტორი), თენგიზ სამსონაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1989 წელი. 9 აპრილი.
სისხლიანი კვირა.
ჩვენს თავს დატრიალებული საზარელი ტრაგედია.
მოხდა ის, რაც არ უნდა მომხდარიყო და შეიძლებოდა არ მომხდარიყო.
არ უნდა მომხდარიყო.
ახლა, ამ მწუხრის ჟამს, რომელიც აჩრდილივით თან გვდევს და მოსვენებას არ გვაძლევს, კვლავ გლოვის ზარი რეკს.
ეს გლოვა კვლავაც გაგვყვება.
იმიტომ რომ, დაიღვარა უიარაღო და უდანაშაულო ქართველი ბიჭებისა და გოგონების უმანკო სისხლი.
მე ამ სტრიქონებს მგლოვიარე ვწერ და ისევ და ისევ ვუბრუნდები იმ მღელვარე დროს, რომელიც ამ საბედისწერო დღისაკენ მოგვაქანებდა.
ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოსო.
საქმე!
ვერ ვაკეთეთ.
ჩემი საქმე პუბლიცისტიკაა და მეც ვფურცლავ ჟურნალ „დროშის“ ბოლო ნომრებში დასტამბულ წერილებს.
ერთად გადავფურცლოთ.

●

„დროშა“. 1989 წელი. იანვარი. № 1:
— პოზიცია ყოველთვის ოპოზიციას როდი ნიშნავს და ისიც მართალია, რომ სიტყვა საქმეა. ზოგჯერ მეტად მნიშვნელოვანიც, მაგრამ გაუთავებელი, მით უფრო რეალობას მოკლებული ლაპარაკიც ბოლოსდაბოლოს მომაბეზრებელი ხდება. მე იმის შშიც გამიჩნდა, რომ ზოგიერთი ჩვენთაგანის არაფრისმთქმელმა და რეალობას მოკლებულმა გაუთავებელმა ლაპარაკმა ზიანი არ მიაყენოს ეროვნული თვითშეგნების მატარებელ ახალგაზრდულ მოძრაობას და არ შელახოს მისი ავტორიტეტი.

●

„დროშის ბიბლიოთეკა“. 1989 წელი. იანვარი-მარტი. № 1:
— ერთი შეხედვით საკმაოდ მიმზიდველი და საოცნებო, მაგრამ პრაქტიკულად განუხორციელებელი ბევრი მოწოდებისა და ლოზუნგის მომწრეც ვყოფილვართ და არც გულგატეხილობის მწარე გაკვეთილები გვაკლია, მაგრამ ჭკუა კი ვერა და ვერ ვისწავლეთ.
ახლაც ასეა.
აქაოდა ის დრო დადგა, როცა შეგვიძლია ყველაფერი თქვა, რაც ენაზე მოგადგება და თან ისიც დააყოლო, რომ ყურებზე ხახვს ვერავინ დამაჭრისო — ვერაფერი ეროვნული თვითშეგნების მაჩვენებელია ეს.
ასე მგონია მე.
და იმიტომ კი არ მგონია, რომ სათქმელი არაფერი მაქვს. არაფერი ეროვნული არ მაწუხებდეს, არაფერი მტკიოდეს ან არც რაიმე პერსპექტივას ვხედავდე იმედიანი თვალით.
არა.
არავის არაფერი შეეშალოს.
ბევრი რამ მაწუხებს, მტკივა კიდეც, მაგრამ იმასაც ვხედავ და ვგრძნობ. რომ გულწრფელად თქმული სიტყვაც კი, რომელიც რეალობას მოკლებული მოწოდების ხასიათს ღებულობს, ვერ გაუწევს რამდენადმე სასარგებლო სამსახურს ჩემს ერსა და მიწა-წყალს...
ილია:
— დღეს ისეთი დროა, რომ თვითეული ჩვენთაგანი უნდა განკითხულ იყოს და პასუხისმგებელი ჩვენი ქვეყნის წინაშე თავისის სიტყვისა და საქმისაებრ და არა იმისებრ, რასაც სხვანი ან დაუდევრობით, ან წინდაუხედაობით თავზე მოგვახვევენ.
ასეა ეს.
თითოეული ჩვენთაგანი უნდა განკითხულ იყოს.
იყოს უნდა პასუხისმგებელი ჩვენი ქვეყნის წინაშე თავისი სიტყვითაც და საქმითაც. და ფხიზლობდეს, რათა თავზე არავინ მოგვახვიოს დაუდევრობითა და წინდაუხედაობით თქმული არც სიტყვა და მით უფრო საქმე.
ვიღაცას ისიც უთქვამს, ქართველებმა სისხლი უნდა დავღვაროთო.
ერიჰა!
ვისი?
რატომ?
რისთვის?
უგუნური, უპასუხისმგებლო, ვერაგული მოწოდებაა ეს.
მე ვიცი როგორ დაიღვარა ქართველების სისხლი 1956 წლის მარტის დღეებში.
ის, ვინც იმ საბედისწერო დღეებში მოსწავლე და სტუდენტ ახალგაზრდობას აქეზებდა, მიტინგებისა და დემონსტრაციებისაკენ მოუწოდებდა, მათ ეროვნულ გრძნობებს ეთამაშებოდა, მერე, როცა ტრაგედია დატრიალდა, სადღაც გაუჩინარდა, ხოლო უაზრო მოწოდებებით დაბრმავებულთა გვამები სასაფლაოსაკენ გაუყენეს.
ასე ხდება ხოლმე ჩვეულებრივად.
ცხრა იანვრის სისხლიანი კვირაც ასე მომხდარა.
უფრო ადრეც.
მერეც.
უგუნურება და ბოროტებაა ახალგაზრდობას სისხლის დაღვრისაკენ მოუწოდო.
ახლა მაინც.

●

„დროშა“. 1989 წელი. თებერვალი. № 2:
— ახლა ჩვენში, და არა მარტო აქ, ფეხს იკიდებს, ძლიერდება, თავის სათქმელს ამბობს ახალგაზრდული მოძრაობა, რომელსაც, ცხადია, თანაგრძნობაც სჭირდება და მხარდაჭერაც. მაგრამ, ისიც ხომ უნდა ითქვას, რომ ყოვლად გაუმართლებელია არაფორმალურ გაერთიანებათა ზოგიერთი მესვეურის არაჯანსაღი წამქეზებლური მოქმედება, რაც ახალგაზრდობის ეროვნულ გრძნობებზე სახიფათო თამაშის ხასიათს ღებულობს.
სახიფათოა იმიტომაც, რომ მე არ მინდა და კატეგორიულად არ მინდა წავიკითხო ქართულ გაზეთში იმდაგვარი რამ, რაც ბაქოელ მოქალაქეებს გამოუცხადა იქაურმა სამხედრო კომენდანტმა.
გენერალ-პოლკოვნიკი მ. ტიაგუნოვი: „როგორც ქალაქ ბაქოს საგანგებო რაიონის სამხედრო კომენდანტი... განვმარტავ რომ, საგანგებო მდგომარეობისა და კომენდანტის საათის შემოღების გამო, აკრძალულია მიტინგებისა და დემონსტრაციების ჩატარება... მიტინგების ჩატარების ხელმძღვანელებისა და სხვა ყველასაგან მოვითხოვ მორჩილებას საბჭოთა კანონებისადმი, კანონით დადგენილი წესებიდან ყოველგვარი გადახვევა აღკვეთილ იქნება ძალით“.
აი, ასე.
და მე არ მინდოდა, თბილისში ასეთი დოკუმენტი შექმნილიყო.
მაინც შეიქმნა.
ასე რომ, ბოლომდე და შედეგიანად ვერც მე მიკეთებია ჩემი საქმე.
რას იზამ!
ძალა აღმართს ხნავს.
ძალზე დასანანია ყოველივე ეს.
მოხდა ის, რაც არავის და არასოდეს არ ეპატიება.
ქართველების ხელით და მათივე „ლოცვა-კურთხევით“ ბევრი ქართველის სისხლი დაღვრილა.
ახლაც ასე მოხდა.
არ უნდა მომხდარიყო.
შეიძლებოდა არ მომხდარიყო.
მაინც მოხდა.
ქართველი ერის ტრაგიკულ ისტორიაში კიდევ ერთი სისხლიანი ფურცელი გაჩნდა.
დამნაშავემ პასუხი უნდა აგოს.
ყველამ და უკლებლივ.
ერის, ქვეყნის, ისტორიის წინაშე.
მე ახლაც სირცხვილი მწვავს და ვერც უსაზღვრო აღშფოთებას, ძალუმ გულისწყრომას ვიოკებ, როცა უკვე მერამდენჯერ ვკითხულობ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს ცნობას, სადაც ნათქვამია რომ, ბოლო დროს მიტინ-

გების, მანიფესტაციის ორგანიზატორები სულ უფრო ხშირად და დაუფარავად მოუწოდებდნენ უწესრიგობისა და გაფიცვებისაკენ, რომელთაც საფრთხე შეუქმნეს საზოგადოებრივ უშიშროებას, მოურიდებლად გაისმოდა მთავრობის გადაყენების, აშკარა ანტისაბჭოთა, ანტისოციალისტური და ანტიკომუნისტური, ჩვენი სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილების შეურაცხმყოფელი ლოზუნგები.

ლოზუნგები და მოწოდებები?

განა რა შესაძლო და რეალური „საფრთხე შეუქმნეს საზოგადოებრივ უშიშროებას“ მავანისა და მავანის მიერ გადმოსროლილმა თუნდაც ყოვლად მიუღებელმა ლოზუნგებმა?

და თუნდაც მოწოდებისათვის მთავრობის გადაყენებისაკენ, დასაშვებია უდანაშაულო ქალებისა და უმწეო გოგონების, საერთოდ ვისიმე არაადამიანური ხოცვა-ჟლეტა?

წესრიგის დამცველებს ცეცხლსასროლი იარაღი არ გამოუყენებიათო.

განა ასეთი ცნობა ასახავს და გამოხატავს რეალურ სინამდვილეს? ან ის, რომ საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და გაუთვალისწინებელი შედეგების თავიდან აცილების მიზნით კომპეტენტურმა ორგანოებმა მიიღეს კანონის შესაბამისი გადაწყვეტილებაო.

რომელმა „კომპეტენტურმა ორგანოებმა“?

რატომ დროულად არ გვაცნობეს ამის თაობაზე?

ვინ და როდის მიიღო ასეთი გადაწყვეტილება?

არა, ბატონო!

არ შეიძლება იყოს უდანაშაულო ადამიანთა უმოწყალო ხოცვა-ჟლეტის კანონი, ხოლო ნებისმიერი კანონის გამოყენების მარტოოდენ კანონიერი გზა არსებობს.

ასეთი გადაწყვეტილება მხოლოდ ყოვლად არაკომპეტენტურ ორგანოებს შეეძლო მიეღოთ და მიიღეს კიდეც.

მე უნდა ვიცოდე, ვინ და ვისთან ერთად, ვისი თანხმობითა და თანადგომით მიიღო ასეთი პოლიტიკურად ბეცი, კანონსაწინააღმდეგო და მზაკვრული გადაწყვეტილება.

მე უნდა ვიცოდე ვინ იყო ამ მშვიდობიანი მიტინგის მონაწილეთა უმაგალითო, არაადამიანური დარბევის უშუალო ორგანიზატორი და შემსრულებელი.

უნდა ვიცოდე, რათა ქართველმა ერმა ყველა ისინი შეაჩვენოს და სამართალში მისცეს. ამჯერად ჭეშმარიტად სახალხო სამართალში, კანონიერ სახალხო სამართალში.

იმიტომ რომ, არავის და არაფერს არ ძალუძს გაამართლოს ყოვლად უდანაშაულო ადამიანთა აუნაზღაურებელი მსხვერპლი.

ეს ჩვენი უზენაესი ვალია, რამეთუ მარტოოდენ ჭეშმარიტების დადგენა და საყოველთაო განკითხვა გამორიცხავს თუნდაც მსგავსი გამეორების შესაძლებლობას.

ჩვენ მართლაც შეგვიძლია დავრჩეთ და კიდეც უნდა დავრჩეთ ქართველი ერის ჰუმანისტური ტრადიციების ერთგულნი, გამოვიჩინოთ კეთილგონიერება, საღი აზრი, მაღალი პასუხისმგებლობა, დავიცვათ გარდაქმნა, ჩვენი საერთო სოციალისტური ღირებულებები, ჩვენი ძმობა და ერთიანობა. შეგვიძლია და გავაკეთოთ უნდა კიდეც ყოველივე ეს, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როცა უდიდესი პასუხისმგებლობით და გარანტირებული ობიექტურობით იქნება უწვრილეს დეტალებამდე გამოძიებული დატრიალებული ტრაგედიის ყველა გარემოება და გვეცოდინება, ვის და რა ზომით დაეკისრა პერსონალური პასუხისმგებლობა უდანაშაულო სისხლის დაღვრისათვის.

მე უნდა მითხრათ სიმართლე, მხოლოდ სიმართლე და სიმართლის გარდა სხვა არაფერი.

სიმართლის თქმაში, შეძლებისდაგვარად, მეც დაგეხმარებით.

კერძოდ.

თბილისი. 1989 წელი. 9 აპრილი. „სისხლიანი კვირა“.

მე კიდევ ერთხელ გადავიკითხე თბილისში დატრიალებული ტრაგედიის მიზეზების უბადრუკი ახსნის მცდელობის ისევ ის ცნობა, როცა გავეცანი გაზეთ „პრავდას“ ა. წ. 14 აპრილის ნომერში გამოქვეყნებულ სტატიას „სვლა ცხენით, ანუ საით გვიხმობს დემოკრატიული კავშირი“, რომელიც ლენინგრადში აღზევებულ ოპოზიციურ მოძრაობას ეხება.

ერთად შევადაროთ და შევაჯეროთ ყოველივე ის, რაც მოხდა თბილისში და რაც ლენინგრადში ხდება.

დემოკრატიული კავშირის ლენინგრადის განყოფილება:

— „დემოკრატიული კავშირი“ ჩამოყალიბებული ორგანიზაციაა თავისი პროგრამით, ორგანიზაციული პრინციპებით, წესდებით, წევრად მიღების წესებით, ფულადი ფონდით, ბეჭდვითი გამოცემებით, საზღვარგარეთთან კავშირით. „დემოკრატიული კავშირის“ პრაქტიკულ საქმიანობას ფართოდ აშუქებენ ადგილობრივი პრესა, ტელევიზია და რადიომაუწყებლობა.

ლოზუნგი?

— „მოკალი კომუნისტი“!

„დემოკრატიული კავშირის“ მიზანია პოლიტიკური ასპარეზიდან სკკპ ჩამოშორება, არსებული საზოგადოებრივი წყობის მთლიანი შეცვლა და ამის მისაღწევად ნებისმიერი საშუალების გამოყენება. მათ შორის: მოქალაქეობრივი დაუმორჩილებლობა აქციები, საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა, შეიარაღებული გზით ხელისუფლების ხელში ჩაგდება, რაც სავსებით სერიოზულად განიხილება კრებებზე. ამ ორგანიზაციის ლენინგრადელი წევრები აშკარად მოუწოდებენ მებრძოლი რაზმების შექმნისაკენ, ცდილობენ ამ რაზმებში სამხედრო პირების ჩაბმას, რისთვისაც სამხედრო ნაწილებსა და სამხედრო სასწავლებლებში აგროვებენ საიმედო პირებს. ყოველივე ამას თან ახლავს ხელისუფლებასთან გამუდმებული შეტაკებები, ჩხუბი მილიციასთან, მოწოდებები კომუნისტების არა მარტო პოლიტიკური, არამედ ფიზიკური განადგურებისაკენ, რაც იმის მაჩვენებელია, რომ საქმე გვაქვს თავშეუკავებელ ექსტრემიზმთან. „დემოკრატიული კავშირი“ სკკპ პოლიტიკური მოწინააღმდეგე და ტოტალიტარული რეჟიმისადმი დაპირისპირებული პარტიაა, რომლის წევრები მოუწოდებენ, მოაწყონ პოლიტიკური მიზნით ავარიები და აფეთქებები რკინიგზებზე, ქიმიურ კომბინატებში, ატომურ ელექტროსადგურებზე, აგრეთვე პროვოკაციული შეტაკებები და ჩხუბი.

— ერთ-ერთ მიტინგზე, მისი მონაწილეების ერთსულოვანი მოწონების თანხლებით გაისმოდა მოწოდებები სკკპ ჩამოშორებისაკენ, სსრ კავშირის დაშლისაკენ და ა. შ. ამ მიტინგის ორგანიზატორთა შორის იყვნენ აგრეთვე პოპულარული ლენინგრადის კლუბის „პერესტროიკას“ ლიდერები. ასეთ თავყრილობებზე სიტყვის წარმოთქმის უფლება ეძლევა ყველას, გარდა... კომუნისტისა. ყოველივე ამას, თან ახლავს ხმამაღალი მოწოდება იმათ მხარდასაჭერად, ვინც ძალაუფლებისაკენ მოისწრაფვის და ექსტრემიზმის გზას დაადგება.

გასაგებია?

არც მეტი და არც ნაკლები.

წაიკითხეთ ეს პუბლიკაცია და დარწმუნდებით, რომ იქ მეტიცაა ნათქვამი, ვიდრე მე გადმოვაქართულე.

და როცა ახლა წაიკითხავთ, მიპასუხონ თბილისური „სისხლიანი კვირის“ ორგანიზატორებმა და მკვლელმა-შემსრულებლებმა ასეთ კითხვაზე: სად უფრო დაძაბული და საზოგადოებრივი უშიშროებისათვის საფრთხის შემქმნელი ვითარება ყოფილა — თბილისში თუ ლენინგრადში? ან მოსკოვში, რიგაში, ტალინში, ვილნიუსში, მინსკში, კიევში, თუნდაც კიშინიოვში? სხვაგანაც.

აბა, რატომ აღმოჩნდა იმ სისხლიან კვირას მაინცდამაინც თბილისში სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე, არმიის გენერალი კ. ა. კოჩეტოვი, რომელიც მოსკოვში ცხოვრობს და ლენინგრადიც თბილისზე უფრო ახლოა. სხვა დასახელებული ქალაქებიც.

9 აპრილს თბილისში „სისხლიანი კვირა“ გათენდა, ლენინგრადელები კი პარასკევს ადგილობრივი ექსტრემისტების „ნამღვაწარს“ ეცნობოდნენ საგაზეთო პუბლიკაციაში.

ვინ მიპასუხებს, რატომ ხდება ხოლმე ასე და ამჯერადაც რატომ სწორედ ასე მოხდა და არა სხვაგვარად?

რატომ ვართ ან რატომ მაინცდამაინც ჩვენ — ქართველები უნდა ვიყოთ ყველაფერის „პოლიგონი“: ინტერნაციონალიზმისა და ამავე დროს და ამასთან ერთად აგრეთვე უიარაღო, მშვიდობიანი მიტინგის მონაწილეებზე. სისხლისმღვრელი ნადირობის „პოლიგონიც“?

რატომ?

ან როდემდე გაგრძელდება ასე?

განა ახლა მაინც დასაშვებია ისევ და ისევ მუქარის ენით ლაპარაკის გაგრძელება და იმის თქმა, როგორც ეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ა. წ. 14 აპრილის მიმართვაშია აღნიშნული, რომ ახალი მსხვერპლისა და ახალი ტრაგედიების თავიდან აცილებისათვის, ჩვენთვის საარსებო მნიშვნელობა აქვს სიბრძნესა და სიმშვიდეს, მოთმინებასა და ვაჟკაცობასო?

არ არის დასაშვები და არ შეიძლება.

მე თუ მკითხავთ, რა თქმა უნდა, არ შეიძლება.

იმ უბრალო მიზეზის გამო არ არის დასაშვები და არ შეიძლება, რომ ახლა, როცა „სისხლიანი კვირა“ გამოვიარეთ „სიბრძნე“ და „სიმშვიდე“ მონური მორჩილებისაკენ მოწოდების ტოლფასია და არც „მოთმინებაა“ ყოველთვის ვაჟკაცობის მაჩვენებელი ან გამომხატველი.

ახლა კი დროა, მთავარი სათქმელიც ითქვას. კერძოდ ის რომ, 9 აპრილის ტრაგედია სათავეს ე. წ. „აფხაზური წერილიდან“ იღებს. ყველაფერი მაშინ დაიწყო, როცა ცნობილი გახდა გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნში გამართულ თავყრილობაზე მიღებული ცილისმწამებლური და ქართველი ერის შეურაცხმყოფელი

წერილის შინაარსი. სამართლიანი აღშფოთება გამოიწვია აფხაზეთის საქართველოდან გამოყოფის უგუნურმა, უტიფარმა და კანონსაწინააღმდეგო მოთხოვნამ, რომელშიც დამახინჯებულია ისტორიული ჭეშმარიტებაც. უგულებელყოფილია სამართლებრივი ნორმებიც და გათელილია ადამიანური მადლიერების ელემენტარული ზნეობრივი გრძნობები. სწორედ ამ უმსგავსო და უმაგალითო პასკვილს მოჰყა თან მთელი ქართველი ხალხის და, ცხადია, აგრეთვე ახალგაზრდობის, სავსებით ბუნებრივი რეაქცია.

და მოლოდინი.

იგი არ გამართლდა.

ასეთ ვითარებაში მე არ გამკვირვებია ახალგაზრდული მიტინგები არც თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის ტერიტორიაზე, არც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში და არც საქართველოს სსრ მთავრობის სახლთან, როცა მოზარდთა ერთმა ჯგუფმა შიმშილობა გამოაცხადა.

არ გამკვირვებია და არც დამიგმია, მაგრამ ცოტა კი დავიბენი. როცა „აფხაზური წერილით“ გამოწვეულმა სავსებით კონკრეტულმა და უაღრესად სამართლიანმა აღშფოთებამ სადღაც გადაინაცვლა, ხოლო წინა პლანზე ანტისაბჭოთა მოწოდებებით „დამშვენებული“ თავისუფალი საქართველოს პრობლემა აღმოჩნდა.

მე ამან გამაოცა.

აქცენტების ასეთ გადაჯგუფებაში მე მაშინ პოლიტიკური გამოუცდელობისა და ტაქტიკური უწიგნურობის ელემენტებიც კი შევნიშნე, მაგრამ ვინ იცის... ვინ იცის, იქნებ „აფხაზური წერილი“ მთიანი ყარაბახის ამჟამინდელი ადმინისტრაციული მმართველობის „აფხაზური ვარიანტის“ წარუმატებელი ცდაც კი იყო.

ვიღაც-ვიღაცეებს იქნება აწყობდეს კიდეც ეს და იქნებ ვიღაცეები მიუხვდნენ კიდეც ამ პროვოკაციულ ჩანაფიქრს?

ამის გამო ხომ არ მომხდარა აქცენტის გადაჯგუფება?

ვინ იცის?

მაგრამ, მაინც რა მოხდა?

რესპუბლიკის მთავრობისა და პოლიტიკური ხელმძღვანელობის შეცვლას მოითხოვდნენო.

სწორად მოითხოვდნენ.

ანტისაბჭოთა მოწოდებებიც იყოო.

ნამდვილად იყო.

მაგრამ ასეთი მოწოდებები და ტრანსპარანტები მას შემდეგ გაჩნდა, როცა გამოითქვა ეჭვი იმის თაობაზე, რომ „აფხაზური წერილის“ შედგენასა და მისი ავტორების წაქეზება-წახალისებაში იმ „გავლენიანი მოსკოველების“ ხელი ურევია, რომლებმაც სხვადასხვა დროს იქ თავ-თავისი საკუთარი აგარაკები წამოჭიმესო.

აქ ზოგიერთი რამ მართლაც გასარკვევი და დასადგენია, ხოლო „აფხაზური წერილის“ პრობლემა კვლავ ჩვენი დღევანდელი და ხვალინდელი დღის საზრუნავად რჩება. ამას ვერავინ და ვერსად ვერ გავექცევით. საქმე არც ერთი კაცის მეორეთი შეცვლით მთავრდება.

ჩვენს მაშინდელ ხელმძღვანელობას უფრო ღრმად და საფუძვლიანად უნდა ჩაეხედა ამ საკითხში და მარტოოდენ მიმოხილვითი ხასიათის ინფორმაციით არ უნდა შემოფარგლულიყო.

სათქმელი დროულად უნდა ითქვას.

გასაკეთებელიც თავის დროზე უნდა გაკეთდეს.

არ გაკეთებულა.

არც ამ და არც სხვა შემთხვევაში.

თავად განსაჯეთ.

გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ ა. წ. 31 მარტის ნომერში გამოქვეყნებულმა წერილმა „სოფლის სახელით“ საზარელი რამ გვაცნო:

— 1988 წლის 2 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე, ყვარლის რაიონის ერთ-ერთი სოფლის მკვიდრი დავით ლელაძე გავიდა სახლიდან და აღარ დაბრუნებულა. მთელი სოფელი გამოვიდა საძებნელად, მაგრამ კვალს ვერ მიაგნეს. ბოლოს ვენახში თვალი მოკრეს ცხვირსახოცს, შემდეგ თანასოფლელები მწყემსების სადგომთან დანთებულმა ცეცხლის ნაკვალევმა დააეჭვა და მალე ადამიანის დამწვარ ძვლებს წააწყდნენ. გამოძიებამ დაადგინა, რომ დავით ლელაძე ლეკმა მწყემსებმა მოკლეს, შემდეგ ცეცხლში დაწვეს და ძვლები ჯაგებში გადაყარეს. მთელი სოფელი ფეხზე დადგა. ლეკების ჩაქოლვა უნდოდათ, მაგრამ არ დაანებეს.

რატომ არ დაანებეს?

ან ვინ არ დაანება?

ან რესპუბლიკის ხელმძღვანელობა, რომელმაც, ცხადია, იცოდა ქართულ მიწა-წყალზე თვითნებურად შემოჭრილი და სტიქიურად დასახლებული ლეკების მიერ ჩადენილი ამ გაუგონარი ვანდალიზმის შესახებ, რა სინდისითა და ნამუსით განაგრძობდა თავის სამარცხვინო „მოღვაწეობას“ ისე, რომ საკადრისიც კი არ მიუზღო დამნაშავეებს.

მე ახლაც კატეგორიულად მოვითხოვ, რათა ყვარლის, აგრეთვე სხვა რაიონებში მიტაცებული მიწები, სადაც გრძელდება კანონსაწინააღმდეგო მშენებლობა და მათი ინტენსიური „ათვისება“, დაუყოვნებლივ დაუბრუნდეს ქართველ გლეხს. აჭარის მთიანი სოფლები მეწყერს მიაქვს, ათეულობით ოჯახები [illegible] დარჩნენ, იზრდება მსხვერპლი და ასეთ პირობებში ჩვენ ვეღარ შევძლებთ გათავხედებული ლეკების მასპინძლობას.

კმარა!

ჩვენი მიწა-წყალი ჩვენ თვითონ გვჭირდება.

კმარა, იმიტომ რომ:

— ლეკებს გამბედაობა ყოფნით ოჯახებში შეუცვივდნენ ქართველებს, გააუპატიურონ ქართველი ქალები, დანებით და თოფებით დაუხვდნენ გზებზე გლეხებს, გაძარცვონ სახლები და ბაღ-ვენახები.

იმიტომაც, რომ:

— მას შემდეგ, რაც გამრავლდნენ, საცემრად მოიწევენ, ჩვენს მოყვანილ ხეხილს ანადგურებენ, ყველაფერს იპარავენ. ისე გათავხედდნენ, რომ აღარავის ეპუებიან. შვიდი-რვა კაცი ერთად შემოვარდება ვენახში, აბა, ბიჭი ხარ და გაუმკლავდი.

ვერ უნდა გავუმკლავდეთ?

თავი ვერ უნდა დავიცვათ?

აქაც, სხვაგანაც, ყველგან, ჩვენს მიწა-წყალზე, ჩვენს ქართულ სახლში?

აღარც ღმერთია და აღარც სამართალი?

ამაზე უნდა გვეფიქრა და ახალგაზრდული მოძრაობაც წარმოაჩენდა თავის სამართლიან ეროვნულ მიზანსწრაფვას.

საქმის კეთება სჯობია ყოველთვის, უაზრო და ენაწყლიან ლაყბობას.

ეს უნდა გვეთქვა ხმამაღლა და თუნდაც ამ საქმეში მთავრობის დანაშაულებრივი უმოქმედობის გამო, დროულად მოგვეთხოვა მისი გადადგომა.

მანამ, სანამ ურემი გადაბრუნდებოდა.

ახლა უკვე გადაბრუნდა.

მაგრამ, ურემი ისევ გზაზე უნდა დავაყენოთ და ერთი გზით ვიაროთ.

გათიშული და სხვადასხვა გზით მავალი აღმოჩნდა ქართველი საზოგადოება: ახალგაზრდობა, ინტელიგენცია, მუშა და გლეხი, პარტიული და საბჭოთა აქტივი, რესპუბლიკის პოლიტიკური ხელმძღვანელობა.

ახლა ჩვენ ძველი პრობლემების ახლებურად განსჯის, განხილვისა და გადაწყვეტის ხანა დაგვიდგა.

9 აპრილის „სისხლიანი კვირა“ ჩვენი გამოფხიზლებისა და ახლებური ეროვნული აზროვნების გზით სიარულის დაწყების მაუწყებელია.

გაივლის მწუხრისა და განკითხვის ჟამი.

მაგრამ სამუდამოდ დარჩება ღრმა იარა, რომლის მკურნალიც თითოეული ჩვენთაგანია. უნდა იყოს და იყოს საქართველოს ხვალინდელი დღისათვის დაუცხრომელ ზრუნვაში.

საზრუნავი ბევრია.

გამოსასწორებელიც.

დასაძლევიც.

საკადრო პოლიტიკაში დაშვებული უხეში, ზოგჯერ მიუტევებელი შეცდომები.

ხელმძღვანელობის ერთპიროვნული, ისევ და ისევ აღმინისტრაციულ-მბრძანებლური სტილი მოჩვენებით დემოკრატიზმთან ეპიზოდური გათამაშების პირობებში.

ეროვნული ინტერესების ბალანსის დაცვის უუნარობა.

ახალგაზრდული მოძრაობის მნიშვნელობის შეუფასებლობა.

დასანანი პასიურობა საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობის ეროვნული მოდელის შექმნაში.

და კიდევ ბევრი რამ სხვა.

ძნელი იქნება დაკარგული ნდობის მოპოვება.

და „ჩატეხილი ხიდის“ აღდგენაც.

ვერ გაიმართება ის, რასაც დიალოგი ჰქვია მომწიფებული ეროვნული პრობლემების კონკრეტული, რეალური საქმეებით გადაჭრის გარეშე.

ახლა აღარ გამოგვადგება ძველებური დიალოგი, რომელიც სმენადაქვეითებულთა განმარტოებული მონოლოგის ხასიათს ატარებდა.

დიალოგი ფუჭი და ენაწყლიანი ლაპარაკი როდია, როცა სათქმელი არაფერი გაქვს. სათქმელი კი უნაყოფო ლაპარაკისაგან განსხვავებით, უკვე გაკეთებულსა და რეალურად ჩაფიქრებულის თქმას გულისხმობს. მხოლოდ ასეთი დიალოგი გახდის შესაძლებელს, რომ ოპონენტი პარტნიორი გახდეს. ჩვენი უბედურება ის არის, რომ რესპუბლიკის ხელმძღვანელობის წარმოდგენა საქართველოს უკეთეს მერმისზე, ბევრ რამეში და უმოავრესში მაინც,

არა და არ დაემთხვა ფართო საზოგადოებრიობის მოლოდინს.

მოლოდინი კი მაინც იყო.

ფუჭი აღმოჩნდა იგი.

საქმე ის არის, რომ ახალგაზრდობის ემოციური ბუნება ვერა და ვერ ეგუება ვერც უსამართლობას და, მით უფრო, უსინდისობას.

ამბოხების უმთავრესი მიზეზიც ეს არის.

დავიხსომოთ ეს.

წესის, კანონისა და ზნეობისადმი უპატივცემულობამ ისევ უზნეობა და უკანონობა შვა, რაც სისხლის ფასად დაგვიჯდა.

მაგრამ...

— ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირულის სულისკვეთება.

არ ჩაივლის.

არ უნდა ჩაიაროს.

საუკუნის დანაშაული, დანაშაული კაცობრიობის წინაშე, დანაშაული, რომელმაც გზის დასაწყისშივე მუხანათურად ჩასცა ლახვარი ჯერ კიდევ ახლადფეხადგმულ „პერესტროიკას“ — განკითხულ უნდა იქნეს.

ამის იმედი მაშინ მომეცა, როცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ ცნობად მიიღო სსრ კავშირის გენერალური პროკურორის ინფორმაცია, რომ სსრ კავშირის პროკურატურის ორგანოები უზრუნველყოფენ მკაცრ კონტროლს თბილისში მომხდარი მოვლენების ფაქტის გამო აღძრული სისხლის სამართლის საქმის გამოძიების მიმდინარეობისადმი, კანონის შესაბამისად გამოძიების ობიექტურობასა და სისრულეს, აგრეთვე საზოგადოებრიობის სისტემატურ ინფორმირებას.

ვნახოთ!

მანამდე კი ჩვენ მაინც ჩვენი საქმე უნდა ვაკეთოთ.

ჩვენს გასაკეთებელს სხვა არავინ გააკეთებს.

სხვამ უკვე „გააკეთა“ სისხლიანი კვირა.

მაგრამ კვირას ორშაბათი მოსდევს და იგი სამუშაო დღეა.

შრომა გვმართებს ძმებო და სისხლის სანაცვლოდ ოფლი ვღვაროთ ერის, ქვეყნისა და ჩვენი მომავლისათვის.

ერთმანეთს თვალი გავუსწოროთ.

პატიოსანი, ალალ-მართალი, ვაჟკაცური თვალი.

დამნაშავემ პასუხი უნდა აგოს.

მათ შორის დასანდობი არავინაა...

მაგრამ...

ახლაც, ამ მწუხრისა და განკითხვის ჟამს, ზოგიერთები ისევ წამოყოფენ თავს მათთვის ჩვეული პირადული ანგარიშსწორების მიზნით, პირადულივე ინტერესებით ნაკარნახევი ისტერიული გამოხდომებით და კიდევ ვინ იცის, რა თვალთმაქცი გზებითა და საშუალებებით.

გვეყო და მოვეშვათ ამ ბინძურ ხელობას.

გვეყო თვალთმაქცობა, ბოღმა და შური.

გვეყო ენატანიობა.

ახლა მაინც ველაპარაკოთ ერთმანეთს ილიას მართალის ენით.

პატრიოტიზმი იგივე მამულიშვილობაა.

ხოლო ინტერნაციონალიზმის არსი კი უფრო რეალურად, ღრმად და საფუძვლიანად გავიაზროთ.

იმიტომაც, რომ ჭკუის სასწავლი მაგალითი მეც მომცეს მოსკოვის პრესისა და ტელევიზიაში მოკალათებულმა „კოლეგებმა“. ყველას მოგვცეს. სამარცხვინო, საძრახისი მაგალითი.

მაგრამ, მე სხვა მაგალითებიც ვიცი. „მოსკოვსკიე ნოვოსტი“, „ნედელია“ და „ნოვოე ვრემია“. ვიცი მოსკოვში გამართული კინემატოგრაფისტთა და ჟურნალისტთა პრესკონფერენციები, მეცნიერთა სახლში მოწყობილი შეხვედრა და ძველ არბატზე შემდგარი სოლიდარობის მიტინგიც.

მე ისიც ვიცი, რომ სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ თბილისში მოვლენილმა მოსკოველ, ლენინგრადელ და როსტოველ სპეციალისტთა ჯგუფმა დაადასტურა, რომ 9 აპრილს ქ. თბილისში დემონსტრაციის მონაწილეთა წინააღმდეგ გამოყენებული იყო მომწამვლელი ნივთიერებანი და საჯაროდ განაცხადა შემდეგი: „როგორც ჩვენი სამშობლოს მოქალაქენი, მხარში ვუდგევართ ქართველ ძმებს და ჩვენი ქვეყნის ყველა პატიოსან ადამიანს, და მოვითხოვთ საჯაროდ გაასამართლონ ისინი, ვინც ბრძანება გასცა შხამები, აგრეთვე ცივი იარაღი (მესანგრეთა ხელბარები) გამოეყენებინათ მშვიდობიანი დემონსტრანტების წინააღმდეგ, გასამართლდნენ ისინი, ვინც ეს შემზარავი ბრძანება შეასრულა და ისინიც, ვინც დღემდე მალავს გამოყენებული ქიმიური იარაღის შემადგენლობას. დამნაშავეებმა პასუხი უნდა აგონ თავიანთი დანაშაულისათვის“.

ასე რომ, ბევრი რამ გვმართებს გავიაზროთ ახლებურად, ფხიზელი თვალითა და ცივი გონებით.

თუნდაც ის, რომ უკვე დროა თავისი ხმამაღალი და მართალი სიტყვა თქვას აფხაზეთის, ამ ძველისძველი ქართული მიწა-წყლის მრავალრიცხოვანმა ქართველობამ, აგრეთვე ქართული გვარების მატარებელმა კობახიებმაც, გულიებმაც, ძიძარიებმაც, ნინუებმაც, წერეთლებმაც, ახვლედიანებმაც და სხვებმაც, ოღონდ მათთან ერთად მთელმა საქართველომ. იმ ძველისძველ ქართული მიწა-წყლის მკვიდრმა ქართველობამაც, რომელსაც მერე სამხრეთ ოსეთი დაარქვეს. სხვაგანაც. ყველგან.

ამას წინათ გამართულ სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმზე ა. ხ. ვეზიროვმა — აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, განაცხადა, რომ 130 ათასი კაცი გადმოსახლდა აზერბაიჯანში სომხეთიდან, სადაც პრაქტიკულად აზერბაიჯანელები აღარც კი დარჩენილანო. ასევე, ათეული ათასობით მიუტოვებიათ სომხებსაც თავიანთი საცხოვრებელი კერები აზერბაიჯანის ტერიტორიაზეც.

გამოდის რომ, ყველა თავ-თავის მშობლიურ მიწა-წყალს დაბრუნებია და მე, მაგალითად, მეტად საინტერესო, საგულისხმო და ყველასათვის დამაფიქრებელ პროცესად მეჩვენება ეს.

ამავე დროს, მე გულწრფელად მივესალმები ქართული ენის განვითარების სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებულ ღონისძიებებს. სხვა პროგრამებსაც. მაგრამ, ისიც გულწრფელად უნდა ვაღიაროთ, რომ სანამ ადგილობრივი, აგრეთვე რესპუბლიკური პარტიული, სახელმწიფო, სამეურნეო ადმინისტრაციული და სხვა ორგანოების, უწყებების, დაწესებულებების სათავეში არაქართველი ეროვნების ისეთი მუშაკები გვეყოლება, ვინც ქართული ენა არ იცის, ამ პროგრამებს რეალური განხორციელება არ უწერია. არც საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში, არც ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

არადა, რაც ზემოთ ითქვა, ამის გაკეთება არ არის დაკავშირებული დიდსა და გადაულახავ სიძნელეებთან. ისინი საერთოსაკავშირო ორგანოების ჩარევის გარეშეც შეიძლება ჩვენ თვითონვე მოვაგვაროთ.

აქამდეც შეიძლებოდა.

ახლაც შეიძლება.

უნდა მოვაგვაროთ.

ეს ჩვენი შინაური საკითხებიც თუ ვეღარ მოვაგვარეთ, დიალოგიც ვერ გაიმართება არამც თუ არაფორმალებთან, არამედ ვერც ჩემთან.

შესიტყვება საქართველოსთან არასოდეს ყოფილა იოლი. მით უფრო ახლა. ლაპარაკი სათქმელის გარეშე წყლის ნაყვაა და სხვა არაფერი. სათქმელი კი საქმიდან მოედინება. რეალური, კონკრეტული საქმიდან.

ჩვენი გზა თავისუფლებისაკენ მიდის და მივა კიდეც. მაგრამ, ეს საკმაოდ ძნელად სავალი გზაა თუნდაც იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენ ისიც კი არ ვიცით, როგორ მოვეპყრათ ამ თავისუფლებას, როგორ აღვიქვათ და გამოვიყენოთ იგი პრაქტიკულად, რეალურად, ცხოვრებისეულად. თანამედროვე პირობებისა და ვითარებისამებრ.

გაუნათლებელი, მიწას და დაზგას მოწყვეტილი, უკულტურო და უდისციპლინო, მოუწესრიგებელი საქართველო, სადაც მარტოოდენ „ჩემი“ მძლავრობს, ხოლო „ჩვენი“ ღონემიხდილი და დასუსტებულია, ვერ იქნება თავისუფალი.

სწავლა.

შრომა.

სპორტი.

ძალიან გვჭირდება ჩვენ ეს ყველაფერი.

ილია:

— ხმლიანმა მტერმა ვერ დაგვათმობინა, ვერ წაგვართვა ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი ქვეყანა. ხმლიან მტერს გავუძელით, გადავრჩით. ქვეყანა და სახელი შევინახეთ, სახსენებელი არ ამოვიკვეთეთ, შევირჩინეთ, საქელავი არავის ავაგებინეთ. ხმლით მოსულმა ვერა დაგვაკლო-რა, — შრომით და გარჯით, ცოდნით და ხერხით მოსული კი თან გაგვიტანს, ფეხქვეშიდან მიწას გამოგვაცლის, სახელს გაგვიქრობს, გაგვიწყვეტს, სახსენებელი ქართველისა ამოიკვეთება და ჩვენს მშვენიერ ქვეყანას, როგორც უპატრონო საყდარს, სხვანი დაეპატრონებიან. შრომასა და გარჯას, ცოდნასა და ხერხს ვეღარავინ-ღა გაუძლებს, თუ შრომა და გარჯა, ცოდნა და ხერხი წინ არ მივაგებეთ, წინ არ დავახვედრეთ, წინ არ დავუყენეთ.

ვისმინოთ ჩვენი სულიერი მამის ეს შეგონება.

ჭირსა შიგან გამაგრება გვმართებს.

საქართველო გლოვობს სამშობლოსათვის დაღუპულ შვილებს.

გლოვა ჩვენი მრისხანეა, უდრეკი და ვაჟკაცური.

ხოლო გლოვის ზარი გვიხმობს, გვაფრთხილებს, მოგვიწოდებს.

ქართველებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

რამეთუ ჩვენ, მწუხრისა და განკითხვის ჟამი დაგვიდგა.

ოთარ ჭინჭლაძე.



ბესიკ იაშვილი

ფოტო ედუარდ გიგილაშვილისა

ამზარეულოდან გამოსულმა ლიდა ტარმანიანმა ხაათს ახედა. თორმეტს აკლდა ოცდახუთი წუთი.

— არ დაგაგვიანდეს. დალიე ჩაი და გაიქეცი!

არმენი კუთხეში ცერად მიდგმულ მაგიდასთან იჯდა და საუზმობდა, თან გაზეთს ჩახჩერებოდა.

დედამ სიყვარულით გახედა გარინდებულ ვაჟიშვილს.

— ბიჭო!

არმენმა თავი აიღო და დედას ღიმილი შეაგება:

— მოიცა, დედაჩემო, ახლა ისევ არ დამიწყო, ცოლი რატომ არ მოგაყვანო. დამაცადე, მოვაგვარებ საქმეებს და დავოჯახდები... აბა, წადი!

— შვილიშვილი მინდა! — ხმამაღლა დაადევნა დედამ ოთახიდან გასულ შვილს და ჭურჭლის ალაგება დაიწყო.

თორმეტს ოცი წუთი აკლდა.

კიდევ რამდენიმე წამი და ყველაფერი თვალის დახამხამებაში მოხდა.

ჯერ ურუ ხმა გაისმა. მერე, სადღაც შორს, დედამიწის გულიდან შემაზარზენი გრუხუნი ამოსკდა.

უცნაურმა ძალამ ლენინაკანის შემოგარენი ძალუმად შეაყანყალა.

დიასახლისი სწრაფად მოეგო გონს. კარისკენ გასხლტა, მაგრამ უკვე გვიანი იყო.

ჭერმა დაიგრუხუნა. რკინა-ბეტონის კვება ფილები ჩამოზვავდა და მოყანყალებული კედლები ერთმანეთს ზათქით შეასკდა.

ნანგრევებად აკოკოლავებული სახლი მტვრის კორიანტელში გაეხვია.

. .

ფარდაჩამოშვებულ პალატაში სიჩუმეს დაუსადგურებია, გულისგამწვრილებელ სიჩუმეს. ხანგამოშვებით ყრუ კვნესა გაისმის. საწოლზე გულაღმა მისვენებულმა ქალმა ოდნავ წამოსწია თავი. ეცადა წამომდგარიყო, მაგრამ აუტანელმა ტკივილმა დაუარა ფეხებში და ადგილზე გააშეშა.

ექთანმა მაშინვე შეაშველა ხელი.

მიწოდებული ჭიქიდან ლიდა ტარმანიანმა ულუპ-ულუპით შესვა წყალი. მიწვა და ისევ გაირინდა. გონებაში ნათლად გაცოცხლდა ყველაფერი: გონს ამ ორიოდე დღის წინ მოეგო. როცა თვალი გაახილა, პირველად თეთრხალათიანი ექიმები და ექთნები დაინახა. ყველანი მეზობელ საწოლთან დოლბანდში შეხვეულ პატარა გოგონას დასტრიალებდნენ. მოსალამოდა. გოგონას დედა არევიქი საწოლთან მიდგმულ სკამზე ჩამოჯდა და ლიდა ტარმანიანს გამოესაუბრა. მაშინ შეიტყო, გოგონას რომ ანი ერქვა, სპიტაკიდან იყო; ისიც ნანგრევებიდან ამოეყვანათ და ვერტმფრენით ჩამოეყვანათ აქ.

— ახლა სადა ვარ? — გამშრალი ტუჩები შეარხია ლიდა ტარმანიანმა.

— თბილისში, დამწვრობის რესპუბლიკურ ცენტრში.

წამით ჩამოვარდნილ დუმილში ამოოხვრა გაისმა.

ლიდა ტიროდა.

— ნუ გეშინია, შენც მოგარჩენენ. ჩემი ანი უკვე კარგად არის.

— ჩემს თავს არ ვდარდობ, — ჩურჩულით გაეპასუხა მოსაუბრეს, — ჩემი ბიჭის დარდი მკლავს. გადარჩა თუ არა არმენი? სად არიან ჩვენი ახლობლები?..

. .

ეს ამბავი 1961 წელს მოხდა.

ადრეული გაზაფხული იდგა.

ბაქოში ტრავმატიზმისა და დამწვრობის საკითხებზე საკავშირო კონფერენცია მიმდინარეობდა.

დაიწყო შესვენება.

თბილისელი ახალგაზრდა ექიმი ბესიკ იაშვილი ის-ის იყო დარბაზიდან ფოიეში გამოვიდა, რომ ვიღაც უცნობმა თავაზიანად შეაჩერა.

— გისმენთ, ბატონო!

— თქვენი მოხსენება ძალიან მომეწონა. ბევრ პრობლემატურ საკითხს შეეხეთ... აბა, დაფიქრდით, ლენინგრადში ხომ არ გადმოხვიდოდით სამუშაოდ?

— თქვენ ვინ ბრძანდებით?

— სამხედრო სამედიცინო აკადემიის თერმული დაზიანების კლინიკის ხელმძღვანელი ვარ, — მოსაუბრემ ხელი გაუწოდა. — მიცნობდეთ, ტუვი იაკობის ძე არიევი.

საუბარს შეჰყვნენ.

შესვენების დამთავრებამდე ბევრის თქმა მოასწრეს.

ბესიკ იაშვილმა რვა წლის წინათ დაამთავრა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი. რუსთავში გაანაწილეს. ეს სწორედ აქ, მეტალურგთა ქალაქში, დაინტერესდა იგი დამწვრობის საკითხებით: საავადმყოფოში ხშირად მოჰყავდათ მძიმედ დამწვარი მეფოლადეები.

მერე ბესიკ იაშვილი დაწინაურდა და თბილისის სისხლის გადასხმის ინსტიტუტში უფროს მეცნიერმუშაკად გადაიყვანეს.

ჩანაფიქრი არც აქ აძლევდა მოსვენებას. ნათქვამია, ეძიებდე და ჰპოვებდეო. ასეც მოხდა. დიდი გარჯით, შრომითა და მეცადინეობით, ენთუზიასტმა დამხმარე განყოფილების დაარსება მოახერხა.

— კმაყოფილი ხართ?

— არა, ტუვი იაკობის ძევ! საქართველო, მოგეხსენებათ, დიდი სამედიცინო ტრადიციების რესპუბლიკაა. თბილისში აუცილებლად უნდა გაიხსნას დამწვრობის თანამედროვე დამოუკიდებელი სრულყოფილი ცენტრი.

გაისმა ზარი. შესვენება დამთავრდა.

— წამოდით ლენინგრადში, გამოცდილებას შეიძენთ, ჩვენც დაგვეხმარებით და თქვენი მომავლისათვისაც უკეთესი იქნება. ჰა? ისევ უარზე ხართ?

— საქართველოს ვერ მივატოვებ!

დარბაზში შედიოდნენ, როცა აკადემიკოსმა ბესიკ იაშვილს მოულოდნელად მკლავზე ხელი შეავლო და ყურში ჩასჩურჩულა:

— საქართველოში არ ვყოფილვარ... უნდა მოვასწრო და სანამ ცოცხალი ვარ, ჩამოვიდე.

— ჩამობრძანდით.

— ჩამოვალ და იქნებ თქვენც დაგეხმაროთ რაიმეში...

. .

გამოხდა ხანი.

ვინ მოთვლის, ბესიკ იაშვილს რამდენი შრომა, ძიება, უამრავი დაბრკოლების გადალახვა და თეთრად გატეხილი ღამე დასჭირდა, რომ მიზნისათვის მიეღწია.

მარტო არ ყოფილა.

მოწადინებული კოლეგები შეეხიდნენ. არც ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს და რესპუბლიკის ხელმძღვანელობას მოუკლია შემწეობა.

და აი, თბილისში გაიხსნა აღდგენითი მკურნალობის ორთოპედო-ქირურგიული რესპუბლიკური საავადმყოფო — თერმულ დაზიანებათა სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრი.

საბჭოთა კავშირში იგი ერთ-ერთი საუკეთესო და უნიკალური ტიპის სამედიცინო კერაა.

— თერმულ დაზიანებათა სამეცნიერო პრაქტიკული ცენტრი საგანგებოდ აშენებულ საუკეთესო შენობაში მოთავსდა. იგი აღჭურვილია თანამედროვე აპარატურით. ავადმყოფებს კვალიფიცირებული და საქმის მოყვარული სპეციალისტები ემსახურებიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაია გელუტაშვილი

ოდეს ჯაჭვსა ღაეჭიროს...

ცენტრი საშუალებას იძლევა სხვადასხვა პროფილის დაწესებულებებში გაბნეულ ავადმყოფებს ერთად მოუყარონ თავი, ადგილობრივ ყოველნაირად გამოვიკვლიოთ და სათანადო სპეციალიზებული მკურნალობა ჩავუტაროთ.

ამ ახალი სამედიცინო დაწესებულების სამ კლინიკურ განყოფილებასთან, მის ლაბორატორიებთან, დამხმარე კაბინეტებთან უშუალო კავშირი აქვს დამყარებული ჩვენი ქვეყნის მრავალ სამეცნიერო დაწესებულებას. უფრო მეტიც: ქართველი სპეციალისტების მუშაობის წარმართვის პრინციპმა უცხოელი სპეციალისტებიც დაინტერესა.

თბილისის ცენტრში ახლა ხშირად ნახავთ ბულგარელ ექიმებს. ჩამოდიან პოლონელები, ფრანგებსაც შეხვდებით. მკურნალობის ორიგინალური სტრუქტურის გასაცნობად აქ იტალიელ მეცნიერებსაც გამოუჩენიათ ინტერესი.

ერთსაც ვიტყვი: თერმულ დაზიანებათა თბილისის რესპუბლიკური ცენტრი საუკეთესო მუშაობისათვის საკავშირო მიღწევათა გამოფენაზე სამჯერ დაჯილდოვდა საპატიო მედლით.

. .

უფროსი ექთანი ცენტრის ხელმძღვანელს დაეძებდა.

— ბატონი ბესიკი არ გინახავთ?

— ეს-ესაა ზევით ავიდა.

ზევით ავიდა და ასეთი ამბავი დაახვედრეს:

— ლიფტით ჩავიდა ქვევით!

ჩავიდა პირველ სართულზე და პროფესორს ვერც ბავშვთა განყოფილებაში მიუსწრო.

ბოლოს, ექთანი საოპერაციოდან ახლად გასული ბესიკ იაშვილის კვალს აედევნა, გაიკითხა და დადგინა: პალატებში შემოვლაზე ყოფილა.

— რაშია საქმე? — დინჯად იკითხა პროფესორმა, როცა დერეფანში დადარაჯებულ უჩვეულოდ წამოწითლებულ უფროს ექთანს შეავლო თვალი.

— სტუმრები გეწვიათ!

— ვინ სტუმრები?

— საკავშირო საპრობლემო კომისიის წევრები მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, ჩელიაბინსკიდან, გორკიდან...

. .

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ბესიკ იაშვილის კაბინეტში ვსხედვართ. ულრუბლო ცოდან ადრეული გაზაფხულის ჭიატა მზე იმზირება. კედლიდან კეთილშობილური სახის, ზვიადი გამომეტყველების მამაკაცური სურათი ჩამოგვცქერის.

— ბატონო ბესიკ, ვისი სურათია?

— გარდაცვლილი ცნობილი მეცნიერის ტუვი იაკობის ძე არიევისა.

— როდის გარდაიცვალა?

პროფესორს სახე მოეღრუბლა.

— არც ისე დიდი ხანია. ერუდირებული, მკაცრი, დისციპლინირებული მეცნიერი.

— დაგეხმარათ?

— ძალიან. ლენინგრადში მის კლინიკაში ხშირად ჩავდიოდი. ახლობელივით მიღებდა, მიწევდა საჭირო კონსულტაციებს.

მოსაუბრე წამით შეჩერდა და განაგრძო:

— საქართველოში მხოლოდ ერთხელ მოასწრო ჩამოსვლა, აღტაცებული იყო. ჩვენმა ბუნებამ, ჩვენი ხალხის სტუმართმოყვარეობამ ძალიან მოხიბლა, გული აქ მრჩებაო, იძახდა.

კარი გაიღო. ცენტრის ხელმძღვანელს დილის ფოსტა შემოუტანეს.

ასეა ყოველი დღე. ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხიდან უწყვეტ ნაკადად მოდის და მოდის წერილები.

— „სამადლობელო" ასე შეიძლება დაერქვას ამ ბარათებს.

გნებავთ გაეცნოთ? აი, თუნდაც რამდენიმე მათგანი.

— ბატონო ბესიკ, მიიღეთ ჩემი ოჯახის მადლობა ასეთი საავადმყოფოს დაარსებისა და ხელმძღვანელობისათვის. თქვენმა კოლექტივმა სიცოცხლე შემინარჩუნა, მადლობა ყველას, — იწერება ლაგოდეხელი არჩილ ხატიაშვილი.

— ესაა ჩვენთვის დიდი ბედნიერების მომნიჭებელი სახლი, სადაც მეორედ დაიბადა ჩვენი შვილი, — ამბობენ ვანო და გიული ზვიადაურები.

ბათუმელი ალა ბოგინსკაია წერს: — სიცოცხლეზე ხელი მქონდა ჩაქნეული. ახლა მხნედ ვარ. ეს თქვენი ცენტრის დამსახურებაა. მე ვთვლი, რომ ასეთი თანამედროვე და კეთილმოწყობილი უნდა იყოს ყველა საავადმყოფო.

— თქვენ დამიბრუნეთ ჯანმრთელობა, სილამაზე და ჩემს — ცხოვრებას აზრი მიეცა. დღეს მე ბედნიერი ოჯახი შევქმენი, — წერს ლილი ბეუიტაშვილი.

ახლა ანიკო ღონღლაძეს მოვუსმინოთ: — ბესიკ იაშვილი ჩემი ღმერთია. ჩემი შვილი ნესტანი თქვენმა დალოცვილმა მარჯვენამ გადაარჩინა. გლოცავთ, იხარეთ და იმრავლეთ!

ხალხის გულითად სამადლობელზე ძვირფასი არის განა რაშე?

. .

პალატაში დინჯად, ჩვეული სიმშვიდით შემოვიდნენ თეთრ ხალათებში გამოწყობილი ექიმები და ექთნები. დილის შემოვლა დაიწყო.

— როგორ გრძნობთ თავს?

— უკეთესად! — ლიდა ტარმანიანმა მადლიერი თვალით ახედა პროფესორს, — ერთი-ორჯერ უკვე გავიარე.

— მეტი უნდა იმოძრაოთ. ორსამ კვირაში მთლიანად გამოჯანმრთელდებით.

სასწაულია! იმ ავბედით დღეს მთელი სახლი დაემხო თავზე. ბეწვზე გადარჩა. ორთავე ფეხის ძვლები ნაჯახით დაჩეხილი გეგონებოდათ, ეს კი, აი ეს ჯადოქარი ექიმი ორ-სამ კვირაში გამოჯანმრთელებას პპირდება. სასწაულია, სწორედ რომ სასწაულია!

ლიდამ პროფესორის უკან მდგარ ექიმებს მიმოავლო თვალი. უკვე ყველას ცნობდა.

აგერ, ის, მარჯვნივ რომ დგას, გია სიმონიშვილია, ის გურამ გომარელი გახლავთ, მარცხნივ ოთარ მურჯიკელია. მერაბ კამკამიძესაც კარგად იცნობს, ამ ახალგაზრდა ექიმის გვარი კი ზვიად ბოკუჩავაა...

ის-ის იყო, ლიდა ტარმანიანმა რაღაცის თქმა დააპირა, რომ მოულოდნელად გაშრა, ცვილის ფერი დაედო. აცახცახდა. გაფართოებულმა თვალებმა უსაზღვრო სიხარული დაიტიეს.

არა, ეს არ იყო მოჩვენება!

პალატის გამოღებულ კართან მისი არმენი იდგა.

— დედა!

და მაშინ, როცა ტირილით და კოცნით ცოტათი მაინც იჯერეს გული, ლიდა ტარმანიანმა ჩურჩულით იკითხა: — მამაშენი?

— მამა ცოცხალია, ამ დღეებში გინახულებს, შენ, შენ როგორ გადარჩი, დედა?

— ქართველებმა მიშველეს, შვილო, — აცრემლებულმა ლიდა ტარმანიანმა თეთრხალათიანებს გადახედა, — ახლა აღარაფერი მიჭირს. შვილიშვილის გაზრდას კიდევ მოვასწრებ!..

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ოლეჩის მეღვა ძიძიგური

ეთერ ლონდარიძე

— ჩემს ცხოვრებაში ცისარტყელასათვის გაიელვეთ და თქვენი გულში ჩამწვდომი ხმით მოხუცს რამდენიმე წლის სიცოცხლე მაჩუქეთ, — ამ სიტყვებით გამოხატა თავისი აღტაცება ცნობილმა ჩეხმა ქართველოლოგმა, პროფესორმა ი. იედლიჩკამ, როცა 1968 წელს ახალგაზრდა მედეა ძიძიგურს მოუსმინა.

— ეს შესანიშნავია, საუცხოოა! — ამბობდნენ ვამოჩენილი საბჭოთა მუსიკოსები ივანე კოზლოვსკი და მარკ ფრადკინი 1981 წელს მედეა ძიძიგურის კონცერტზე. შემდეგ კი ქართველი მომღერლის სიმღერით აღფრთოვანებულმა მხცოვანმა მომღერალმა ი. კოზლოვსკიმ მედეა სცენაზე ხელში აიყვანა და მასთან ერთად ცნობილი „მხოლოდ შენ ერთს“ იმღერა. საბედნიეროდ ამ ფაქტის ამსახველი ფოტოდოკუმენტი შემორჩენილია და მას მედეა რელიქვიასავით ინახავს.

მედეა ძიძიგურის სიმღერით მოხიბლულმა ცნობილმა საბჭოთა მომღერალმა ლეონიდ უტესოვმა კი ჩვენს თანამემამულეს თავის კონცერტში მონაწილეობა შესთავაზა, სადაც მედეას გამოსვლას დიდი წარმატება ხვდა წილად.

მედეა ძიძიგურის არტისტული მომავალი ოჯახური ტრადიციებითაცაა განპირობებული. მამამისი — აკაკი ძიძიგური თბილისის კონსერვატორიის ვოკალური ფაკულტეტის კურსდამთავრებულია, ჩინებული ხმის (ბასი-ბარიტონი) პატრონი. დამთავრებული აქვს აგრეთვე უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტი, სწავლობდა მათემატიკურზეც, მაგრამ შემდგომ ჟურნალისტიკამ გაიტაცა და... ამ ხაზით არაერთ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მუშაობდა. სხვადასხვა დროს იყო საქართველოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ტელევიზიის დარგში, ჟურნალ „დროშის“ რედაქტორი, საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, ამჟამად კ. მარქსის სახელობის რესპუბლიკური საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორია. დიდი ერუდიციისა და ინტელექტის, მაღალი კულტურის, გონებამახვილობითა და ჯანსაღი იუმორით აღსავსე კვლავაც ერის სამსახურშია. სხვაგვარად ვერც წარმოუდგენია, რადგან ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი მშობელი ხალხის სიყვარული, ოჯახური ტრადიციებითაც რომ მოსდგამს.

დიახ, იგი ცნობილი ქართველი განმანათლებლის — ვარლამ ძიძიგურის ვაჟია, იმ ვარლამისა, დიდი იაკობ გოგებაშვილის მხარდამხარ რომ იღვწოდა.

მედეას დედა თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორია, მუსიკის დიდი მოყვარული. ბებია ჩუტა (ელენე) ერისთავი კი მუნჯი კინოს ერთ-ერთი პირველი მსახიობი-ვარსკვლავი, რომელსაც ლექსი უძღვნა ბალმონტმა.

ძიძიგურების ოჯახში ხშირად იკრიბებოდნენ იმდროის გამოჩენილი მოღვაწენი, მწერლები, რეჟისორები, მუსიკოსები... პატარა მედეა უშუალო მოწმე და მონაწილე ხდებოდა ოჯახური მუზიცირებისა. აქ, ოჯახურ გარემოში, ეზიარა იგი მუსიკალურ ხელოვნებას, გაუღვივდა სიმღერისადმი სიყვარული... ოთხი წლის გოგონას წკრიალა ხმა იმთავითვე იპყრობს ყურადღებას, შემდეგ კი... შემდეგ სწავლის წლები, საკონცერტო გამოსვლები, პირველი წარმატებები, პირველი აღიარება...

მედეა, როგორც ცნობილია, თქვენი პირველი საჯარო გამოსვლა, ე. წ. საკონცერტო „ნათლობა“ როგორც მომღერლისა, თბილისის უცხო ენათა პედაგოგიურ ინსტიტუტთანაა დაკავშირებული...

— დიახ, ამ ინსტიტუტის კედლებში მოხდა ჩემი პირველი საკონცერტო გამოსვლა სტუდენტობის წლებში. ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, ხსენებული ინსტიტუტის სტუდენტთა მხატვრული თვითმოქმედების ხელმძღვანელმა გიორგი შიოშვილმა მაზიარა ნამდვილ ესტრადას. როგორც მომღერალი კი, ბებიაჩემმა — ჩუტამ გამზარდა. თავადაც შესანიშნავად მღერის ბებია. უკრავს ფორტეპიანოზე. მაგრამ მაინც, თუ სცენაზე ვარ, ეს ჩვენი ოჯახის მეგობრის, ცნობილი ქართველი ქორეოგრაფის დავით მაჭავარიანის დამსახურებაა, იმ მაღალნიჭიერი ხელოვანისა, რომელიც დიდი კოტე მარჯანიშვილის მარჯვენა ხელი იყო. ჩვენს შორის არსებული ასაკობრივი სხვაობა — ორმოცდაორი წელი, თითქმის არ იგრძნობოდა. იგი იყო საოცრად უბრალო, სადა, მეგობრული... აკომპანემენტსაც თავად მიკეთებდა. მისი სტილი და მის მიერ შესწავლილი რეპერტუარი დღემდე მომღევს. სწორედ მან ჩამომაყალიბა როგორც მსახიობი, გამომიმუშავა შრომის დიდი უნარი, გამომიწრთო ხასიათი, მასწავლა წინააღმდეგობათა დაძლევა. სწორედ მან შემიქმნა დღემდე ამოუწურავი, მდიდარი რეპერტუარი.

— რაკი რეპერტუარი ახსენეთ, მოდით, ეს „საიდუმლოც“ გავხსნათ: თქვენს კონცერტებში ე. წ. ძველთაგან (ძველ სიმღერებთან) ერთად მუდამ ფიგურირებს ახალი. ეს შემთხვევითობაა, თუ?..

— არავითარი შემთხვევითობა. ინოლა გურგულია ჩემთვის კერპია, ამიტომაც ყოველ კონცერტს მისი სიმღერით ვიწყებ — „რომ სიმღერისთვის შეიქმნა ადამიანი“ და მისივე სიმღერით ვამთავრებ — „მადლობელი ვარ“ (მუსიკაცა და ტექსტიც მისია).

— გარდა ამ სიმღერებისა, კიდევ რომელი სიმღერები გიყვართ.

— ძალიან მიყვარს გიორგი ცაბაძის „მიმღერე რამე“. ამ სიმღერას უკვე ოცდაბუთი წელია ვასრულებ. ასევე მიყვარს არჩილ კერესელიძის „იხევ მიდიხარ“, გიორგი ცაბაძის „მუხამბაზი“, „სვეტიცხოველი“, ჯემალ სეფიაშვილის „სანთლები“, რუსული რომანსები: „მათხოვარი ქალი“, „აბრეშუმის თასმა“. ეს ის სიმღერებია, რომლებიც მუდმივადაა ჩემს რეპერტუარში. ასევე ყოველთვის ვასრულებ რუსუდან სებისკვერაძის სიმღერებს, ნუნუ დუღაშვილის „იეზიდს“ ანა კალანდაძის ლექსზე, მისივე „რომანსს“ მორის ფოცხიშვილის ტექსტზე.

ჩემთვის, როგორც მომღერლისათვის, ჯ. სეფიაშვილისა და რ. სებისკვერაძის სიმღერები განსაკუთრებით საყვარელი და მახლობელია, რადგან სცენაზე მათ პირველმა მე მივეცი გზა, ამ ავტორთა სიმღერების პირველი ინტერპრეტატორი მე ვარ.

— ჩემთვის ცნობილია, რომ თქვენ განსაკუთრე-

ბით ბევრს მოგზაურობთ რეპუბლიკასა და საბჭოთა კავშირში, ასევე უცხოეთში. რას იტყოდით ამასთან დაკავშირებით?..

— როცა სცენაზე ვარ, უბედნიერეს ადამიანად ვგრძნობ თავს და ყველა მსმენელიც ერთნაირად მიყვარს, სოფელში ვარ თუ ქალაქად, სამშობლოსა თუ მის ფარგლებს გარეთ. ამიტომაც არ ვარჩევ, თუ სად, რომელ სცენაზე გამოვდივარ, ყველგან სიამოვნებით ვმღერი.

...გასტროლებზე მართლაც ხშირად მიხდება ყოფნა. ამ ბოლო წლების განმავლობაში მთელი საქართველო ხუთჯერ შემოვიარე — დაწყებული ხულოდან, ახალციხის მთის სოფლებითა და სვანეთით დამთავრებული. რა პირობებში მიხდებოდა გამოსვლა?.. უმეტესწილად გაყინულ დარბაზებში, და როგორც წესი, კონცერტები იქ ნაცვლად საღამოს რვა საათისა, ათ საათზე იწყება. მოგეხსენებათ გლეხის შრომის ამბავი. მაინც მოდიან, მოდიან დაღლილები, მაგრამ სიხარულით, ენთუზიაზმით... და განა შეიძლება მათთვისაც არ იმღერო იმავე მონდომებით, როგორც ეს ბრწყინვალე საკონცერტო დარბაზში გამოსვლისას ხდება?!. დიახ, შიუხედავად ასეთი „კომფორტისა", მათ წინაშე ყოველთვის საკონცერტო კოსტიუმით გამოვდივარ, რადგან ჩემი აზრით სპეციალური ტანსაცმელი და დეკორაცია კონცერტს ყველგან ესაჭიროება. რამდენჯერ დაუძახიათ დარბაზიდან — მოიხურე რამე ტანზე, არა გცივაო?..

რაც შეეხება მოსკოვს, იქ მოგეხსენებათ სულ სხვა პირობებია და ბევჯერაც გამოვსულვარ სხვადასხვა საკონცერტო დარბაზებში. შარშან წლის ბოლოს კი მოსკოვში ორი კონცერტის ნაცვლად სამი ჩამატარებინეს, შემოსული თანხა მთლიანად კულტურის ფონდში გადაირიცხა.

რაც შეეხება უცხოეთს... ბევრგან ვყოფილვარ — უნგრეთსა და ჩეხოსლოვაკიაში, გერმანიასა და ბულგარეთში, პოლონეთში, შვეიცარიაში... თურქეთში კი პირველად მივდივარ. ეს გასტროლები ჩემთვის განსაკუთრებულია, რადგან იქ მცხოვრებ ქართველებს შევხვდებით. მათთვის მთლიანად ქართული პროგრამა მიმაქვს, ავრეთვე ჩემი ფირფიტები, მაგნიტოჩანაწერები, რომლებსაც საჩუქრად გადავცემ. ჩემთან ერთად მოდიან მედუდუკეთა ანსამბლი და ჩემი კონცერტმაისტერი ინგა თბილელი, რომელიც უკვე ხუთი წელია მუშაობს ჩემთან. შემიძლია თამამად ვთქვა, რომ მისი სახით ქართულ ესტრადას ნამდვილი მუსიკოსი — კონცერტმაისტერი ჰყავს.

აქვე უნდა დავძინო ისიც, რომ საზღვარგარეთ საბჭოთა მუსიკოსები სამარცხვინო დღეში ვართ ხოლმე — სამარცხვინოა იმის თქმა, თუ როგორი ანაზღაურება გვაქვს. მაგრამ მაინც მივისწრაფვით, რადგან დიდ შემოქმედებითს სტიმულს გვაძლევს. ისე, კაცმა რომ თქვას, არც აქა გვაქვს დიდი ანაზღაურება, არც ფილარმონიის ხელმძღვანელობისაგან ვართ განებივრებულები. პირადად მე არაფრით მიწყობენ ხელს, ყველაფრის გაკეთება თავად მიხდება. ასე, მაგალითად, ჩემს ერთ-ერთ კონცერტში მონაწილეობის მისაღებად მოვიწვიე ბრწყინვალე იმპროვიზატორი-მევიოლინე კარო აირაპეტიანი, რომელსაც პირადად გადავუხადე. დიდი სურვილი მაქვს ჩავატარო კონცერტი, რომელიც გამდიდრებული იქნება ქორეოგრაფიული ნომრებით (ვალსი, ტანგო, ჩარლსტონი და ა. შ.). მაგრამ სახსრებია საჭირო, მე კი ამის საშუალება არ გამაჩნია. იდეა, ვფიქრობ, კარგია, რეალიზაცია — ძნელი, რადგან არავინაა თანამდგომი. ამ ბოლო დროს კოოპერატივები წამოგვეხმარნენ, ანაზღაურებაც ალბათ ნორმალური იქნება და, ვფიქრობ, ჩემი საკონცერტო პროგრამაც უფრო მრავალფეროვანი გახდება.

— მეც მახსოვს მაგ მევიოლინის გამოსვლა. ვირტუოზის შთაბეჭდილება დატოვა, მშვენივრად მიესადაგა კონცერტს და ორგანულად შეერწყა. რასაკვირველია, კარგია ასეთი დონის იმპროვიზატორ-შემსრულებელთა ჩართვა კონცერტებში, როგორც წმინდა მუსიკალური, ისე რეჟისორული თვალსაზრისით. ერთი ეს მითხარი, მედეა, კიდევ თუ გაქვთ რაიმე სათქმელი აი, ისეთი, მუშაობაში რომ გიშლის ხელს.

— თბილისში კონცერტების წინ არავინ მეხმარება, რეპეტიციის ჩატარების საშუალებაც კი არა მაქვს. ყველა შავი სამუშაო თავად უნდა გავაკეთო. მიუხედავად ამისა, მაინც კმაყოფილებით ვაკეთებ ყველაფერს და განსაკუთრებით მიხარია თბილისელთა წინაშე გამოსვლა... ყოველივე ეს წელიწადში ერთხელ ხდება. ნუთუ არ შეიძლება უფრო ხშირად? თუ მთავრობის კონცერტია, სულ ერთიდაიგივე ხალხი მონაწილეობს. კი ბატონო, კარგად მღერიან, მე მათი წინააღმდეგი არა ვარ, მაგრამ... ერთხელ მეც მომეცი საშუალება ასეთ კონცერტში მონაწილეობისა, შემდეგ კიდევ ხვალ და ასე... განა რა არის ამაში ცუდი? ასევეა ტელევიზია. წელიწადში ერთხელ თუ გადახცემს ჩემს კონცერტს. ეს არის და ეს. მტკივნეულ საკითხადვე რჩება ჩემთვის ფირფიტების ჩაწერა-გამოცემის საქმეც. იქაც რიგებია, ფირფიტები გამოდის დიდი დაგვიანებით (ჩაწერიდან სამი წლის შემდეგ), რაც არასასურველი და ყოვლად გაუმართლებელია.

— ამაში ალბათ თქვენცა ხართ „დამნაშავე". მახსოვს, ჯერ კიდევ მამათქვენის ტელევიზიაში მუშაობის პერიოდში (იმხანად მეც იქ ვმუშაობდი მუსიკალურ რედაქტორად) როგორ იშვიათად და მორიდებით მოდიოდით რედაქციაში, სტუდიაში ჩაწერებზე. ცხოვრება კი ბრძოლაა, მით უმეტეს დღეს, როცა კულტურის სფეროში ესოდენ მომრავლდნენ არაკომპეტენტური ადამიანები. ამ ბოლო დროს სულ უფრო ბევრი იწერება ესტრადის საკითხებზე, პრობლემებზე, და სავსებით სამართლიანადაც, რადგან როკჯგუფებმა წალეკა ყველაფერი, ფასი დაკარგა მელოდიამ, გაჩნდნენ უნიჭო მიმბაძველები... თქვენ რა აზრისა ხართ ამასთან დაკავშირებით?

— კატასტროფული მდგომარეობაა. თითქმის აღარ არსებობენ კომპოზიტორები, რომლებიც შექმნიან კარგ ქართულ სიმღერებს. იყო გიორგი ცაბაძე და კიდევ ერთი-ორი მისთანა, ახლა აღარ არიან, ან აღარ წერენ. მახსოვს, წინათ ლექსიდან იწყებდა კარგი სიმღერა არსებობას.

ჩემი აზრით საესტრადო ჯგუფებმა, მათმა მოძალებამ მოხპო ყველაფერი. მთავარია იყოს სინთეზატორები, გაუთავებელი რიტმული ხმაური, მეტი აღარაფერი აინტერესებთ. ვიღას ახსოვს მელოდია?.. გაქრა კარგი მელოდია, დაიკარგა მისი ფასი. ამ ბოლო დროს მომღერლებმაც დაიწყეს ძალიან აქტიურად სიმღერების წერა... სიმღერა იმისთვისაა, მეც ვიმღერო, შენც, იმანაც. მომღერლების მიერ შექმნილ სიმღერებს კი ავტორების მეტი არავინ მღერის.

ჩვენ, ვინც რუსული რომანსები მაინც შემოვიტოვეთ და იმით რამდენადმე ვავსებთ რეპერტუარს, გვამტყუნებენ, მაგრამ... თუკი ჩვენი ქართველი კომპოზიტორები მოგვაწოდებენ ახალ კარგ სიმღერებს, იმათ უფრო ხშირად და სიხარულით არ შევასრულებდით?..

— ახლა კი „არამუსიკალური" შეკითხვა მინდა მოგცეთ: რამდენადაც ვიცი, თქვენ უაღრესად დიდი (მრავალრიცხოვანი) ოჯახის წარმომადგენელი ხართ. გთხოვთ, ორიოდე სიტყვით გვითხარით ამის თაობაზე.

— დიახ, ჩვენს დიდ ოჯახში ხუთი თაობა ვცხოვრობთ, ერთ ბინაში ვართ 84 წლის ბებიაჩემი ჩუტა და ჩემი წლინახევრის შვილიშვილი ელენე, ჩემი მშობლები, შვილი, მეუღლე, რძალი, 97 წლის მარი, წარსულში საზოგადო მოღვაწე, თითქმის საუკუნის ტოლი ბებიის და.

ჩემი ვაჟი — ბიძინა ბარათაშვილი უნივერსიტეტის მეცნიერ-თანამშრომელია, მალე დაიცავს დისერტაციას. ნანა, ჩემი რძალი, უნივერსიტეტის ასპირანტია, ისტორიკოსი. მეუღლე დოცენტია, ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის თანამშრომელი. ყველანი ვმღერით, ყველას გვიყვარს სიმღერა, და რაც მთავარია, ტკბილად, ხმაშეწყობილად ვცხოვრობთ, არ იგრძნობა თაობათა სხვაობა.

— ღმერთმა გაგრძელოთ, არ მოგშლოდეთ ოჯახური სითბო და სიმღერისადმი სიყვარული.

გზა დავულოცოთ

ბევრ თქვენგანს უთუოდ ემახსოვრება ტელევიზორის ეკრანიდან გამობრწყინებული ოთხი წლის ქერათმიანი პატარა გოგონა, როგორი გატაცებით მღეროდა რაფაელა კარას „სკოპია-სკოპიას". ჯერ კიდევ საბავშვო ბაღის აღსაზრდელს მრავალჯერ დაუტკბია ჩვენი მსმენელი თავისი საამო და წკრიალა ხმით.

დღეს მარინე ნადირაძე ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სპეციალური სამუსიკო სკოლის მეოთხე კლასის წარჩინებული მოსწავლეა. პედაგოგ ვეკა სვანიძის ხელმძღვანელობით დიდი გატაცებით ეუფლება სამუსიკო ხელოვნების რთულსა და საინტერესო ჟანრს — საფორტეპიანო ხელოვნებას.

კონსერვატორიის მცირე დარბაზში შედგა მისი პირველი დებიუტი, მაშინ მარინე პირველი კლასის მოსწავლე იყო. მეორე კლასელმა შეასრულა ცნობილი ქართველი კომპოზიტორის ა. ბალანჩივაძის საფორტეპიანო კონცერტი, საქართველოს ქორეოგრაფიული საზოგადოების კამერულ ორკესტრთან ერთად (დირიჟორი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ვადიმ შუბლაძე). მესამე კლასელი მარინე კი უკვე კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში უკრავს სიმფონიური ორკესტრის თანხლებით (დირიჟორი საქართველოს სსრ დამსახურებული მოღვაწე რევაზ ტაკიძე), კიდევ ერთი წელიც და მოცარტის № 20 კონცერტით (დირიჟორი რ. ტაკიძე) წარსდგა მსმენელის წინაშე.

შესრულების უზადო სიწრფელე და სისადავე, ნაწარმოების სრულყოფილად ფლობის ტექნიკა, აი, რითი გამოირჩევა მარინე ნადირაძის ხელწერა.

ახლახან კიდევ ერთი სასიხარულო ცნობა მოვიდა ქალაქ ვილნიუსიდან — ნორჩი პიანისტი დვარიონასის სახელობის საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი გახდა.

ფეხბედნიერი ყოფილიყოს მარინე ნადირაძის გზის დასაწყისი.

ყვავილები

ტროპიკული ტყის — ჰილეის ბნელ ტყეებში ყვავილები არც ისე ხშირი მოვლენაა. მხოლოდ ტყის ველებზე ვხვდებით ბუჩქებსა და ბალახოვან მცენარეებს, რომლებიც კაშკაშა-ბრდღვიალა ფერის ყვავილებითაა დაფარული, მაგრამ სინაზის, სილამაზისა და სინატიფის ეს ჭეშმარიტი განსახიერებანი იკარგებიან ზღვა სიმწვანეში. ყველაზე მშვენიერი ყვავილები ზემოთ, ხეთა ზროსა და ტოტებზე იზრდებიან.

ეპიფიტთა — ტროპიკული ტყის მდგმური მცენარეების — ფოთლებითა და ყვავილებით გირლიანდებივითაა მორთული ჰილეას ხეები. ყველაზე უხვად ისინი ხარობენ ჭარბტენიან ადგილებში. გავრცელებულია აზრი, თითქოს-და ტროპიკულ წვიმის ტყეებში ყველაზე ლამაზი ფერისა და ფორმის ეპიფიტები ორქიდეებია.

ამ მცენარეთა სწორედ ამ ფორმებს უძღვნეს ინდიელებმა პოეტური სახელწოდება — „ჰაერის ქალწულები“.

ორქიდეები, როგორც ახალი, ისე ძველი სამყაროების ტროპიკულ ტყეთა სიამაყეა, ბუნების თავისებური სამყაროს განუყრელი ნაწილია. ეს ის სამყაროა, რომელიც უშურველად იფრქვევა ბუნებრივი სილამაზის ათასგვარ ათინათად. მათ ხელოვნურ მომრავლებას ევროპაში ჯერ კიდევ მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში მიჰყვეს ხელი. ამ საქმით განსაკუთრებით ინგლისელები იყვნეს გატაცებულები. მეორე მსოფლიო ომის წინ ორქიდეას ერთ-ერთი ნაირსახეობა — ოდონტოგლოსური, ინგლისში 1720 გინეად გაიყიდა. თავგამოდებულმა ნადირობამ გააღარიბა ბუნებაში მათი სახეობრივი შემადგენლობა.

ყვავილზე მონადირეები წარბშეუხრელად ჭრიდნენ უზარმაზარ ხეებს, რათა ხელში ჩაეგდოთ მიუწვდომელ სიმაღლეზე მოყვავილე მცენარე. მაგალითად, ერთ-ერთმა კოლექციონერმა შეაგროვა ოდონტოგლოსურის 10000 ეგზემპლარი. ასეთი ძვირფასი ნადავლისათვის „მონადირემ“ 4000 ხე მოჭრა. ტყეების მსგავსი უგუნური განადგურება მით უფრო გულსატკენია, რომ იგი სპობს ამ მშვენიერი ყვავილების არსებობის ეკოლოგიურ გარემოს.

ზოგიერთი ყვავილები, როგორც ეროვნული ემბლემა, ამშვენებს ამა თუ იმ სახელმწიფოს გერბს. ველური ვარდი — ასკილი, დიდი ბრიტანეთის ემბლემაა, ქრიზანთემა — იაპონიისა, ორქიდეა სინგაპურის ეროვნული ყვავილია. ამ სამხრეთული ქვეყნის ლამაზი ბუნების მშვენიერების სიმბოლო გამოხატულია სინგაპურის ფულზე — მონეტებზე, ბანკნოტებზე.

სინგაპური — ამ ყვავილ-დედოფლის პირველი ექსპორტიორია მსოფლიოში. ადგილობრივ მებაღეებს სელექციის გზით გამოჰყავთ უნაზესი ტროპიკული ყვავილის ასობით ჰიბრიდული ფორმა. სტუმარ-მასპინძლობისა და კეთილმოსურნეობის აღსანიშნავად სინგაპურელები ორქიდეას ჩუქნიან სასურველ სტუმარს.

...ორქიდეა ამშვენებს მდიდართა თუ ღარიბთა საცხოვრებელს, ქალები ყვავილს იბნევენ თმებსა და ტანსაცმელზე. თაილანდში ორქიდეასთან დაკავშირებით კიდევ ასეთი წესი არსებობს: სასტუმროს ნომერში, ვახშმობის შემდეგ სასთუმალზე დებენ ამ ყვავილს თავისებური ფორმის ღია ბარათით, რომელზედაც ოთხ ენაზეა წარწერილი: „ძილი ნებისა!“.

როგორც ბუნებაში, ისე ბოტანიკური ბაღების ხელოვნურ წყალსატევებში, სხვა წყალმცენარეებთან ერთად, შეუძლებელია მნახველს დაავიწყდეს თეთრი ან მოვარდისფრო ყვავილებით დამშვენებული, უზარმაზარი, მუქ-მწვანე ფოთლებიანი ლოტოსი. ეს მცენარე ერთ-ერთი ყველაზე არქაული სახეობაა დედამიწის ზურგზე (ლოტოსის განვითარების ისტორია 100 მილიონ წელიწადს აღემატება) და შორეული აღმოსავლეთის ხალხთა შეგნებაში მორალური სიწმინდის გამოხატულებას წარმოადგენს. ამიტომ, ლოტოსი ბუდიზმმა თავის ერთ-ერთ რელიგიურ სიმბოლოდ გადააქცია, წმინდა ტაძრის განუყრელ აქსესუარად გამოიყენა. ფერწერასა და სატაძრო სკულპტურაში ბუდა ჩვეულებრივ თეთრი ლოტოსის გიგანტურ ყვავილზე ზის დამახასიათებელ მდგომარეობაში.

აღმოსავლეთ აზიაში დიდი სიყვარულით სარგებლობს უხვ-ყვავილებიანი ხე-მცენარეები. აქ ყველაზე პირველად უნდა აღინიშნოს ცნობილი იაპონური ალუბალი — საკურა. თავისი სამშობლოს პოეზიაში საკურას ყვავილობასთან ორგანულადაა ჩაქსოვილი ინტიმურ გრძნობათა მოტივები, სამიჯნურო ლირიკა. ინგლისში ამ მცენარემ ადგილობრივი დამფასებლების სახით ჭეშმარიტად მეორე სამშობლო ჰპოვა. ადრე გაზაფხულზე საკურას შიშველ, დაღუნულ ტოტებზე არნახული სიუხვით გამოეფინება ხოლმე ნაზი მოვარდისფრო და თეთრი ყვავილები.

უაღრესად სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ მცენარეთა კულტის მხრივ ევროპის ბევრი ქვეყანა ტოლს არ უდებს სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებს, სადაც წლის სეზონი ხშირად დაყოფილია ბუნებრივი, მთვარისა და არა ხელოვნური, ასტრონომიული წლის მიხედვით, ხოლო სეზონთა მაუწყებელია ლამაზად მოყვავილე მცენარე: ადრე გაზაფხულის მაცნეა ქლიავის ყვავილობა, შუა გაზაფხულისა ალუბალი, შემოდგომის ქრიზანთემა და ა. შ.

აღმოსავლეთიდანაა შემოტანილი დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ე. წ. დაბალი ტიპის პარკები, რომლებსაც ქმნიან თითქმის ჯუჯა მრავალწლიანი დეკორაციული მცენარეები. ამ მცენარეთა სრულიად სხვადასხვა ფორმის ერთმანეთში გადაწნული ტოტები ყოველთვის ბუნებრივად როდია მიღებული.

მხატვარი-მეოცნებ ე ე ბ ი ს მიერ შექმნილი ეს სამყარო იმდენად მრავალფეროვანი და განსხვავებულია, რომ ამ ხელოვნებაშიც, როგორც ყველა სხვაში, გვხვდება „რეალიზმი“, „რომანტიზმი“, „იმპრესიონიზმი“, „კონსტრუქტივიზმი“, „ექსპრესიონიზმი“, „კუბიზმი“ და სხვა იზმებიანი მიმდინარეობანი. მაგალითად, ვთქვათ, პარკის რომელიმე კუთხეს ამშვენებს უხეში მორი ან ჯირკი, გაწყობილი სხვადასხვა ფორმის ხმელი ტოტებით. ცოცხალი ყვავილები კი — ვანდა ალუბალი — გვხვდება, ისინი იგულისხმებიან. გამხმარი ტოტები ლამაზი ნაყოფით, ველური და სარეველა ბალახები ამშვენებენ არა მარტო პარკებსა და სკვერებს, არამედ ბინებს, საწოლ ოთახებს, სამუშაო კაბინეტებსა და სხვა. აქ აქცენტი აღებულია არა ყვავილსა და მის შეფერილობაზე, არამედ ბუნების ფორმაზე, მის ფილიგრანულ სიკოხტავეზე.

ბუნების სილამაზისადმი ხარკის მოხდას ნიშნავს ის მიმზიდველი, ტრადიციული დღესასწაულები, რომელსაც ჰოლანდიელები, ინგლისელები და სხვები ზოგიერთ ყვავილს უძღვნიან. ვარდს, შროშანას, ქრიზანთემას, ტიტას, იასა და სხვებს, ამ ქვეყნებში თავიანთი დაბადების დღეები აქვთ. ამ დღეს სხვადასხვა ყვავილებად გამოწყობილი ბავშვები ავსებენ პარკებს, ქუჩებსა და საზოგადოებრივი შეკრების სხვა ადგილებს. ეწყობა სახალხო სეირნობები, რომელსაც აქტიურად უჭერს მხარს ადგილობრივი მუნიციპალიტეტები, პრესა, ტელევიზია... ინგლისში, აპრილის ერთ-ერთ მშვენიერ დღეს, მეც მქონდა სიამოვნება, დავსწრებოდი ტიტას დღესასწაულს, ანუ „ტულპ ფესტივალს“, როგორც იქ უწოდებენ. ათასგვარი გირლიანდებითა და ფოიერვერკებით გაცოცხლებული პარკები საღღესასწაულო განწყობილებას ქმნიან დიდებსა და პატარებში. მსგავსი ტრადიციები ჩვენშიც, საქართველოშიც ინერგება.

დიდ ბრიტანეთში აპრილ-მაისი სწორედ ბუნების მოყვარულის თვალითაა ყველაზე საინტერესო. „მარტის ქარებსა და აპრილის შხაპუნა წვიმებს მოჰყავთ მაისის ყვავილები“, — ამბობს ინგლისური ანდაზა. მისი ჭეშმარიტება უდაოა. ამ პერიოდში თვალში საცემია ხალხის ნაციონალური რიტუალები. მათგან ყველაზე მეტად აღსანიშნავია 23 აპრილი — შექსპირის გარდაცვალების დღე. ამ დღეს გენიალური დრამატურგის მშობლიურ ქალაქ სტრატფორდში იმართება მემორიალური ფესტივალი — მსოფლიოს მოწინავე თეატრები, მათ შორის რუსთაველის თეატრსაც ხვდა პატივი. დგამენ შექსპირის პიესებს, სპექტაკლებს ესწრებიან ბრიტანეთისა და უცხოეთის სრულიად სხვადასხვა კუთხეებიდან ჩამოსული სტუმრები.

არნოლდ გეგეჭკორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეურნეო ანგარიში: რა მოგვიტანა, რას მოგვიტანს?

ეკიდე ტვირთი

შარშან, მთელი წლის მანძილზე, კოლექტივი წელში ვერ გასწორდა. უჭირდათ, ერთობ უჭირდათ მძიმე ტვირთის ტარება. ლაპარაკია თბილისის საწარმოო გაერთიანება „საქელექტრომანქანის“ სახელშეკრულებო ვალდებულებათა ტვირთზე, რომლის 11,5 პროცენტი შეუსრულებელი დარჩა. ვეღარ ზიდეს და რა ექნათ? რასაც მოერივნენ, წაიღეს, რასაც ვერა, გზაში მიატოვეს.

ღალატს, პირის გატეხას რა მოჰყვება ხოლმე, ყველას კარგად მოეხსენება. იზარალა მომხმარებელმა — 108 ათასი ცალი ელექტროძრავა დააკლდა, იზარალა გაერთიანებამაც — ხელშეკრულების დარღვევისათვის 630 ათასი მანეთი ჯარიმა გადაიხადა, 840 ათასი მანეთი გამოაკლდა დაგეგმილ მოგებას.

ეს უბრალო ციფრები არ გახლავთ. ნუ დაგვიწყდება, რომ სწორედ ისინი კვებავენ საწარმოში მუშაკთა ანაზღაურებას, პრემიებს, კულტურულ-საყოფაცხოვრებო ფონდებს, კოლექტივის კეთილდღეობის მთელ არტერიას.

— წინასწარ ვიცი, — მეუბნება გაერთიანების მთავარი ინჟინერი ჯემალ ჩანტლაძე, — რას ფიქრობთ ჩვენს საწარმოზე: სიმძლავრეები გაქვთ, ადამიანები გყავთ, დირექტორადაც თქვენს კოლექტივში აღზრდილი კაცია არჩეული, პროდუქციის სახელმწიფო მიღებაც დაგინერგიათ და სამეურნეო ანგარიშის პროგრესული მეთოდიც. ერთი სიტყვით, კაციც თქვენს მხარეზეა და ღმერთიც, ხელი გაანძრიეთ და მდინარის გადაცურვაც აღარ გაგიჭირდებათო.

— არა, მე სულ სხვა კუთხით მინდოდა წაგვემართა საუბარი. უფრო მეტად ის მაინტერესებს, კაცმა რად უნდა იტვირთოს იმაზე მეტი, რისი ტარებაც არ შეუძლია? ეს მით უფრო წარმოუდგენელია ახლა, როცა რადიკალური ეკონომიკური რეფორმა ანგრევს დირექტიულ, მბრძანებლურ მეთოდებს და სულ უფრო მეტ თავისუფლებას აძლევს საწარმოებს. თქვენც ამდგარიყავით და გამოგეყენებინათ ეს თავისუფლება, იმდენ ძრავაზე დაგედოთ ხელშეკრულება, რამდენის გაკეთებასაც შესძლებდით.

— ჩვენც ეგ გვტკივა, მაგრამ ვინ დაგვიჯერა? გარდაქმნა, სამეურნეო რეფორმა ისე მარტივად და სწორხაზოვნად არ მიდის, როგორც ზოგიერთს წარმოუდგენია. იმ უწყებას და სამინისტროს, ჩვენს ზემოთ რომ დგანან, თავიანთი გეგმები და ამოცანები აქვთ, რომლებიც ჯერ კიდევ წინა ხუთწლედში შეიმუშავეს. რაკი შეიმუშავეს, უნდა განახორციელონ კიდეც, მაგრამ როგორ, რა გზებით — ეს კი აღარ უწყიან. ამიტომაც გაორებული არიან: თან სამეურნეო ანგარიშისა და დამოუკიდებლობისაკენ გვიწევიან, თან ძველ პოზიციას ებღაუჭებიან, ჩვენს აზრს ანგარიშს არ უწევენ. გაბერილ, დაუბალანსებელ გეგმებს გვაძლევენ, მერე კი თუ ღმერთი გაგვიწყრა და ვერ შევასრულეთ, თითს გვიქნევენ, ზოგჯერ მუშტსაც გვიბრახუნებენ!

— როგორც თქვენ ხატავთ, მთლად ასეც არ უნდა იყოს. არსებობს კანონი სახელმწიფო საწარმოს შესახებ, რომელიც დიდ უფლებებს გაძლევთ. ყოველ საწარმოში არჩეულია შრომითი კოლექტივის საბჭო, რომლის აზრს, წინადადებებს ანგარიშს უწევენ.

— ჩვენც ასე გვჯეროდა, — ამბობს დირექტორის მოადგილე ეკონომიკის დარგში, შრომითი კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე იური კარაპეტიანი. — ამიტომაც შევიკრიბენით საბჭოს წევრები, ვიმსჯელეთ, დავასაბუთეთ გეგმის არარეალურობა და შემცირება მოვითხოვეთ. მაგრამ რა გამოვიდა? სამინისტროში კი გაეცინენ ჩვენს მოსაზრებას, მაგრამ ცივი უარი გვტკიცეს.

— ვითომ რათაო? იქნებ თქვენი შეხედულებები მართლაც ვერ დაასაბუთეთ?

— განა რა იყო ჩვენს მტკიცებაში დაუჯერებელი? საწარმოო სიმძლავრეები რომ გეგმას სანახევროდ სწვდებოდა, ეს ჩვენზე უკეთ მათ უწყოდნენ. გეგმის შეუსრულებლობას რომ მომხმარებლის დაღალატება, ჯარიმები და ეკონომიკური გაღატაკება მოჰყვებოდა, არც ეს აეჭვებდა ვინმეს, მაგრამ მაინც გაგვწირეს.

რას იზამ, ერთი ერთზე გასულებმა ვერ შევძელით სამინისტროს გადარწმუნება. ისე კი, რაც იმ წერილში ჩავწერეთ, ყველაფერი სიზმარივით აგვიცხადდა. იყო ერთი რეკვა და დეპეშების კორიანტელი კიშინიოვიდან, ომსკიდან, ვოლგოგრადიდან, ყაზანოვიდან და ვოტკინსკიდან. ეს ის ქალაქებია, რომელთა საწარმოები სარეცხ მანქანებში იყენებენ ჩვენს მიერ გამოშვებულ ელექტროძრავებს. რა თქმა უნდა, სარეცხი მანქანების ამ ბუმში, როცა ყოველდღიურად იზრდება მათზე მოთხოვნილება, ჩვენც ვგრძნობდით პასუხისმგებლობას, მაგრამ რაც არ გვქონდა, რა გაგვეგზავნა?

რით ხდებოდა დანაკლისის კომპენსაცია? ჯარიმებით, სხვა ეკონომიკური სანქციებით, რაც კიდევ უფრო ავიწროებდა საწარმოს ისედაც თხელ ჯიბეს. ამას დაერთო სხვა უბედურებაც — შარშან მთლიანად გაკოტრდა გაერთიანებაში შემავალი ჯართის ქარხანა, თანაც ისე, რომ ხელფასების გაცემის თავიც აღარ ჰქონდათ. რა ექნა მეთაურ საწარმოს, არ დახმარებოდა? დაეხმარა და თვითონ გაჭირვებულმა. სხვისი ვალიც წამოიკიდა. შემდეგ ის ქარხანა მოსკოვის ერთ-ერთმა კოოპერატივმა შეისყიდა, მაგრამ ამას მდგომარეობა არ შეუცვლია — ვალი დღესაც გასასტუმრებელი აქვთ ფოთელებს.

დამეთანხმებით, გაერთიანებაში შექმნილი სიტუაცია იოლი არ არის. ამიტომაც დავინტერესდი კოლექტივის აზრით, გავესაუბრე ცალკეულ სპეციალისტებს, საამქროთა ხელმძღვანელებს, მუშებს, მათი შეხედულება, ალბათ, არც მკითხველისთვის იქნება უინტერესო.

ზაურ გოგოხია, საგრაგნილე საამწყობო საამქროს უფროსი: დღე ისე არ დაღამდება, ფიქრით სამეურნეო ანგარიშს არ გადავწვდე. განა იმიტომ, რომ მის სიკეთეში ეჭვი მეპარება. არა, მე ის მაწუხებს, ჩვენთან როგორ დავნერგოთ, როცა ამის პირობები არ გაგვაჩნია? დავიწყოთ სახელშეკრულებო ვალდებულებით, რომელსაც ჩვენ სისტემატურად ვარღვევთ და ასევე სისტემატურად ვჯარიმდებით. ერთი მითხარით, ჯარიმებით რა ისეთი ქონი უნდა მოვიკიდოთ, რომ ჩვენი თავიც ვარჩინოთ და სახელმწიფოსაც მოგება ვაძლიოთ?

თანაც მომხმარებელთან პირობას რომ ვარღვევთ, ამაში ყოველთვის ჩვენ როდი ვართ დამნაშაე. ჩვენ რომ სხვას ვუღალატებთ, სხვა კიდევ ჩვენ გვღალატებს. და ეს მოვლენები ისეა ერთმანეთზე გადაჯაჭვული, რომ კაცი ძნელად თუ დააღწევს თავს. შარშან, მაგალითად, რუსთაველმა პარტნიორებმა დაგეგმილი 480 ათასის ნაცვლად მხოლოდ 290 ათასი ცალი სტატორი გამოგვიგზავნეს. ეს ის ნაწილია, ურომლისოდაც ძრავას ვერ აწყობ. რა უნდა გვექნა? კარდაკარ დავრბოდით მოსახლეობაში, შინ მომუშავეებთან ხელშეკრულებებს ვაფორმებდით, სახლებში მიგვქონდა მათთან სტატორები გადასახვევად. მაინც ვერ შევძელით დანაკლისის ანაზღაურება, მაინც ვერ დავაღწიეთ თავი მომხმარებელთან პირის შერცხვენას.

— სწორი გითხრათ, გული მწყდება ხოლმე, როცა ირგვლივ ამდენ ფერიცვალებას, სასიკეთო გარდაქმნებს ვხედავ, — განაცხადა საწარმოს ამწყობმა ზეინკალმა ვაჟა კახურაშვილმა, — ჩვენთან კი განახლებისა თითქმის არაფერი იგრძნობა. სამინისტროშიც, შეიძლება ითქვას, დაობებული მეთოდით მუშაობენ. მაგ დალოცვილს მარტო გეგმების გადიდებაზე აქვთ ხელი გავარჯიშებული, იმას კი აღარ უყურებენ, რომ ათაბაბინდელი ნორმატივებით ვშრომობთ. ასეთი ნორმატივით თავიც რომ მოიკლა, თვეში 80-100 მანეთს ვერ ასცილდები. არადა, ოჯახი მაქვს, შვილები მყავს, რითი ვირჩინოთ თავი?

— როგორ ფიქრობთ, — ვეუბნები მთავარ ინჟინერს, — საიდან მოვევლება საქმეს, რაში ხედავთ მძიმე ფინანსურ მდგომარეობიდან გამოსავალს?

— გეგმის კორექტირებაზე გაფიქრებაც არ შეიძლება, მიუხედავად იმისა, რომ იგი კვლავ გაბერილი და არარეალურია, თანაც მთლიანად სახელმწიფო შეკვეთით შემოიფარგლება. ხსნის გზა ერთია — რომ არ გავკოტრდეთ, სახელმწიფოსაგან სესხად ვალუტა უნდა ავიღოთ, საზღვარგარეთიდან სტატორის დასახვევი და ჩასაწყობი დანადგარები შემოვიტანოთ, ახალი სიმძლავრეებიც ავითვისოთ.

— რა გაქვთ მხედველობაში?

— გურჯაანის მშენებარე ქარხანა. ძნელია მშენებლების იმედი იქონიოთ. ისინი შარშანაც გვპირდებოდნენ ქარხნის დამთავრებას და იმის წინათაც, მაგრამ თუ ახლაც არ დაგვაღალატეს და ახალი საწარმო წლის პირველ ნახევარში მაინც ჩაგვაბარეს, სწორედაც რომ წელში გავსწორდებით: იგი ხომ წელიწადში 350 ათას ძრავას გამოუშვებს. ეს თითქმის მთელი ჩვენი გეგმის ნახევარია.

ერთი სიტყვით, იმედის შუქი გამოკრთა, ყველაფრიდან ჩანს, გარდაქმნის ტალღა აქეთაც მოგორავს. უნდა ვივარაუდოთ, საწარმოს კოლექტივი თუ ამ ტალღას გაჰყვება, ტვირთსაც შეიმსუბუქებს და ნაპირსაც მშვიდობიანად მიაღწევს.

ოთარ ხუციშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლიტიკური ანეკდოტი



ცნობილი საბჭოთა მუსიკოს-შემსრულებელი (ვიოლინო) მსტისლავ როსტროპოვიჩი შვეიცარიაში საგასტროლოდ მიემგზავრებოდა. ცხადია, უნდოდა, ცოლიც თან წაეყვანა, მაგრამ „უფროსობა“ წინააღმდეგი წავიდა. მაშინ იგი „მაღალ ინსტანციებში“ სიარულს შეუდგა და არცთუ უშედეგოდ. ინსტანციის რომელიღაც საფეხურზე მას (ურჩიეს:

— დაწერეთ განცხადება ან მოხსენებითი ბარათი, ერთი სიტყვით, რაიმე მოიწერეთ. მაგალითად, ასეთი რამ: „გთხოვთ, ცუდი ჯანმრთელობის გამო, თან გამომაყოლოთ ჩემი ცოლი“. აი, რაღაც ამდაგვარი. გასაგებია? და მერე ვნახოთ.

იმედმიცემულმა მუსიკოს-შემსრულებელმა ქაღალდის სუფთა ფურცელი ითხოვა და დაწერა: „გთხოვთ, საუცხოო, ესე იგი, წუნდაუდებელი ჯანმრთელობის გამო თან გამაყოლოთ ჩემი ცოლი“. ხოლო, ყოველი შემთხვევისათვის, მაინც მიაწერა: „გალინა ვიშნევსკაია“ — აგრეთვე ცნობილი საბჭოთა მსახიობი.

წარმოიდგინეთ, ამ მინაწერმა სიფხიზლით ცნობილ საბჭოთა ჩინოვნიკებზეც კი იმოქმედა.

* * *

იმდროინდელი სსრ კავშირის კულტურის მინისტრი ეკატერინე ფურცევა გამოჩენილ საბჭოთა პიანისტს სვიატოსლავ რიხტერს ესაუბრებოდა. საუბარი მსტისლავ როსტროპოვიჩზე ჩამოვარდა და მინისტრმა რიხტერს შესჩივლა:

— რატომ ცხოვრობს ეს საზიზღარი სოლჟენიცინი აგარაკზე როსტროპოვიჩთან?! რას ჰგავს ეს?

— მართალი ბრძანდებით, — კვერი დაუკრა რიხტერმა და მიუგო, — მართლაც, დიდი უწესივრობაა! როსტროპოვიჩის აგარაკზე ხომ ისედაც სივიწროვეა! დაე, სოლჟენიცინმა ჩემთან იცხოვროს...

* * *

ერთ დროს გახმაურებული კინოფილმის „ყუბანელი კაზაკები“ გადაღებები მიდიოდა. მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა მსახიობი იური ლიუბიმოვი იქ ერთ პატარა როლს ასრულებდა. ინსცენირებული იყო მდიდრული საკოლმეურნეო ბაზრობა: რა გინდა, სულო და გულო. მოკლედ, ყველაფერი უხვად ეწყო.

როლში შესულ მსახიობს შეუმჩნევლად ერთი ადგილობრივი მოხუცი ქალი მიუახლოვდა და ჰკითხა:

— ერთი მითხარი, გეთაყვა, საიდან და რომელი ცხოვრებიდან გაქვთ თქვენ ეს აღებული და წარმოდგენილი აქ. გინახავთ სადმე ასეთი რამ?

იური ლიუბიმოვი გვარწმუნებს, რომ სწორედ მაშინ დაეწყო მას ის იდეური ეჭვიანობა, რომელიც დღემდე გამოჰყვა.

ტაბიტა სალმონი

ჩვენი სტუმარია

საქართველოში სტუმრად იმყოფებოდა ინგლისელი მხატვარი ტაბიტა სალმონი. აქ ჩამოსვლამდე ტაბიტა სალმონი იყო მოსკვარეჩიეს რაიონში, რომელიც ლონდონი ლამბეთის რაიონთან არის დაძმობილებული. იქ მხატვარმა მრავალი ნამუშევარი შეასრულა და ლონდონში გამოფინა, რომელიც ფეხბედნიერი აღმოჩნდა მისთვის.

მხატვარმა იცოდა საქართველოს ძირძველი კულტურის შესახებ, იცოდა, რომ თბილისში ნამყოფი იყო მარგარეტ ტეტჩერი და აი, შარშან მან კიდეც მოახერხა საქართველოში ჩამოსვლა, იყო თბილისში, ბათუმში და თელავში, სადაც მრავალი ნამუშევრები შეასრულა, ზოგი მათგანი უკვე კოლექციების საკუთრებაა.

ტაბიტა სელმონს დამთავრებული აქვს ლონდონის ხუთწლიანი ხელოვნების ინსტიტუტი და ნაყოფიერად მუშაობს გრაფიკასა და ფერწერაში.

მისი გრაფიკული სურათები და ფერწერული ტილოები ჟანრულ-საყოფაცხოვრებო თემაზეა შექმნილი და ძალზედ კოლორიტულია. მხატვარი ძალიან ენერგიული და მომთხოვნია თავის მიმართ. ტაბიტა სალმონს შემუშავებული აქვს ახალი ტექნიკა — ზეთის პასტელი, რომელიც მის გრაფიკულ ნამუშევრებში საინტერესო ფერწერულ ეფექტებს იძლევა.

თბილისში ყოფნის დროს მხატვარი ახლოს გაეცნო ჩვენი მხატვრების ცხოვრებას, მათ შემოქმედებას და განსაკუთრებული ღირსებით აღნიშნა ნამუშევრების მდიდარი კოლორიტი, ერონული ფორმის გამომსახველობა, დინამიკა.

ტაბიტა სალმონმა დაათვალიერა თბილისთან ახლომდებარე კულტურული ძეგლები. ძველი თბილისის უბანში მან გააკეთა მრავალი ჩანახატი და ეტიუდი, რაც საფუძველია იმისა, რომ ძველი თბილისის თემა ახლებური, თავისებური ინტერპრეტაციით, აყვავდება ინგლისელი მხატვრის მხატვრულ ქმნილებებში.

ტაბიტა კვლავ აპირებს საქართველოში ჩამოსვლას, რათა უფრო ახლოს გაიცნოს და დაათვალიეროს საქართველოს ყველა კუთხე, შექმნას გრაფიკული თუ ფერწერული ქმნილებები.

გამგზავრების წინ მხატვარმა აღნიშნა, რომ მისი დიდი სურვილია, ლონდონში მოაწყოს გამოფენა, რომლის მთავარი თემაც საქართველო იქნება.

ხელოვნებათმცოდნე **ია ეზვანჯია**

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ტაბიტა

ხალმინი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„ანსამბლი-55“

ფოტოები ბონდო დვალიშვილისა და იური რიდალოვისა



ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოტო დავით კანდელაკისა

პატარა ნუციკო ნინო ანანიაშვილის თაყვანისმცემელია. როცა ნინო ცეკვავს, იგი გაფაციცებით ადევნებს თვალს მის მოძრაობას და მერე ბაძავს: ცერებზე დგება, დახტის, დაფარფატებს. მამამ იგი ქორეოგრაფიულ სტუდიაში მიიყვანა სტუმრად და დიდად გაახარა.

ყორღანოვის ქ. № 20

1857 წელს, გერმანიის პატარა ქალაქ ლანკენბურგში უმცროსი ასაკის ბავშვების გართობისა და მეცადინეობისათვის გახსნილი დაწესებულებების ზუსტად ოცი წლის შემდეგ, პეტერბურგში ამოქმედდა რუსეთში პირველი საბავშვო ბაღი. როგორც იმ წლების განცხადებები იუწყებიან, ამ საბავშვო ბაღში სამეცადინოდ დაიშვებოდნენ „4-7 წლის ასაკის ინტელიგენტი ბავშვები“ და წელიწადში გადასახადი შეადგენდა 65 მანეთს.

თავისი სახელწოდება საბავშვო ბაღმა მიიღო ცნობილი გერმანელი პედაგოგის, სკოლამდელი აღზრდის თეორეტიკოსის ფრიდრიხ ფრებელის (1782-1852) წინადადებით. ფრებელის იდეით „ბავშვები ცხოვრების ყვავილები არიან“, მათი აღზრდა-განვითარება, ყვავილების მსგავსად, უნარიან მოვლა-პატრონობას მოითხოვს. აქედან წარმოდგება ტერმინები „საბავშვო ბაღი“ და „ბავშვთა მებაღეები“ — ბაღის ხელმძღვანელები. მანვე გამოიგონა განსაკუთრებული დიდაქტიკური მასალა, ეგრეთწოდებული ფრებელის „ნობათი“, რომელიც წარმოადგენს მეცადინეობის სისტემას ბურთითა და გეომეტრიული ფიგურებით — კუბებით, ცილინდრებით, სამკუთხედებით, ძელაკებით. დიდი ადგილი ეთმობოდა აგრეთვე ცეკვებსა და სიმღერებს, ხატვას, ქერწვას.

გერმანიის შემდეგ საბავშვო ბაღები გაჩნდა საფრანგეთში (უწოდებდნენ „დედის სკოლებს“), ინგლისში („ნორჩთა სკოლები“), შვეიცარიაში, ამერიკაში და შემდეგ რუსეთში.

პეტერბურგისა და მოსკოვის შემდეგ მესამე ქალაქი იყო თბილისი, სადაც საბავშვო ბაღი ამოქმედდა. ეს მოხდა 1871 წელს, როცა XIX საუკუნის 60-იანი წლების ცნობილი საზოგადოებრივი და პედაგოგიური მოძრაობის მონაწილე ცოლ-ქმარი — ადელაიდა და იაკობ სიმონოვიჩები საცხოვრებლად თბილისში გადმოსახლდნენ პეტერბურგიდან, სადაც ისინი 1866-1869 წლებში სცემდნენ სკოლამდელი აღზრდის პირველ რუსულ ჟურნალს „საბავშვო ბაღი“.

სიმონოვიჩების გვარი და ცნობა იმის შესახებ, რომ მათ თბილისში გახსნეს საბავშვო ბაღი, პირველად 1871 წელს გამოჩნდა „კავკასიის კალენდრისა“ და სხვა გამოცემათა ფურცლებზე.

ადელაიდა და იაკობ სიმონოვიჩების საბავშვო ბაღი ხანგრძლივი დროის მანძილზე ერთადერთი იყო თბილისში. მაგალითად, ოფიციალური მონაცემებით 1882 წელს პეტერბურგში იყო თოთხმეტი საბავშვო ბაღი, მოსკოვსა და თბილისში თითო-თითო.

პირველი ქართული საბავშვო ბაღი კი თბილისში დაარსდა მოგვიანებით. ამ ბაღის შექმნაში დიდი წვლილი მიუძღვის ანასტასია და მიხეილ გედევანიშვილებს.

ცოტა რამ ცოლ-ქმარ გედევანიშვილების შესახებ.

ანასტასია კონსტანტინეს ასული გედევანიშვილი დაიბადა 1862 წელს. საშუალო განათლება მიიღო თბილისში და 1896 წელს თავის ქმართან — ცნობილ ქართველ ექიმთან — მიხეილ ალექსანდრეს ძე გედევანიშვილთან ერთად გაემგზავრა პარიზში, სადაც ორი წლის მანძილზე ლიტერატურისა და პედაგოგიკის ლექციებს ისმენდა სორბონის უნივერსიტეტში. იგი იყო ქალთა პირველი საერთაშორისო კონგრესის მონაწილე, თბილისში დაბრუნების შემდეგ აქტიურ პროპაგანდას ეწეოდა ქალთა თანასწორუფლებიანობისათვის, საზოგადოების დემოკრატიზაციისათვის.

1905 წლის 20 ნოემბერს მათ ბინაში, ყორღანოვის ქუჩის (ამჟამად ლეო ქიაჩელის ქუჩა) № 20 სახლში, გაიმართა ქართველ საზოგადო მოღვაწე ქალთა პირველი არალეგალური კრება. კრებას ესწრებოდა ინტელიგენციისა და მუშათა კლასის 150 საუკეთესო წარმომადგენელი. მოხსენება რევოლუციურ მოვლენებთან დაკავშირებით ქალთა მოძრაობის ამოცანების შესახებ გააკეთა ანასტასია გედევანიშვილმა. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ქალთა თანასწორუფლებიანობას საქართველოში „ადამიანის საყოველთაო უფლებების“ განხორციელებისათვის. კრება მიმდინარეობდა სრული დემოკრატიისა და საჯაროობის პირობებში. საგნებს უწოდებდნენ თავიანთ სახელებს, აკრიტიკებდნენ არსებულ წყობილებას, ხელისუფლების სათავეში მდგომ პირებს, თვით კრების მონაწილეებს. ერთხმად მიიღეს რეზოლუცია „ქალთა თანასწორუფლებიანობის საქართველოს კავშირის“ შექმნის შესახებ. „კავშირის“ თავმჯდომარედ აირჩიეს ანასტასია გედევანიშვილი.

ა. გედევანიშვილი კარგად იცნობდა ილია ჭავჭავაძეს, მისი რჩევით ფრანგულიდან ქართულ ენაზე თარგმნა ცნობილი ნორვეგიელი დრამატურგის ჰ. იბსენის პიესა „ნორა“, ფრანგ მწერალთა სხვა ნაწარმოებები. თარგმანებს, ისევე როგორც საკუთარ ნაწარმოებებს, ბეჭდავდა „ივერიაში“. იგი იყო „ნაკადულის“ რედკოლეგიის წევრიც, რომელშიც იბეჭდებოდა „ტასოსა“ და „გედევანის“ ფსევდონიმით.

პირველ საბავშვო ბაღში, რომელიც შექმნეს ა. და მ. გედევანიშვილებმა, სწავლება ქართულ ენაზე მიმდინარეობდა. თავდაპირველად საბავშვო ბაღი გედევანიშვილების სახლში იყო მოთავსებული. 1908 წელს ქალბატონმა ანასტასიამ ოფიციალური განცხადებით მიმართა განათლების სამინისტროს, დაეკანონებინათ საბავშვო ბაღი, მაგრამ პეტერბურგიდან თვით მინისტრის შვარცის ხელმოწერით მოვიდა კატეგორიული უარი ისეთი საბავშვო ბაღის ფუნქციონირების შესახებ, სადაც სწავლება მხოლოდ ეროვნულ ენაზეა. ა. გედევანიშვილმა კი ამ უარს უპასუხა: „ყოველი ბავშვი უნდა ფლობდეს მშობლიური ენას. მშობლიური ენის შესწავლის აკრძალვა დანაშაულია კაცობრიობის, ისტორიის წინაშე“, და საბავშვო ბაღი არალეგალურ მდგომარეობაში გადაიყვანა. მის გამოსვლას ენის დასაცავად, დედისა და ბავშვის სახელმწიფო დაცვის უზრუნველყოფის მოთხოვნების შესახებ აღტაცებით გამოეხმაურნენ რუსული გაზეთი „რეჩი“ (1909 წლის 18 დეკემბერი. სტატია „ბრძოლა ქართული ენის წინააღმდეგ“) და უკრაინული გაზეთი „რადა“ (1909 წელი, № 290). მთელი სწავლება საბავშვო ბაღში (აქ კი ბავშვები არა მარტო თამაშობდნენ, არამედ სწავლობდნენ ენას, ასოებს, ციფრებს, ანგარიშს, ყვებოდნენ ზღაპრებს, კითხულობდნენ ლექსებს ზეპირად, მღეროდნენ და ა. შ.) ქართულ ენაზე იყო. საინტერესოა ერთი ნიშნოს, რომ პირველ რიგში აქ იღებდნენ მუშათა და გლეხთა ბავშვებს, ამასთან არა მარტო ქართველებს, არამედ თბილისში მცხოვრებ სხვა ეროვნებების (რუს, სომეხ, პოლონელ) ბავშვებს, რომლებსაც სურდათ ქართული ენის შესწავლა. პირველი ეროვნული საბავშვო ბაღის შექმნას მხურვალე მოწონებით შეხვდნენ და ფართოდ დაუჭირეს მხარი საქართველოს მოწინავე ადამიანებმა. იაკობ გოგებაშვილმა სტიპენდია გამოუყო ღარიბი მშობლების შვილებს, აკაკი წერეთელი, რომლის სახელი ეწოდა საბავშვო ბაღს, მისი ხშირი სტუმარი იყო, უწევდა მას დიდ მატერიალურ დახმარებას. საბავშვო ბაღს ეხმარებოდა ილია ჭავჭავაძე.

ბავშვთა საკეთილდღეოდ თავის საქმიანობას გედევანიშვილებმა საფუძვლად დაუდეს უანგარო შრომის პრინციპი. საბავშვო ბაღი მრავალი წლის მანძილზე არსებობდა მიხეილ გედევანიშვილის სახსრებით. მისი სახელი ფართოდ იყო ცნობილი არა მარტო საქართველოში, არამედ რუსეთში, საფრანგეთში, გერმანიაში, საზღვარგარეთის სხვა ქვეყნებში.

მ. გედევანიშვილი დაიბადა 1862 წელს. 1883 წელს დაამთავრა თბილისის ვაჟთა პირველი გიმნაზია და (იგი მანგლისის მკვიდრი იყო) მოსკოვში გაემგზავრა, სადაც წარჩინებით ჩააბარა გამოცდები უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე. აქ დაუახლოვდა პროგრესულად განწყობილ სტუდენტებს და სტუდენტთა მღელვარებებში მონაწილეობისათვის 1887 წელს გარიცხეს უნივერსიტეტიდან. ერთი წლის შემდეგ კვლავ აღადგინეს. 1889 წელს მ. გედევანიშვილმა დაამთავრა უნივერსიტეტი. იმავე წელს დაბრუნდა თბილისში და დაიწყო მუშაობა უფროს ორდინატორად მიხეილის საავადმყოფოში.

აი, ერთ-ერთი საინტერესო ეპიზოდი მიხეილ გედევანიშვილის ცხოვრებიდან:

1906 წელს იგი ამომრჩევლად აირჩიეს ილია ჭავჭავაძესთან ერთად და პეტერბურგში გაემგზავრა თბილისის გუბერნიისაგან სახელმწიფო საბჭოს წევრთა არჩევნებში მონაწილეობისათვის. როგორც ცნობილია, ქართველმა ამომრჩევლებმა ერთსულოვნად მისცეს ხმა ილია ჭავჭავაძეს, სწორედ აქ ილია გამოვიდა დემოკრატიული უფლებების დასაცავად, მოითხოვა საქართველოსათვის ავტონომია.

1912-1914 წლებში მ. გედევანიშვილმა საკუთარი სახსრებით გამოსცა ილია ჭავჭავაძის თხზულებათა კრებული. 1922 წლის 29 ნოემბერს 60 წლის ასაკში იგი მოულოდნელად გარდაიცვალა. მისმა ქვრივმა საქართველოს ლიტერატურულ მუზეუმს უსასყიდლოდ გადასცა ილია ჭავჭავაძის სახელთან დაკავშირებული მასალების მდიდარი კოლექცია, აგრეთვე უნიკალური ბიბლიოთეკა.

დროთა ბობოქარ მსვლელობაში უდროოდ დავიწყეთ გედევანიშვილები. დაე, აღდგეს მათი ხსოვნა. მათი ცხოვრება ხომ, ისევე როგორც „ქალთა თანასწორუფლებიანობის საქართველოს კავშირის“ ისტორია, საქართველოში საზოგადოებრივი აზრისა და რევოლუციური განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიის განუყოფელი ნაწილია.

რევ დავიდოვი.

კაცი, ალერსით მზირალი, უბედურია, კეთილს ყველგან ზიზღით უცქერენ, არად აგდებენ. კაცი, ვისაც იმედით შესცქერ, უგულო არის. სამართალი არ არსებობს. დედამიწა გოროტების საბუდარია.

ძველი ეგვიპტური მანუსკრიპტი.

ემს სიცოცხლეში მხოლოდ ორჯერ მაქვს განცდილი სიყვარულის საოცრად მშვენიერი გრძნობა. არა, არც ქალისა და არც კაცისადმი, არამედ საერთოდ ადამიანებისადმი, რაკი სულით ასე ლამაზნი, ერთმანეთისადმი ასე კეთილნი იყვნენ. მაშინ.

ეს იყო სტალინგრადის მისადგომებთან 1943 წლის იანვრის ერთ გვიან, ღრუბლიან ღამეს.

დივიზიის სახელოსნოებიდან მოვდიოდი, აირწინაღის ჩანთით დატენილი აკუმულიატორი მომქონდა ჩემი რადიოსადგურისათვის. არა, გზა არ ამრევია... უბრალოდ, ვინემ მე ზურგში ვიყავ, ჩვენები შეტევაზე გადასულიყვნენ, მსროლელთა ასეულები, ნაღმმტყორცნელი თუ საარტილერიო ბატარეები წინ მიიწევდნენ. მთელი დღე ერთმანეთში ირეოდა ყველაფერი. ღამით ჩამშვიდდნენ, მხოლოდ. ჯარისკაცები გაყინულ მიწას ჭრიდნენ, რათა შემთხვევითი ტყვიებისა თუ სიცივისაგან სადმე შეერგოთ თავი.

დავეხეტებოდი მინდორში და ყველგან უცხო ქვედანაყოფებს ვაწყდებოდი.

— შემთხვევით ხომ არ იცით ორმოცდამეოთხის შტაბი?

— არა, ძმაო. თვალში ნუ გვეჩხირები, — მიშორებდნენ თავიდან.

მეც ისევ დავდიოდი იმ დათოვლილსა და ნაღმებით დათხრილ მინდორში. დაღლილ ღამეში კანტიკუნტად სკდებოდნენ ტყვიები. იქ, სადაც ბუნდად ჩაწოლილი ტრამალი შავ, ჩაბნელებულ ღამეს უერთდებოდა, ლეგა თოვლზე მკრთალად ფარფატებდა შორეულ ხანძართა ალი. ვერ ვხედავ, მაგრამ მთელი ტანით ვგრძნობ, რომ ამ ლეგა თოვლის ქვეშ მიწა დატენილია დაკუწული, უკვე გაცივებული და ამიტომ სრბოროტის დამკარგველი რკინეულით ანუ სიკვდილის ამოუსვლელი თესლით. ღამის ყოველ ნაბიჯზეა ამოჩრილი გადაგრეხილი იდაყვი ან შინელში ჩაქვავებული მხარი, ყინვით გასლიპული გლუვი მუზარადი, თოვლმიფუფქული თვალის ბუდეები რომ ჩაუმალია.

მე უკვე მიჩვეული ვიყავ გვამებს, თუმცა ოდესღაც მათ დანახვაზე მაკანკალებდა. ჩემთვის ისინი ყოფიერების ნაწილი იყვნენ, არასაჭირონი ისევე, როგორც ტყის მჩეხავისთვის ბებერი კუნძები.

ჰოდა, ამ ტრიალ ველზე ჩემსავით ყველასაგან მიტოვებული კიდევ ერთი ცოცხალი არსება დავინახე. შორეული ხანძრის შუქზე სიბნელიდან კოჭლობ-კოჭლობით გამოხანხალდა სამ ფეხზე შემდგარი ცხენი. ყოველ ნაბიჯზე სასაცილოდ აკანტურებდა თავს. დაჭრილა და უპატრონოდ მიუგდიათ. მთელი სიცოცხლე უჯაფია და კუზიც გასჩენია. ახლა კი ტყვიაც ვერ გაუმეტებიათ მისთვის, ისედაც გაფშიკავს ფეხებს შიმშილ-სიცივისა და ჭრილობებისგანაო.

მე უკვე მივეჩვიე ადამიანთა გვამებს, მაგრამ ამ ცხენის სიბრალულმა შანთივით დამიწვა გული. არადა, სიბრალულზე საშიში ომში არაფერია.

სიბრალულს უმალ ფიქრი მოსდევს: დღეს არა, ხვალ შენც ასე იქნები, ხვალ თუ არა, ზეგ მაინც გადმოგიბრუნდება იდაყვი, ასე დაკრიჭავ კბილებს, ასევე გაგეჩხირება ყელში გმინვა. აი მაშინ კი საშინელების მოლოდინში დაგიღამდება და გაგითენდება, წინასწარვე დაღუპულად იგრძნობ თავს, გაბრუვდები და ტყვიებს აღარ წაუხრი კისერს, ნაღმის წივილზე მიწას არ დააკვდები, სანგრის გათხრის ხალისს დაკარგავ, სულერთია მაინც მოკვდები და რაღად მინდაო. მაგრამ ასე გაბრუებული დიდხანს ვერ გაძლებ, თუ ყუმბარის ნამსხვრევმა არ შეგიწირა, ყინვა მოგიღებს ბოლოს. ამიტომ არც სიბრალულის უფლება გაქვს და არც ზედმეტი ფიქრის. ომი მძინვარებს! ამიტომ უნდა გატლანქდე და გაგულქვავდე!

მაგრამ ეს სიკვდილის ანაბარა მიგდებული ცხენი, რომელსაც წარმოდგენაც არა ჰქონდა ადამიანთა ამ სიგიჟეზე და ასე ბრმად ენდობოდა ადამიანებს, ომის უაზრობის ცოცხალი მაგალითი იყო. ამის შეგუება მე არ შემეძლო. თანაც ძალზე დაღლილი ვიყავი, გულმა ვეღარ გამძლო, სიბრალულის საშიშმა გრძნობამ მომწამლა.

მოწამლული გრძნობა მყის მხსნელ ფიქრს მოებღაუჭა: „აგერ საცაა ომიც მორჩება!..“ და წაბორძიკდა: „ჰო, მორჩება. შენც იქნებ ცოცხალი დარჩე... შეიძლება ისიც გადარჩეს, ვინც ეს ცხენი გამოაგდო... მაგრამ როგორ იცხოვრებთ? სიბრალულს, ტანჯვას გადაჩვეულნი, გულქვად ქცეულნი! ნუთუ გგონია, ეს საშინელი ომი შენ, სხვებს კვალს არ დაგამჩნევთ? როგორ იცხოვრებთ სულით სახიჩარნი სულით სახიჩართა შორის? აბა ირგვლივ მიმოიხედე, განა ასეთი რამ შეიძლება სულში სამუდამოდ არ ჩაგისახლდეს?“.

და ჩანდა იმ ბორგნეული ხანძრის მკრთალ ანაშუქზე კუზიანი ცხენი, ყინვის სამეფოში გაყინული ხორცის ნაჭერი, ამ ქვეყანაზე ზედმეტი ბარგი. საკუთარი თავიც ზედმეტ ბარგად ვიგრძენი იმ წუთს: აბა ჩემნაირად ომისაგან დაჩლუნგებული კაცი საჭირო ვისთვის იქნება! მერმისი ისეთი ცივი და აბნეული მესახებოდა, რომ ცოცხლად დარჩენის იმედიც კი აღარ მახალისებდა. პირიქით, შიშით მავსებდა. ღამის მშურდა კიდეც იმათი, ვინც უკვე თოვლში იწვა და თავზე ყინვით გალიქვეული მუზარადი ეხურა.

ფეხები თითქმის გამეყინა და შინელის სახელოებში მსუსხავი ქარი მიძვრებოდა — მე სული მედგა და მოვალე ვიყავ ჩემი პოლკის შტაბი მომეძებნა. ჰოდა, გავუდექ გზას ამ თხრილებსა და გვამებს შუა. ცხენი კი მარტო დავტოვე — თუკი ქვეყანას არ ჭირდება, არც მე მჭირდება...

ასიოდე მეტრის შემდეგ მიწურს წავაწყდი.

შედედებულ ჰაერში პარაფინის მსუყე სუნი იდგა, აი ისეთი, ახრჩოლებული გერმანული ჭრაქები რომ გამოსცემს ხოლმე. და კიდევ ის დიდებული სუნი მეცა, სიცივიდან ოთახში შესულს რეტს რომ დაგასხამს და თვალზე ცრემლს მოგადენს: სუნი ჯარისკაცური ტოლაღებისა, ტყაპუჭებისა, სველი თექების, გინდა არ გინდა, ასეთი ძალით რომ გაგრძნობინებს სიცოცხლის აღუზოცველობას და ომსაც მყისვე გადაგავიწყებს. სქელ ჰაერს — დანითაც რომ ვერ გაჭრიდი — აზანზარებს ძალუმი ხვრინვა. ხან გაბმული. ხან მკვნესარე. ხან აღტაცებული სლუკუნით სავსე. ასე ტკბილად ალბათ მხოლოდ ჯარისკაცს სძინავს, ვისაც კვირაში ბევრჯერ არ უწეია ტანგამართულად და თბილად ძილი. აქ კი თექებიც ბევრს გაუხდია, აკი ტოლაღთა სუნს უმარჯვნია ყველა სხვა სუნზე. ხვრინვით ხმა არხევს ჭრაქების ასოს. ძირიდან კი, მიწის სისქიდან, ყრუდ ატანს [illegible] ან ტრამალზე მონავარდე [illegible] ღმუილ-ზუზუნი.

არა, რაც არ უნდა თქვა, ეს სამოთხის კუთხეა, ბედნიერთა სამკვიდრებელი.

ბედნიერები ისე მიჯრით წვანან იატაკზე, ხელისგულს ვერ გაატევ. კედლიდან კედლამდე, ნარებზე თუ ნარებქვეშ, ყველგან ზეიმობს ძილის სამეფო.

ერთ-ერთი ბედნიერთაგანი, წელამდე გაშიშვლებული, არცთუ ისე ნორჩი, თანთალა ხორცი რომ გამოუნთავისუფლებია, პერანგგახდილი გატაცებითა და აშკარა ნეტარებით ჭყლეტდა ტილებს. მის გამელოტებულ, ლენინისნაირ, შუბლზე ფერხულს ცეკვავდნენ ჭრაქების ალის ანაშუქები.

— ჰეი შენ! კარი, კარი-მეთქი! — პერანგს თავი მიანება და შემომყვირა, მაგრამ მაშინვე ხმა მოულბა: — ოჰო, რადისტო, აქ რა გინდა?..

ეს ძია პაშა იყო საკომენდანტო ოცეულიდან, მუდამ რომ პოლკის შტაბის მიწურთან იდგა დარაჯად. ამ ცოტა ხნის წინათ კი მზარეულის თანაშემწეებსა და ქიმოცეულისა და სამეურნეო ბატალიონის ჯარისკაცებთან ერთად მსროლელთა ასეულში გადაიყვანეს, იქ თურმე ხალხი შეთხელდა.

მაშასადამე, ჩემიანებთან მომიღწევია.

— პოლკის შტაბი უკან დაგრჩენია, ბიჭო, დაბრუნება მოგიწევს. თუმცა შორი არაა, სამი კილომეტრი იქნება აქედან. მანამდე კი აქ ამოძვერი, ცოტა გათბები, — ძია პაშამ ადგილი მიჩვენა.

გადავაბიჯე მძინარეებზე, კრუსუნით. გაურკვეველი ზმუილითა და ფრიად გარკვეული გინებით რომ გვერდს ინაცვლებდნენ, თუმცა ძილი არავის შეუწყვეტია. ასე მივაღწიე ნარებამდე და იქ ვიღაცის ფეხებზე წავიბორძიკე. მძინარე ამჯერად შეინძრა და ჭრაქის ალზე გამოხოხდა. დავხედე და... გერმანელი შემრჩა ხელში. მსუქანლოყება, ძილისგან გაკარდისფერებული. ხალვათი რუხი მუნდირი ეცვა. რკინისფოლაქებიანი. მორცხვად იღიმებოდა, თითქოს ამბობდა: თუ შეიძლება მაპატიე, ჩემი დანახვით ასე რომ გაგაკვირვეო.

— ეს რაა? — ველარ მოვითმინე.

ძია პაშას პირმრგვალი ხორციანი სახე ღიმილმა გაუწელა:

— შევიძინეთ კაცი... ამ სამი დღის წინათ თავისი სამზარეულოთი ჩვენთან შემორიხინდა. გზა არევია მინდორში და ჩვენ მოგვადგა. მისი ფაფა კი დავამღერეთ, მაგრამ შტაბში აღარ გავგზავნეთ. იქ ამისთანა ენა არავის ჭირდება. ასე დარჩა ჩვენთან... ჰა, გიხარია, ვილი, ომს რომ მორჩი?..

ვილი თვალებს ჭუტავდა და იღიმებოდა. გრძელი ჟღალი წამწამები ჰქონდა და ბალღურად მიამიტი სუქანლოყება სახე. თვრამეტისაც არ იქნებოდა. იმ წელიწადს ცხრამეტს გადავაბიჯე და ალღო უშეცდომოდ მკარნახობდა, ვინ იყო ჩემზე უმცროსი და ვინ უფროსი.

მიწურში სიცივემ დაჰკრა.

— ეჰეი, ვილი, იაკუშინი მოვიდა. შეხვდი, — გამოაცხადა ძია პაშამ და პერანგი ჩაიცვა.

კართან ჯმუხა ჯარისკაცი იდგა — მუზარადის ქვეშ ნაქსოვი ქუდიდან აწითლებული თვალებიღა უჩანდა. იდგა და ვერ შემოდიოდა, ვინმეს ფეხი არ დაკაბიჯოო.

ჯაჭვი და ალაჯაჭვი

ვლადიმერ ტენდრიაკოვი

ბოლოს მძინარეებს შორის გამოიარა და ჩვენთან მოვიდა. ჯერ გაყინული მუზარადი მოიხადა, მერე ყურებიანი ბეწვის ქუდი, შემდეგ ნაქსოვი ქუდი მიაყოლა, და დიდი ხნის გაუპარსავი, სუსხისა და დაღლილობისგან გახევებული გლეხური, სქელდრუნჩა სახე გამოაჩინა.

ამასობაში კი ვილიმ ნარქვეშიდან კარგა დიდი ფუთა გამოაჩოჩა, სწრაფად შემოაძრო ბამბულა, ლაბად-კარავი, ვაფლის პირსახოცი და, სიხარულისაგან წამოწითლებულმა, იაკუშინს თბილი კარდალა მიაწოდა.

იაკუშინმა კმაყოფილებით ჩაიზმუვლა, დაძარღვულ-დაწითლებული ხელები ერთიმეორეზე შეიფშვნიტა და თექურიდან კოვზი დააძვრინა.

— აბა უყურე ერთი, რა თბილიბ! — მან იქით გამწია, ნარის კიდეზე ჩამოჯდა და ქუშად უბრძანა ვილის, შენც დაჯექიო.

ვილიმ მიამიტურად აახამხამა წამწამები და გაიღიმა.

— ვის ვეუბნები?.. ორივემ ერთად მოვღუნოთ.

ძია პაშამ ვილის ზურგში წაუთათუნა ხელი.

— შნელ! შნელ! რაკიღა გთხოვენ...

და ვილიც მორცხვად მიჩოჩდა კარდალასთან.

თავი თავთან მიდებული გერმანელი ბიჭი და რუსი გლეხი!.. ვხედავდი იაკუშინის მრგვალ კეფასა და განიერ ბეჭებს, მუყაითად მოძრავ ყბებს, კოვზით ფაქიზად მომუშავე ვილის, ძია პაშას, აპრიალებული შუბლის ქვემოდან დანამული თვალებით რომ კეთილად გასცქეროდა ორივეს, თუმცა ეტყობოდა, რცხვენოდა ამ კეთილი მზერისა და რაღაცნაირი ღიმილით, ორი დახრილი თავის ზემოდან, მიხსნიდა:

— კაი ბიჭია ვილი, კაი გულისა... მერე რა, რომ გერმანელია, ისიც ადამიანია. ჰოო... აკი იმ სამზარეულოდან იაკუშინმავე გადმოათრია, ახლა კი ხედავ, როგორ შეეტკბნენ ერთმანეთს.

მე კი სულაც არ მესაჭიროებოდა მისი განმარტებანი, მით უმეტეს ასეთი მობოდიშებით. გულში თავისთავად დნებოდა ის მძიმე სევდა, ჭურვებით გადათხრილ და გაფიჩხულ გვამებით სავსე მინდვრიდან რომ მოყვა. კი, გვამებია, კი, ხანძარია, კი, სადღაც იყინება ცხენი, გარეთ შეუბრალებლად გამოგდებული. რას იზამ, ომი ომია! შიშს მგვრიდა მხოლოდ ერთი რამ: ომი მორჩება, მაგრამ სისასტიკე და გულქვაობა დარჩება-მეთქი.

რა სულელი ვიყავი თურმე! ომი ბობოქრობს, ფრონტის ხაზი აგერ გვერდზეა, აქეთ-იქიდან ტყვიამფრქვევები ერთმანეთზეა დამიზნებული. ამ ორ მტერს კი უკვე მტრობა დაუვიწყნიათ. სადაა აბა გულქვავობა, სადაა აბა დაუნდობლობა?

მორჩება ომი და იაკუშინის სიკეთე, ვილის სიკეთე, მათი რიცხვი ხომ მილიონია, ისინი ხომ უმრავლესობას წარმოადგენენ, წყალდიდობასავით წალეკავს ქვეყნიერებას!

ალბათ მაშინ ასე არ მიფიქრია. ცხრამეტი წლისა რომ ხარ, გული უფრო მეტს გეუბნება, ვინემ გონება. უბრალოდ ყელში მომაწვა და ლამის დამახრჩო იაკუშინის, ვილის, ძია პაშას, ამ ახვრინებულ ჯარისკაცების, მთელი კაცობრიობის სიყვარულმა, ასე უცბად რომ ივიწყებს სიავეს და სიკეთისადმი ილტვის მუდმივად. ცრემლებმა ლამის გამგუდა, ბედნიერების, სიამაყის ცრემლებმა მთელი კაცობრიობის გამო!

მე ათეისტად ვიყავ გაზრდილი. მათეს სახარება მაშინ არ მქონდა წაკითხული. არ ვიცოდი მთაზე თქმული ქადაგების სიტყვები: „ხოლო მე გეტყვ თქუენ: გიყუარდეთ მტერნი თქუენნი და აკურთხევდით მწყევართა თქუენთა და უარყოფდით მოძულეთა თქუენთა და ულოცავდით მათ, რომელნი გამძლავრობდნენ თქუენ და გდევნიდნენ თქუენ... უკეთუ გიყუარდენ მოყუასნი თქუენნი, რაი სასყიდელი გაქუს? რამეთუ მეზუერეთა და ეგრეთვე ყვიან“.

მაგრამ, მგონი, იმ წუთას მე თავად გავიზარდე ამ სიტყვებამდე და მიამიტური გატაცებით გულუბრყვილოდ მჯეროდა შეუძლებელის.

ამ დახუთულ და მაინც მაცოცხლებელ, ნეტარებით მხვრინავ მიწურში რაღაც ნახევარი საათი დავყავი, მეგონა კი, იქ გაჩენილი იმედი მთელი სიცოცხლე გამყვება-მეთქი. თუკი მომცემენ ამ სიცოცხლეს, თუკი ბედი ომის დამთავრებას მომასწრებს, ჩემ ირგვლივ იქნებიან სისხლითა და სიძულვილით დაღლილი, სიყვარულს მონატრებული ადამიანები... მაშინ გერმანელი მონანიებით შემოაბრუნებს სახეს რუსისკენ და, რაოდენ დაუჯერებელიც არ უნდა იყოს, დიახ, დიახ! — დედები შეუნდობენ თავიანთი ვაჟების სიკვდილს, ვაჟები — მამებისას. ასე უნდა იყოს და ასეც იქნება. ვილისთან ერთად ერთი ქვაბიდან ერთი ულუფის გამზიარებელი იაკუშინი ამისი საწინდარია.

დილით კი ისევ აბორგდნენ საარტილერიო ბატარეები, ისევ აყეფდნენ ნაღმმტყო-

რცნები, გუგუნით გაეხმიანა მიღმა მხარეზე მდებარე მიწა — ჩვენ შეტევაზე გადავედით. სტალინგრადისკენ მივდივართ, სადაც ყოველი მხრიდან შემორტყმული გერმანელები სხედან. ნაშუადღევისთვის სადღაც ვოროპონოვის მისადგომებთან, ხუტორში ვიყავით.

ხუტორში? არა. აქ მხოლოდ მისი ნაკვალევია. ამნაირად მიწასთან გასწორებული სოფლები ზურგს უკან ბევრი მოვიტოვეთ. საკვამურები ჭურვებს დაუნგრევიათ, ჭის ოწინარიც ობლად აჩაჩხულა. მის ქვემოთ ჯარისკაცები მიჯრილან — ჩანს შინელები, ტყაპუჭები, თეთრი სანიღბო ხალათები, არის ერთი ფუსფუსი და ხმაური. ემატებიან და ემატებიან ცნობისმოყვარენი. ვინ წინ მიძვრება, ვინ უკან გამოდის, ქუდებს ბრაზით ჭმუჭნიან ხელში. სახე ასწითლებიათ. ეტყობა, რაღაცა მოხდა, რაღაც ისეთი, ასე რომ აღელვებულან, რადგან შეტევაზე გადასულთ ძნელად თუ გააკვირვებს რამე.

მეც მათ მივაშურე მკერდზე ჩამოკიდებული ავტომატით. ჩემკენ ტანმორჩილი ჯარისკაცი მორბის, თექურები შინელის კალთებში ებლანდება, სახე მოხარშულ კიბოსავით გასწითლებია, ბებერი ქალივით მოთქვამს:

— ხალხნო! ეს რა არის?.. მხეცები! წყეულთა მოდგმა!..

მეორე ჯარისკაცი, დაბალი, ჯმუხა, ტყაპუჭში გამოკრულ ლოდს რომ მოაგავს, ბრბოს გამოეყო, წამით გაოგნებული დადგა, მუზარადი მორქინალ ხარივით მოიღერა, გაჯაგრულ, ჩაშავებულ სახეზე ჩინდაკარგული თვალის კაკლები თეთრად მოუჩანს.

— იაკუშინ! — ვიცანი. — რა ამბავია?

უჩინო გამოთეთრებული თვალებით ჩემ გვერდით რაღაცას მიაცქერდა და მუქარით ძლივს ამოღერღა:

— მაგათი დედაც! მე კი ვეფერებოდი! აბა ახლა ნახოს, როგორ მოვეფერები! — და ფართო მხარ-ბეჭის ქნევა-ქნევით გზა გააგრძელა.

მივწი-მოვწიე ზურგები. მინდა წინ გავძვრე. ავტომატი ხან სად მეჩხირება და ხან სად, მაგრამ ამას ვერავინ ამჩნევს, ამისთვის არავინ მცოფავს.

ჭის გარშემო შემოყოლებული ფიცრები გაყინულია, გაყინულია მიწაც. სქელ ყინულზე ორი უცნაური მღვრიე-მწვანე ყინულის ბორცვია, დაღრეკილ ეკლესიის ზარებს რომ მოგავს და მიწაზე დამკვდარი თუ მიწიდან ამოზრდილი გეგონება. პირველად ვერაფერს მივხვდი, მხოლოდ ვიგრძენი, ქვემოდან როგორ გამიცივდა ყველაფერი და ამ სიცივემ გულამდე გაატანა.

— ძმე-ებო! ჩვენ იმათ ვატყვევებთ! ცოცხალი რომ დარჩნენ, ჩვენი პური რომ ჭამონ!..

თვალებს ვეღარ ვაშორებ ყინულის ზარებს, მხოლოდ ცალი თვალით ვხედავ შინელგაღეღილ უქუდო ბიჭს, ვინც ლაპარაკობს.

და უცბად... იქ, ქვემოთ, სადაც განიერია ზარი, მის შაქარივით შემოთეთრებულ გვერდზე რაღაც ჩარჩილულა მოხარშული და გაფცქვნილი კართოფილივით... ეს ქუსლია! ადამიანის ჩაყინული შიშველი ქუსლი! ხოლო გაუმჭვირვალ ყინულიდან, როგორც შენი საკუთარი სიკვდილის განუჭვრეტელ მომავლიდან, ბუნდად მოჩანს კაცის მხრები და ძირს ჩაკიდული თავი, იქ, იმ ყინულის ბორცვის ქვეშ. გავხედე მეორე ზარს — იქაც იგივე ამბავია...

ისინი ჩრდილებს ჰგვანან, შუქ-ჩრდილთა თამაშს სქელ ყინულში. მაგრამ ეს ჩრდილები არაა. ეს მუხლებზე მდგარი შიგ ჩაბეჭდილი ადამიანებია. იმიტომაცაა ასე კუთხურად მიწაზე მიყინული ეს ზარები. არა, არა! ამის დაჯერება არ შეიძლება! მაგრამ თვალი უკვე არჩევს საცვლებს მათ მხრებზე, ყვითელი ქუსლიც გამოჩრილა დამზრალ, მოხარშული კარტოფილივით.

შინელშემოღეღილი უქუდო ბიჭი ჩამუშტული იქნევს ქუდს:

— ცოცხლად უნდა დააყრევინო მაგათ წელები, ძმაა-ნო!.. ასე უნდა მაგათ!..

— ეს ისინია... ქვეითი დაზვერვიდან... სამი დღეა არ დაბრუნებულან, — ჩაილაპარაკა ვიღაცამ.

— ძმეე-ბო!!!

ბრბო შეტორტმანდა. ჯერ ხმადაბალი ყრუ მუქარა:

— გაქოფაკდნენ.

— ომშიც ზომიერება უნდა იცოდე...

— თავისთვისაც იგივე მოუსურვებიათ.

— ჩვენ ახლა [მაგათ!..

და უეცრივ გააფთრებული ღრიალი:

— სისხლს ვანთხევინებთ!

— ცოცხლად გამოვწელავთ!

— მაგათი დედაც და მამაც!

— ო-ო-ო!

— უ-უ-უ!

მეც გაბოროტებით და უაზროდ ვღმუი.

— წყნაა-რად!

გამლღვალ ყინულზე ქვეითი ჯარისკაცი დგას. გაჭარხლილ სახეზე ნესტოები თეთრად უთრთის, ჩაყვითლებული კბილები დაუკრეჭია.

— წყნარად-მეთქი! მისმინეთ!.. რახან ასეა, ჩვენც იმასვე ვუზამთ! ყელს რაღას იხევთ! ამ წუთას! ამ წუთას ნახავთ! მე მაგათ ვაჩვენებ სეირს!

— ვაჩვენებთ კი!

— ვინემ მივწვდებით, გავკეთილდებით!

— ასე ვიცით ხოლმე, — ვიყვირეთ, და გავნელდებით!

— წყნარად-მეთქი!! გაიქცნენ უკვე... ახლავე! ამ წუთას მოვლენ...

ვერაფერი გამეგო და სხვებივით მეც იმედით შევყურებ ძია პაშას, სახე გაჭარხლებულსა და კბილებდაკრეჭილს.

— მოჰყავთ! — გამომაფხიზლა ყურისწამღებმა ღრიალმა.

და უცებ შიშის კანკალმა ამიტანა... ორად მოკაკული, თავწაგდებული, ქერაქმრიანი, უკან ხელებგადაგრეხილი ვილი ორ ჯარისკაცს მოჰყავს — ერთი უცნობი იყო, მეორეს აბუშტუკებული მუზარადი პირდაპირ განიერ მხრებზე ედო. იაკუშინი!

ბრბომ გზა უტია, თუმცა ისევ ტორტმანებდა, ყოველ წამს გამზადებული შესაკვრელად და ხელებგადაგრეხილ მსხვერპლზე ზედ დასაცხრომად.

ძია პაშა, მესანგრისტყაპუჭიანი ეს წინასწარმეტყველი და მსაჯული, უკვე დამცხრალი და დადინჯებული, თავისი დიდი პასუხისმგებლობის შემგრძნობი, აღგზნებულ ხალხს აჩერებდა:

— წყნაა-რად-მეთქი! ნუ მოძვრებით! არ გაჭყლეტოთ. მაგისი თავი ცოცხალი გვინდა...

ხალხიც ერთმანეთს ეკვროდა, წინ მოიწევდა, მაგრამ თავშეკავებით. იქიდან მხოლოდ ფხიზელი, დაუნდობელი რჩევები ისმოდა:

— თავი აუწიეთ, დაე უყუროს!

— სწორია! დაე იცოდეს, რისი გულისთვის!

— კარგად ჩახვდი, ქვებუდანო!

ვილი შესაქეროდა ჯარისკაცთა ჯგარმოდებულ, სიძულვილით მოღრეცილ სახეებს. ვილის დიდი თავი ჰქონდა, ფართო მუნდირის ქვეშ ვიწრო [illegible]

— კმარა! გახადეთ! — მკაცრად ბრძანა ძია პაშამ.

შინელმოღეღილმა ჯარისკაცმა ქუდი ჩამოიფხატა, ვილის მუნდირზე წაავლო ხელი. მაშინ ბრბომაც იხუვლა, ათოიდე ხელი ჩაებღაუჭა ტანსაცმელზე. ვილიმ იყვირა, მაგრამ ბავშვივით არა, არც ადამიანივით — რაღაცნაირი სულშეხუთული ღმუილი იყო.

მე უკვე ვეღარ ვხედავდი ვილის — სხვები მეფარებოდნენ. მესმოდა მხოლოდ მისი განწირული ყვირილი და შეურვებული ხმები, ღმუილს რომ ჰგავდა:

— აბა უყურე ამ ძაღლის ცურს, გასხლტომა უნდა.

— დაიჭი, მე ჩამოვწევ...

— ჩააჩოქეთ!

— ძმეე-ბო! წყალი! — გაისმა ბიჭის მოზეიმე ხმა.

აჭრიალდა, გადმოიხარა ჭის ოწინარი. ავტომატს ორივე ხელით ჩაფრენილი, უკან-უკან წავედი, ზურგით მივაწყდი აფუსფუსებულ ხალხს.

არა, ავტომატი კისრიდან არ ჩამომიგლიჯავს, არ შემიჩერებია არავინ. არც მიყვირია. ადამიანებმა ადამიანობა დაკარგეს და მე მათი მეშინოდა.

რა იყო მათთვის ჩემი ყვირილი? ან ავტომატი? იარაღი აქ ყველას ჰქონდა. მე მხოლოდ ლაჩრულად ვიხევდი უკან.

იხრებოდა და ისევ მაღლა ადიოდა ოწინარი. სულშეხუთული ბღაოდა ვილი.

თითქმის მთელი ცხოვრება სიცოცხლეს მიწამლავდა ძია პაშასა და იაკუშინის საქციელი. ინსტიტუტში სწავლისას, ადამიანთა ბედზე დავა-კამათისას, ტანჯვით დაწერილი წიგნების კითხვისას, მოგზაურობისას თუ ჩემი წიგნების წერისას, მუდამ ყურში მიზუოდა ვილის გამწარებული ყვირილი.

ხომ კეთილები იყვნენ ძია პაშა და იაკუშინი მიწურში. აბა რაში სჭირდებოდათ თავის მოტყუება. „კაი გულის ბიჭია ვილი...“ თუ „ძმებო! წყალი! ცოცხლად მაგას!“

სიკეთემ და მხეცურმა სისასტიკემ შეიძლება კი ერთ ტყავში იარსებოს? ან როდის ჰქონდათ ძია პაშასა და იაკუშინს თავისი ნამდვილი სახე — მიწურში თუ ჭასთან?

მაინც ვინ იყვნენ ისინი, კაცნი თუ არაკაცნი?!

იქ, იმ ჭასთან, გამხეცებული იყო ბრბო. და უნებურად მაგონდებოდა ის წლები, როცა ლამის მთელი ჩვენი ხალხი გაფთრებით გაჰკიოდა: „ვითხოვთ სასჯელის უმაღლეს ზომას ამ წყეული ხალხის მტრებისთვის!“ ვითხოვდით სიკვდილს, გვწყუროდა სისხლი! არა! არა! ძია პაშა და იაკუშინი შემთხვევითი სიმახინჯე როდია, შეიძლება მათზე თქვა სწორედ ეს ყოვლად გაცვეთილი სიტყვები: „ტიპიური წარმომადგენლები“.

წყლის ერთი წვეთით შეიძლება განისაზღვროს ოკეანის ქიმიური შემადგენლობა, იმ ოკეანისა, რომელსაც დიდი რუსი ხალხი ჰქვია და რომლის დიდ და კეთილ სულს ყველა აღიარებს!

მე ვამაყობ ჩემი ხალხით, მან ქვეყნიერებას მისცა გერცენი და ტოლსტოი, დო-

სტოევსკი და ჩეხოვი — უდიდესი კაცთმოყვარენი. ჰოდა, სწორედ ის დროა ჩემს თავს ვკითხო: ჩემი ხალხი, ვის ნაწილაკსაც მე წარმოვადგენ, კაცნი არიან თუ არაკაცნი?

განა არ უნდა გაგიჟდე კაცი, განა არ უნდა დაკარგო სასო?!

ვეჭვობ, რომ ასეთივე კითხვის მიცემა შეუძლია ყოველ კაცს პლანეტაზე თავისი ხალხის შესახებ.

კრემლის დარბაზში საბჭოთა მწერლების მესამე ყრილობა მიდიოდა. სიტყვას ამბობდა თვით ხრუშჩოვი. მწერლებს ასწავლიდა, როგორ ეწერათ და რაზე ეწერათ.

ჩემ გვერდით ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების თანამშრომელი იგორ ჩერნოუცი იდგა და დაბნევით აქნევდა თავს.

— არც ერთი სიტყვა, არც ერთი სიტყვა...

როგორც წესი, გამოსვლა წინასწარ დაგეგმილი და მომზადებული გახლდათ. ახლა ჩერნოუცი თავის მაღალ უფროსს უსმენდა და ჩუმად გმინავდა. დაწერილი სიტყვიდან ხრუშჩოვს ერთიც არ უთქვამს, შთაგონებული თავისას თხზავდა. მოულოდნელად გაიხსენა ვინმე მეშახტე მახოტკო, თურმე ხრუშჩოვის სიყრმეში ლექსებს რომ წერდა. ქვეყნის რჩეული მწერლების წინაშე გატაცებით წაკითხულ იქნა მახოტკოს შედევრები. ვინ დარცხვენით თავს ძირს ხრიდა, ვინ მხრებს იჩეჩდა, ვინ ჩუმი დაცინვით იღიმებოდა, ვინ აღტაცებული ტაშს დასცხებდა ხოლმე და ზეზეც წამოხტებოდა, რომ მისი აღტაცება შეუჩნეველი არ დარჩენოდათ.

მოათავა ხრუშჩოვმა სიტყვა და ტრიბუნიდან ჩამოვიდა. თითქოსდა იუპიტერის შემდეგ ღმერთებსაც და ადამიანებსაც გაჩუმება უნდა ერჩიათ და დიდი ხნის ნანატრი შესვენებაც ვამოეცხადებინათ. მაგრამ არა, სიტყვა კორნეიჩუკს ეძლევა. იგი, აღტაცებისაგან სულშეგუბებული, მთელი ოცი წუთი ნეტარი სიბეჯითით, ლაქიური უსინდისობით ალილუიას უმღერის იუპიტერს:

— ნიკიტა სერგეევიჩის ისტორიულმა სიტყვამ... ნიკიტა სერგეევიჩის ბრძნულმა სიტყვამ... ჩვენ ყველა შეგვძრა... ჩვენ თვალი აგვეხილა...

აქ უკვე, მგონი, უკლებლივ ყველას შერცხვა. იმათაც, ვინც პრეზიდიუმში ხრუშჩოვის გვერდით იჯდა, და იმათაც, ვინც დარბაზში იყო, ალარ იცოდნენ, სახე და თვალები სად დაეშალათ, არავინ ხტებოდა ზეზე აღტაცების გამოსახატავად. არ რცხვენოდა მხოლოდ ორს — შთაგონებულ კორნეიჩუკსა და თვით იუპიტერს. ხრუშჩოვი ამაყად იჯდა, თავი მაღლა აეღო, მედიდურად იყურებოდა ფრიად, ფრიად მოსწონდა!

შესაფერისი სიფიცხითა და განცდით, ლამის ცრემლებით წარმოთქვა კორნეიჩუკმა სადღეგრძელო და ვალმოხდილის გრძნობით უკუიქცა კიდეც სცენიდან. შესვენებაა! დაშლა შეიძლება! თუმცა უკაცრავად, თურმე კიდევ ერთი რიტუალია.

ხრუშჩოვმა გასასვლელთან დაიკავა ადგილი, ისე, რომ ყრილობის პრეზიდიუმის ყველა წევრი გასვლისას მოვალეა ხელი ჩამოართვას და თავისი გრძნობები გადმოაფრქვიოს. აქ უკვე ყველაფერი შენს სიმარჯვეზე და შენი გამოგონების ნიჭზე ჰკიდია.

მწერალთა კავშირის პატივცემული თავმჯდომარე კონსტანტინ ფედინი მოხდენილი რიდით და კრძალვით ხელს ართმევს ხრუშჩოვს და ორჯერ იხრება, ლამის ზედ ხრუშჩოვის მუხლებთან. თურმე რა მოქნილი ზურგი ჰქონია ამ უხუცეს მწერალს, დასტურ რეზინისებრი.

ლეონიდ სობოლევი, პირიქით, ხარბად უჭერს ორივე ხელს ხელზე და იმზომ მაგრად უნჯღრევს, თვითონაც ინჯღრევა. ინჯღრევა და თან დაოსებული მუხლებში იკეცება. უუ.! როგორც იქნა, მორჩა და ნისლივით გაქრა.

პრეზიდიუმის არც ისე საჩინო წევრები მოკავშირე რესპუბლიკებიდან გვერდულ-გვერდულ ეახლებიან, ხელს ხელზე ახლებენ სულშეგუბებულნი და უჩინარდებიან.

ალექსანდრ ტვარდოვსკი ხაზგასმული ღირსებით მიდის მისკენ, ხაზგასმული თავაზით ართმევს ხელს და წამით არ ყოვნდება.

და ჰა, სცენა დაცარიელდა, დარჩნენ მხოლოდ ორნი — ხრუშჩოვი, გასასვლელში მოდარაჯე, და უმორეს კუთხეში მჯდარი ვალენტინ ოვეჩკინი, შუბლზე თმაჩამოყრილი და მხრებაბუზული. რაღაც არ ჩქარობს წამოდგომას. ხრუშჩოვი კი ელის, არ მიდის.

აი, წამოდგა ოვეჩკინი და გასასვლელისაკენ მტკიცე ნაბიჯებით მიემართება. გასასვლელი კი დაკავებულია და ისიც ჩერდება.

ორი ერთმანეთისკენ დახრილი შუბლი, ჯმუხა ოვეჩკინი და კარგად ჩაფსკვნილი შემართული ხრუშჩოვი. ორივეს ხელები დაწეული აქვს. ერთმანეთისგან ორი ნაბიჯი აშორებთ, უყურებენ ერთმანეთს ქვეშ-ქვეშ და არ ინძრევიან.

ოვეჩკინი შეტოკდა, მხარი წინ წაიგდო, აშკარად უნდა ალყის გარღვევა. ხრუშჩოვმაც ვეღარ გაუძლო, სწრაფად, ასე ვთქვათ, მეტისმეტი სისწრაფით ასწია ხელი. ოვეჩკინი არც გაჩარებულა, ისე, მაგრად ჩამოართვა და თვალს მოეფარა.

მივდივარ სასტუმრო „მოსკოვში“, სადაც ოვეჩკინია გაჩერებული. მივდივარ და ჩემთვის გულში ვიცინი.

იგი ნომერში დამხვდა. პიჟაკგაუხდელი ბოლთასა სცემს. სახე ბრაზისგან გამწვანებია, წვრილ-წვრილი, ჩვეულებრივ მუდამ კეთილი თვალები ახლა ნემსებივით იჩხვლიტებიან, ტუჩის კუთხეებში მკაცრი ღარები უჩანს.

— ეს რა კომედია გაითამაშე?

— კომედია იმან დაიწყო, — და ძველი სასტუმროს მონუმენტური ხავერდის სკამს წიხლი წაჰკრა.

— ასე მეგონა, „აბა მიყურეს“ თამაშობდით ბავშვებივით.

— იცის, მეზიზღება, ხელი რომ ჩამოვართვა, და იმიტომაც იცდიდა, შიშით თუ წავხდებოდი.

— რამე უთხარი ამ შენს ზიზღზე?

— წერილებს ვწერდი.

— ხელის ჩამორთმევაზე?

— ყველაფერზე. დაუფარავად! ბელეტრისტიკის გარეშე. თავში ზრდილობიანად, მერე ბრაზით, უკანასკნელად კი დედის გინებით! ოცდახუთი წერილი მაინც იქნება! არ შეიძლება არ ცოდნოდა, უკანასკნელები მაინც, ეჭვი არ მეპარება, რომ აჩვენეს! ერთზედაც, ერთზედაც არ მიპასუხა!

— იმედი გქონდა, გონს მოვიყვანო?

ოვეჩკინი გააფთრებით მოტრიალდა და პიჯაკის ლაცკანებში ჩამაფრინდა.

— აბა სხვა რისი იმედი შეიძლება ქონდეს ქვეყანას? რომელი [illegible] ადამიანების, რომლებიც კვლავაც [illegible] ბად არიან ნაჯახისაკენ მოუწოდონ რუსეთს? აღარ გვეყოფა ეს თამაშობანი? მათი წყალობით მხოლოდ სისხლის ნაკადებია და სისხლიანი ჭაობები: კვლავ ძველ ხმაზე ვიმღეროთ: „ძალადობის მთელ სამყაროს დავანგრევთ და გავაცამტვერებთ!..“ კი, დავანგრევთ, ოღონდ ვერ ავაშენებთ! გველეშაპისგან გველეშაპი წარმოიშობა, ძალადობისგან ძალადობა! ჩვენ კი მხოლოდ ერთი ძალა გვაქვს ახლა — ხელისუფლება!

— გგონია, ხელისუფლებას ყველაფერი შეუძლია?

ოვეჩკინმა ხელი მიშვა და უღონოდ დაჯდა.

— ყველაფერი,—მითხრა ჩუმად და დარწმუნებით, — უფრო მეტი, შეუძლებელიც.

— მაგალითად?

— მაგალითები ყელამდეა. დამთხვეული კაცი გაიძულებს: გააკეთე, ქვეყანავ, რასაც ჩემი მარცხენა ფეხი ინებებს! გვიბრძანებს, მთვარეზე სიმინდი დათესეო, დავთესავთ! თავისთავად ის უძლურია, მაგრამ მისი ძალაუფლება ძლიერია. ოღონდ კეთილი საქმისკენ უნდა იმას მიმართვა!..

— რუსეთის ყველა მეფეს, ღმერთმანი, არანაკლები ძალაუფლება ჰქონდა. სრულიად რუსეთის თვითმპყრობელებს! — გავახსენე მე. — შეძლებდნენ კი ისინი აეძულებინათ ხალხი სიმინდი ეთესათ?

— ალბათ თვითმყრობელებად არ ვარგოდნენ. ეკატერინედან მოყოლებული ოთხი მეფე სულ კარტოფილის დანერგვაზე ფიქრობდა. ოთხმოცი წელი იჯახირეს — რა შეღავათები, პრემიები არ გაიღეს, რამდენი აჯანყება არ ჩაახშეს. და მაინც იმიტომ შემოიტანეს, რომ ბოლოს და ბოლოს გლეხმა იყნოსა, კარტოფილი კაი საქმეაო. ხოლო სიმინდს პოლუსს იქით ვერ დანერგავდნენ. არა, ჩვენს თვითმპყრობელებს ამის ძალა არ ეყოფოდათ!

— აჯანყებებს ახშობდნენო... ჩვენთან კი, ინიშნე, საამისო არაფერი დასჭირვებიათ. აჯანყება კი არა, მცირეოდენი ურჩობაც არ გაუწევიათ. მაშ, როგორ მიაწერ ჩვენს ხელისუფლებას იმ ძალას, რომელიც არ გამოუყენებიათ?

ოვეჩკინმა კარგა ხნის დუმილის შემდეგ ყრუდ წარმოთქვა:

— იცი, ეს შიშია, არნახული შიში ხელისუფლების წინაშე, რომელიც გონებას გაკარგვინებს.

— ახლა არც ისე დამაჯერებელია დაშინების მეთოდები — არც დამსჯელი რაზმებია, არც რეპრესიები. დიდი-დიდი, უფროსმა გიყვიროს და მაგიდას მუშტი დაჰკრას. ღმერთმანი, შეშინების მიზეზი არა გვაქვს.

— ახლა არა... მაგრამ გაიხსენე, რაც იყო. ხმამაღლა თქმისა კი არა, გაფიქრებისაც გვეშინოდა, ვაითუ „შავი ყორანი“ ღამით მოგვადგეს და გამომძიებელთან წაგვიყვანოს, რომელიც ძვლებს გადაგიმტვრევს, ფრჩხილებში ნემსებს შეგირჭობს. ამბობენ, მოსე ორმოცი წელი დაატარებდა ებრაელებს უდაბნოში, რათა მონების თაობა დახოცილიყო და მათთან ერთად მონური სული გამქრალიყო. ალბათ ჩვენთანაც უნდა შეიცვალოს თაობები, რომ ძალაუფლებისადმი შიში გაქრეს.

— ვითომ შიში? — ეჭვი გამოვთქვი მე.
— არ გახსოვს, ხალხი როგორ ბობოქრობდა კრებებზე „შავი ყორნების“ ყამს. იტყვი, გულწრფელი აღტაცებით არ ბობოქრობდნენ? ბიჭობაში მეც განმიცდია იგი. ვითომ შიშმა წარმოშვა ეს გულწრფელობა?

ოვეჩკინი დუმდა, ვინ იცის, იქნებ იხსენებდა, როგორ სჯეროდა თვითონაც და როგორი აღტაცებული იყო. განა რომელი ჩვენთაგანი გაექცევა ამ სამარცხვინო მოგონებებს?

— ჩვენ ვთვლით, რომ სტალინის „შავი ყორნები“ ხალხის გახრწნის მიზეზია, — უარესად გავუტიე მე. — ან იქნებ პირიქითაა, იქნებ თვით ხალხი იყო გახრწნილი მორჩილებით, უნიციატივობით, მონური სილაჩრით?

ოვეჩკინი ჩემკენ მკვეთრად შემოტრიალდა.

— დაფიქრდი, რას ლაპარაკობ? — მითხრა გამომწვევად.

— ჰო, რა თქმა უნდა, ხალხი წმინდა და სპეტაკია. მისი სინდისი უსაზომოა, ნებისყოფა შეურყეველი, სიბრძნე — მიუწვდომელი. მაშ, რატომაა, ვისაც არც სინდისი აქვს, არც ნებისყოფა, არც სიბრძნე, იმორჩილებს, ხრწნის კაცობრიობის ესოდენ ძლიერსა და წმინდა ნაწილს?

— ხალხს გადააბრალო, — შეჰყვირა ოვეჩკინმა, — ხალხს!! ეს იგივეა, სტიქიონზე თქვა, დამნაშავეა, ღმერთმა ასე ინებაო! როგორ შეიძლება ასე იცხოვრო და თანაც წიგნები სწერო?

ის არ ცდებოდა — ასე ცხოვრება ძნელი იყო. ძალე თავადაც დაამტკიცა ეს, ტყვია რომ იკრა შუბლში. ტყვიამ საფეთქლებთან გაუარა და თვალი ამოუგდო. თავად კი ცოცხალი დარჩა. დასახჩრობული და დასნეულებული, კურსკიდან ტაშკენტს გაემგზავრა შვილებთან... იქ გარდაიცვალა.

ჩვენი დავა ასევე დაუმთავრებელი დარჩა.

მაგრამ მთელი ეს თექვსმეტი წელი, სასტუმრო „მოსკოვში“ საუბრიდან რომ გავიდა, მე მუდამ საკუთარ თავს ვედავებოდი.

— ხალხი სტიქიონია, განა ისევე უაზრობა არაა მას სისასტიკე უსაყვედურო, როგორც გადმომსკდარ ვულკანს?

— მერედა რა, განა ეს ცვლის ჩვენს დამოკიდებულებას ხალხისადმი?

— ძირფესვიანად ცვლის. ჩვენი აზრით, ისტორიას ქმნიან სწორედ პიროვნებები.

— განა ეს სწორი არაა? ნუთუ ადამიანს წილი არ უდევს თავის ისტორიაში?

— სწორი არაა თუნდაც იმიტომ, ადამიანი იძულებულია მუდამ თავისი პირადი ინტერესებისა და სურვილების პირუკუ მოიქცეს.

— მაგალითად?

— მაგალითი ყოველ ნაბიჯზეა. სამუშაოდან წამოსული, მაღაზიაში უნდა შევიდე, დავდგე ძეხვის რიგში. მე კი დაღლილი ვარ, მინდა სახლში მივიდე, ვივახშმო, დივანზე წამოვგორდე.

— მერედა, რა შუაშია აქ ისტორია?

— ყველაფერი ეს იმას ასურათხატებს, რომ ადამიანი ამ მცირედზე უკიდურესადაა დამოკიდებული და თავისი თავის უფალი არაა.

— ამერიკა აღმოაჩინა!

— საქმეც ეგაა, რომ ეს ყველამ იცის, ხოლო თუკი ყველა ასეა დამოკიდებული მისთანა წვრილმან ადამიანურ ამბებზე, როგორიც ძეხვის რიგია, ალბათ გრანდიოზული საზოგადოებრივი წამოწყებანი კიდევ უფრო აიძულებს ყოველ კაცს საკუთარი ინტერესებისა და სურვილების წინააღმდეგ მოიქცეს. ისტორიას პიროვნებები ქმნისო. აბა კი! თავად პიროვნებებიც ვერ მოქმედებენ დამოუკიდებლად.

— მათ ვინ ამოძრავებს? უფალი ღმერთი?

— საზოგადოებრივი წყობა.

— მაგრამ საზოგადოება ვისგან შედგება? ხომ ხალხისაგან, ცალკეულ პიროვნებათაგან!

— ტვინი და თირკმელებიც ერთი და იგივე ცილოვანი ნივთიერებებისაგან შედგებიან, მაგრამ სხვადასხვაგვარად, ამიტომ ფუნქციაც სხვადასხვაგვარი აქვთ. ამერიკაში ასეთივე ხალხი ცხოვრობს, მაგრამ იმის წარმოდგენაც კი შეუძლებელია, რომ იქ სომინდზე ამნაირი კამპანიის გამართვა მოხერხდებოდა. განა რუსები ამერიკელებზე ბრიყვებია? იქ წყობა სხვაა და ამიტომ ხალხის ქცევაც სხვანაირია.

— მაშასადამე, როგორიც წყობა, ხალხიც ისაა?

— მაშ, რით უნდა აიხსნას ძია პაშას საქციელი გაყინულ ჭასთან? ისიც სისტემამ აიძულა?

— დიახ. დავიწყოთ იქიდან, რომ ძია პაშა და იაკუშინი ფრონტზე — ფრიად თავისებურ ადამიანურ წყობაში მოხვდნენ. აქ საჭირო იყო თავის დაცვა და კაცის კვლა. მიწურმა ხანმოკლე დროით ომს ამოაფარა ადამიანები. და ისინიც ისეთივენი გახდნენ, როგორიც მშვიდობიან ვითარებაში იყვნენ. არა, ისინი თავს კი არ იკატუნებდნენ, მართლა კეთილები იყვნენ.

ხოლო ყინულის ზარები უჩვეულო შემთხვევაა. ჰოდა, უჩვეულო გრძნობებიც გამოიწვია და უჩვეული მოქმედებისკენაც უბიძგა ჯარისკაცებს, რომლებმაც, თავისუდა უნებურად, თავისებური დამსჯელი სისტემა შექმნეს. და აი, ამ სისტემამ ისინი ჯალათებად აქცია, მათ რიცხვში ძია პაშაცა და იაკუშინიც.

ავტობუსი მოსკოვის ქუჩაზე მისრიალებს.

უეცრივ გადამკვეთ ქუჩიდან ტაქსი გამოხტა. მუხრუჭებმა დაიღრჭიალეს. მგზავრები გასასვლელში ერთმანეთს მიაწყდნენ.

ტაქსის მძღოლი გაქვავებული ზის. თითქმის ბიჭია. მოდის მიხედვით — თმა დაუვარცხნელი. სადღაც შორეთს მიშტერებია. უკან ქართველი უზის უზარმაზარი კეპით, „აეროდრომს“ რომ ეძახიან. მკვირცხლად ტრიალებს „აეროდრომი“. მისი პატრონი მთელი ტანით იხრება შორეთს მიშტერებული ბიჭისკენ და ცხარობს. დარტყმა წინა ფრთაზე იყო. კაპოტს სახურავი მოძვრა და იგი ახლა ცოცხალივით თრთის.

ქალის წამოკივლების შემდეგ ავტობუსში სიჩუმე სუფევს. არავინ ინძრევა. ბოლოს ბოხი, უკმაყოფილო ხმა ისმის:

— ძაღლის შვილი!

— ლაწირაკებს სვამენ საჭესთან! — მყის გაეხმიანა ლამის ატირებული წიკვინა ხმა.

— კიდევ კარგი, არავინ შეიწირა, — შეიქმნა ნაწყენი, მუქარიანი დრტვინვა.

ამ დრტვინვამ ერთი მგზავრი ავტობუსიდან ძირს ჩაიყვანა. წინგახსნილი დოხა აცვია, ქუდი ყურებამდე ჩამოუფხატავს. ჯიბიდან ბოთლს იძრობს და ცეკვა-ცეკვით ჰაერში ატრიალებს:

— შ-შენ-მეთქი, შუშა დაუშვი-მეთქი! — ... სთანა წვნიკას წყალობით ოცდაოთ... ... ნერვები დაგვაწყდა. დაუშვი-მეთქი, შუშა! თორემ აი ამ ბოთლით!..

ავტობუსის შიგნით რისხვა თანდათან ძალას იკრებს — მგზავრებს ბოთლიანი კაცის შემართება აღგზნებთ:

— მივდიოდით ჩვენთვის და ამ ტუტუცმა კი!

— მოხუცი ქალი ლამის გაჭყლიტეს.

— ჩასცხე ერთი მაგას! ჩასცხე!

ბოთლიანი კაცი, ამ მხარდაჭერით მთლად გააფთრებული, ბრაზით იხრჩობა:

— ვის ვუთხარი, შუშა დაუშვი-მეთქი!

— სულერთია, ვერსად დაიმალები.

ავტობუსიდან ხალხმა კიდევ უფრო შეუნთო ცეცხლი:

— ჩასცხე, ჩასცხე მაგას!

— კაცო, უყვირე, კარი გააღოს.

ბოთლიანი კაცი უკვე დაუნაწევრებლად ღმუის:

— უჰ, მე შენი!

მის გვერდით უცბად ორი ახალგაზრდა დგება, სადად ჩაცმულები, საკმაოდ ზორბანი, ალბათ ავტოამწის მუშები.

— აბა, რას კაკანებ აქა!

— კაცს ისედაც ცუდი საქმე მოუვიდა, უშენოდაც ჯავრით მკვდარია.

— გაგიხარდა ხომ სხვისი გასაჭირი, ცხოველო?

ბოთლი ძირს ეშვება, ცეკვა წყდება, სამოსაჩეჩილ კაცს გააფთრების ნატამალიც აღარ ეტყობა. ყურებზე ჩამოფხატული ქუდი ლამის მხრებში ჩაძვრეს.

— ამან ხომ ავარია მოახდინა?

— უშენოდაც გაარჩევენ, აქედან მოწყდი!

შემცბარი ავტობუსი წამით გაყუჩდა, კისერწაგრძელებული მგზავრები უკმაყოფილოდ დასცქერიან ბოთლიან კაცს.

— მართლაც ასეა! — გაისმა ისევ უკმაყოფილო ბოხი ხმა.

— რაც მართალია, მართალია, ბიჭს ცუდი საქმე შეემთხვა, — მყის მიატანეს სხვებმაც.

— თავს ვერ დაიძვრენს, თრევით მოკლავენ.

— ჯერ სულ ბავშვია.

და როგორც მანამდე, ისევ მომძლავრდა მუქარა:

— ბოთლი მოიმარჯვა!

— გამომტყვრალია ეგ ცხოველი!

— თვითონვე უნდა ჩაცხო ბოთლი.

ისევ იგივე ხალხი, იგივე ხმები.

— ხომ ხედავ, რა ოინებს გამოატყვრენს ხოლმე ხალხი. ვთქვათ და იმ ბოთლიანი კაცის გარდა მხოლოდ ერთი მგზავრი მჯადარიყო ავტობუსში. როგორ მოიქცეოდა?

— ხასიათს გააჩნია. თუ იმპულსების კაცია, ალბათ ასევე აღშფოთდებოდა.

— საქმეც ისაა, რომ მაინც ასე აბობოქრებულად არა. რადგან თუ მის აღშფოთებას არავინ გამოეხმაურებოდა, ცეცხლიც ასე არ შეენთებოდა, ამ ზომამდე არ გააქტიურდებოდა.

— შენ გინდა თქვა, ძია პაშა მარტო რომ გადაყროდა ზარებს, ასეთ უკიდურეს სისასტიკემდე არ მივიდოდა?

— განა ეს საეჭვოა? დასაჯო კაცი, ისიც ასე საშინლად, ასეთი ძძიმე პასუხისმგებლობა იტვირთო მარტომ! მაშინ პათოლოგიური სადისტი უნდა იყო. ძია პაშა კი ნორმალური კაცი იყო, თავის წილ პურს

ამხანაგს გაუყოფდა, ცეცხლიდან დაჭრილს გამოიყვანდა — ადამიანურობა არც მას აკლდა.

— სწორედ ეგაა საშინელი — ადამიანურობა არ აკლია, არაადამიანურობა კი შეუძლია!

— მისდათავად არა, სხვებთან ერთად. ბრბომ თავი აღიგზნო, იმ ხელშემწყობ გარემოდ იქცა, სადაც ადამიანის სადისტად გადაქცევის საზარელი პროცესი შესაძლოა ბოლომდე მომწიფდეს.

— კი მაგრამ, შენ რატომ არ მომწიფდი მაშინ? და საერთოდ, ნუთუ არ იცი, რომ შენი ეს მსჯელობა პიროვნებას ჰკლავს? ადამიანი სხვა ადამიანთა გარემოში ცხოვრობს, რაღაც წესით ჩამოყალიბებულში, რომელიც, მაშასადამე, ცალკეულ ადამიანზე მოქმედებს, მის საქციელს წარმართავს. განა კაცი ოდესმე იქცევა ისე, როგორც თავად სურს? რჩება თავისთავადი? ხშირად აქვს კი უფლება თავის თავს პიროვნება უწოდოს?

პიროვნება... ეს ის თემაა, მარტო მე რომ არ მაშინებს თავისი სირთულით.

არა, ვერ გავბედავ ადამიანის სულსა და გულში ჩავიხედო. შემიძლია მხოლოდ ერთი შემთხვევა მოვყვე, თითქოსდა ერთი შეხედვით უმნიშვნელო, მაგრამ ჩემთვის ფრიად სამარცხვინო. იყო დრო, როცა მეგონა, რომ ამას ვერც დედას, ვერც ძმას, ვერც ცოლსა და ვერც შვილებს ვერ გავუმხელდი. მაგრამ აი, ცხოვრება თითქმის გავლილ და, მგონი, ეს მაძლევს იმის უფლებას უაღრესად გულწრფელი ვიყო, ვთქვა ის, რაც აქამდე სირცხვილით მწვავდა.

სამარშო ასეული ფრონტზე მიდიოდა... ჩვენ ერთი თვე ვოლგის გაღმა პოლოგიე ზაიმიშჩეში დავყავით და ფრონტზე წასვლას სიხარულით შევხვდით.

ლეიტენანტი, ვისაც ჩვენი ასეული ებარა, გზას ასცდა და ექვსი დღე ტრამალში დავეხეტებით. ის პუნქტები, სადაც საჭმელი უნდა მიგვეღო, სადღაც განზე დარჩა. მეოთხე დღე იყო, პირში ლუკმა არავის ჩაგვედო.

ჯერ კიდევ პოლოგიე ზაიმიშჩეში ერთ უფროს სერჟანტს დავუახლოვდი. იგი მმფარველობდა და მეც მისი მადლიერი ვიყავი. ის მასწავლიდა ცხოვრების სიბრძნეს, ანუ „მარიფათიან“ ქცევას, რაც უმთავრესად ზემდეგის მოტყუებაში გამოიხატებოდა. აკი მეფობდა აზრი, ზემდეგს ვერ ნახავ, ჯარისკაცებს არ ქურდავდესო. მე კი ეს მარიფათი არ მქონდა და ვიტანჯებოდი.

არა, ამ ლაშქრობის დროს უფროსი სერჟანტი ჩემ გვერდით არ იყო. დაოსებულთ და ჩრდილებივით მოლასლასეთ ერთმანეთზე ზრუნვის თავი არ გვქონდა.

ჩვენს გზაზე შემდეგი ხუტორი სამხედროებით მოსახლე იყო და არა მშვიდობიანი მაცხოვრებლებით.

ნახევარი საათის მერე ზემდეგი მობრუნდა და შთაგონებით გამოგვიცხადა:

— ბიჭებო! თითო სულზე ორას ორმოცდაათი გრამი პურისა და თხუთმეტიოდე გრამი შაქრის გამოგლეჯა მოვახერხე!

ამ განცხადებამ დიდი აღტაცება არ გამოიწვია. ცხადია, ყველას ოცნებად გვქონდა, რომ ამდენ ხანს ნაშიმშილევ ხალხს ძღომაზე მოგვცემდნენ საჭმელს და არა თითო ლუკმა პურს გადმოგვიგდებდნენ სამოწყალოდ.

— კარგი, კარგი, გეყოფათ! ხალხმა თვითონ მოიკლო და ჩვენ მოგვცა... ვინ წამომყვება პურის წამოსაღებად?., შენ წამოდი! — რაკი გვერდით ვიწექი, ზემდეგმა ხელი მე დამადო.

ლაბადა-კარვით რომ ვბრუნდებოდი უკან, მთელი გზა ერთი აზრი მიშხამავდა გუნებას. მეზიზღებოდა ჩემი თავი, რომ ლაჩარი ვიყავი, რომ ასეთი დოყლო წესიერება მჩვეოდა, რომ მარიფათის შნო ჩემთვის ღმერთს არ მოეცა. და თან ვოცნებობდი: მივუტან უფროს სერჟანტს ახლა ამ პურს, ისიც ხელს დამკრავს მხარზე და მეტყვის: „ეჰეი, ძმაო, თურმე არც ასეთი დოყლაპია ყოფილხარ!“

...როცა ზემდეგმა წამით თავი მიაბრუნა, ნახევარი პური პარმაღის ქვეშ შევაგდე, დანარჩენი ლაბადა-კარავში გავხვიე და ზურგზე მოვიგდე.

ცხოვრებაში ცუდი ბევრჯერ ჩამიდენია — მომიტყუებია მასწავლებლები, გამიტეხია სიტყვა... მაგრამ ყოველთვის გამიმართლებია თავი.

ახლა კი თავის გამართლებასაც აღარ ვცდილობდი. ნეტავ შეიძლებოდეს დაბრუნება, გადამალული პურის ამოღება და ლაბადა-კარავში გახვევა! მაგრამ ჩვენი მარჩენალი ზემდეგი ჩემ წინ მიაბიჯებდა და ერთი ნაბიჯითაც ვერ ჩამოვრჩებოდი.

რა მოხარული ვიქნებოდი, გერმანელების თვითმფრინავები რომ თავს დაგვსხმოდნენ. ერთი პატარა ნამსხვრევი და ცოცხალი აღარ დავრჩებოდი. წინ სიკვდილზე უფრო მეტი საშინელება მომელოდა.

გზის პირებიდან ჩვენს შესახვედრად ძლივს წამოსწიეს წელი ჯარისკაცებმა. ზემდეგმა ლაბადა-კარავი გახსნა და უცბად იყვირა:

— ნახევარი პური სადღაა? — და რისხვით ახამხამებული თვალები მომაშტერა. დამტვერილი ხალხი ჩაშავებული სახეებით ირგვლივ მეხვია.

— მე ხომ მახსოვს, ძმებო, აქ ნახევარი პური იყო! გზაში ამწაპნა.

ცისფერთვალიანმა, სახედაღარულმა ხნიერმა ჯარისკაცმა უბოროტოდ თქვა:

— ბიჭო, გიჯობს გამოტყდე.

გაქვავებული ხმას არ ვიღებდი.

მაშინ კი იღმუვლეს ახალგაზრდებმა:

— ვის პარავ, პარაზიტო?! ამხანაგებს?

— მშივრებს პირიდან აგვაცალა.

— მაგასთან ლაპარაკიც არ ღირს! — ასწია ხელი ერთმა ბიჭმა. მე უნებლიეთ შევკრთი. მას კი თურმე პილოტურის გასწორება უნდოდა.

— ნუ დაფრთხი, — მითხრა ზიზღით. — შენზე ხელს როგორ გავისვრი.

მე კი მინდოდა, ვეცემე, ეს შვებას მომცემდა. ეს ხომ ჩემი სხეული შეკრთა, მას შეეშინდა და არა მე.

და უცბად დავინახე, რომ ჩემ ირგვლივ მყოფი ხალხი თურმე საოცრად ლამაზებია — სახეჩაშავებულნი, მშივრები და მაინც თითქოს სახენაქანდაკევნი. ამ ლამაზ ხალხში მე ერთი ვიყავ მხოლოდ მახინჯი.

— დაე, ყელზე დაადგეს ჩვენი პური, ის დავარიგოთ, რაც დარჩა.

ზემდეგმა ცხვირწინ მუშტი დამიტრიალა:

— გადამალულს მაინც ვერ ჩაიგდებ, თვალს არ მოგაშორებ, იცოდე! აქედან კი ნურაფერს ელი, არავინ მოგცემს.

ღმერთო! განა ის ცოდვით სავსე პური ახლა პირში ჩამივიდოდა? ხომ შხამად დამადგებოდა ყელზე! და არც ჩემი წილი ულუფა მინდოდა. ამით მაინც დავსჯილიყავი.

მაშინ ცხრამეტის ვხდებოდი. [illegible] ოცდაცამეტი წელი გავიდა, [illegible] ბევრი ავი და ცუდი მინახავს, [illegible] ეთი რამ, თავი რომ შემზიზღებოდა, არა, ასეთი წუთები არ მქონია.

არაფერია იმაზე საშინელი, როცა შენი საკუთარი სინდისის წინაშე თავის გამართლება არ შეგიძლია. ვინც ამას გრძნობს და გულში ატარებს — პოტენციური თავისმკვლელია.

ჩემი ბედი, რომ გვარდიელთა პოლკის მეკავშირეთა ასეულში, სადაც მოვხვდი, არავინ იყო ამ ჩემი თავისმოჭრის მხილველი. ეს კია, რამდენიმე ხანს მოახლოებული ჭურვის ხმაზე მიწას აღარ ვაკვდებოდი, ტყვიებქვეშ გამართული დავდიოდი — მომკლავენ და მომკლან, თავი სულაც არ მეცოდება. ფრონტზე თავის მოკვლას რა აზრი აქვს, როცა სიკვდილი ისდაც ასე იოლი საპოვნელია.

მშიერი ამხანაგებისთვის პურის მოპარვა პირადად ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანი შემთხვევა გახლდათ, ვინემ გაყინულ ჭასთან მომხდარი ის საშინელი ამბავი. მაშინ გავიგე, თუ რას ნიშნავს საკუთარი თავის ზიზღი.

ლიტერატორი გავხდი, შემთანხმებელი და შემგუებელი არ ვყოფილვარ, მაგრამ მუდამ, ახალი მოთხრობის გააზრებისას, ეწონიდი ხოლმე, ეს გავა, ეს არ გავა. აშკარად არ ვტყუოდი, მხოლოდ ვდუმდი იმაზე, რაც აკრძალული იყო. მდუმარე მწერალი კი ის მეწველი ფურია, რძეს რომ არ იძლევა.

და ვიგრძენი, თუ როგორ მეკარგებოდა ჩემი თავის პატივისცემა.

ჩვენ ყველას ცხოვრება გვასწავლის — მცირედიდან დიდი ვისწავლოთ: ჩამოვარდნილმა ვაშლმა — სამყაროს მიზიდულობის კანონი შექმნა, ბავშვის „თუ შეიძლებადან“ ადამიანთა ურთიერთობანი ყალიბდება.

ყველას ასწავლის, მაგრამ ყველას ერთნაირი ნიჭი არა აქვს.

მოსკოვში მწერლების მორიგი პომპეზური თათბირი იყო. მგონი, ისევ ყრილობა. ის იყო წასასვლელად პალტო ჩავიცვი და ქუდი დავიხურე, რომ კარზე ზარმა დარეკა.

ზღურბლზე არც ისე მაღალი კაცი იდგა, საკმაოდ წესიერად ჩაცმული. ყვრიმალიან სახიდან შავი, ცქაფად მზირალი თვალები მომჩერებოდნენ. თითქოს რაღაც ამოტივტივდა წელთა სიღრმიდან.

— მიცანი? — მკითხა.

— შურკა! შუბუროვი!

ოცდაათიოდე წლის წინათ სოფელ პოდოსინოვეცში მე და ის ერთ მერხს ვუსხედით. სკოლა მან მალე მიატოვა, სოფლიდან გაქრა. რამდენიმე წლის შემდეგ მოსკოვში ხმამ მოაღწია — შურკა ქალაქქალაქ დასეირნობს, რაც ხელს მოხვდება, წაპნის, როგორც შეუძლიაო.

ომის პირველ დღეებში ერთ ჩემს ნაცნობს შურკა მოსკოვის ყაზანის სადგურში უნახავს. ისე იყო თურმე აღელვებული, არც დალაპარაკებია, სულ ვიღაც ზორბა კაცს უტრიალებდა, პატარა გაქექილი ჩემოდანი რომ ჰქონდა. მერე შურკა სადღაც გაქრა, მხოლოდ საღამოს გამოჩნდა, ხელში ის გაქექილი ჩემოდანი ეკავა.

— წამოდი! — უთქვამს და მოფარე-

ბულ ადგილს მიუყვანია. ჩემოდნისთვის თავი აუხსნია — ის თურმე ფულის დასტებით იყო სავსე.

ჩემს ნაცნობს ამბების შეთხზვა უყვარდა. ის საარაკო ჩემოდანი ალბათ არც არსებობდა, შურკა ასეთი გაქანების კაცი არ იყო.

ახლა კი იგი ჩემ წინ იდგა, თმაგადაგლესილი, ვიწრო პიჯაკით.

— დიდი ხანია თავი დავანებე ყველაფერს. ოჯახი მყავს, ორი შვილი, ბინა მაქვს კიროვში. მაგრამ რა, მჭამენ, არ სჯერათ, კაცურად თუ შემიძლია ცხოვრება.

ძუნწად მომიყვა, მთელი ბანაკები მოვიარეო. რვა წლის წინ უკანასკნელი სასჯელი მოუხდია, მაგრამ... საცხოვრებელი არსად მიუციათ. არც სამსახურში იღებდნენ სადმე, არც სახლმმართველობა წერდა. იარა, იარა ასე მოსკოვში და ბოლოს გადაწყვიტა: მივიდა წითელ მოედანზე და პირდაპირ კრემლის სპასკის კარს მიადგა. გუშაგმა გაჩერა:

— საით?

— ნიკიტა სერგეევიჩ ხრუშჩოვთან. არ გამიშვებთ, აქ დავწვები, წასასვლელი არსად არა მაქვს. ანდა საიდანაც მოვედი, იქ გამგზავნეთ.

სპასკის კართან არ დააწვინეს, უკან გაგზავნაც ვერ გაბედეს — კაცს დანაშაული მოხდილი ჰქონდა. მონანიე დამნაშავე, სიკეთის გზაზე დამდგარი, როცა ჯერ კიდევ „შავი ყორნები“ დაგრიალებდნენ, სიმპათიას იწვევდა. ამან უშველა სწორედ შურკა შუბუროვს. იგი თითქმის პატივით გაისტუმრეს იმ ოლქის მთავარ ქალაქში, საიდაც დაიბადა. იქ ელოდა ბინა, სამუშაო. მაგრამ...

— შემჭამეს. ვერ მაპატიეს ხრუშჩოვის დახმარება.

ძნელია არ დაუჯერო, დამხობილ ხელისუფლებასთან დაკავშირებული ახლა ყველაფერი ეჭვებსა და მტრობას იწვევს. მაგრამ არც იმის დავიწყება შეგიძლია, რომ ერთ მერხზე ისხედით ოდესღაც...

არადა, როგორ გინდა დაეხმარო? მე ხრუშჩოვი არა ვარ. თუმცა ვიღაც-ვიღაცეებს მეც ვიცნობ კიროვში, იქნებ მათი შემწეობით გავაწყო რამე?

— იცი, უკაპიკოდ ვარ. თანაც ცოლ-შვილი მყავს აქ...

იმ წუთას ჯიბეში ოცდახუთი მანეთის მეტი არ მქონდა. დავთქვით, რომ ისევ შეხვდებოდით — გავარკვევ, დამხმარეებს აღმოვუჩენ, გზის ფულსაც ვუშოვნი.

ერთი საათის შემდეგ სვეტებიან დარბაზში კიროველ მწერალს შევხვდი. შურკას ცოლს თურმე თათბირზე უნახავს, უფულობა შეუჩივლია და... ოცდახუთი მანეთი გამოურთმევია. ცოლ-შვილი მეორე დღეს ჩემთან მოსულა, როცა მე შინ არ ვიყავი. ჩემიანებს ტკბილად მიუღიათ, გამასპინძლებიან, ისევ ფული მიუციათ.

ერთი თუ ორი დღის შემდეგ ფოსტით უწყება მომივიდა — გუმის გვერდზე მილიციის მეთერთმეტე განყოფილებაში უნდა მივსულიყავი გამომძიებელთან.

გამომძიებელი ახალგაზრდა კაცი იყო, მითხრა, შუბუროვი გუმში დაიჭირეს, ვიღაცას ჯიბიდან ფულს უღებდაო.

— პროვინცია ეგონა, — ვერ დამალა გამომძიებელმა ზიზღი. — ამდენი ხალხია, ვინ შემამჩნევსო. არადა, იქ ისე უთვალთვალებენ, ნემსს ვერ ააცლი. ჯიბეში თვრამეტი მანეთი უპოვეს, თქვენზე ამბობს, იმან მომცაო.

— მივეცი. — ვუამბე ჩვენი შეხვედრის ამბავი, ოქმს ხელი მოვაწერე, ვთხოვე: შეწყნარება გამოეჩინათ. — ორი შვილი ჰყავს, თავის ქალაქში ძალზე სდევნიან და იქნებ ყველაფერი ამის ბრალია-მეთქი. გამომძიებელი დამპირდა, მაგრამ დიდი ხალისით არა.

გუნება გამიფუჭდა, ასე მეგონა, შურკამ ჩემი გაქურდვა სცადა. ნეტავ რისთვის დასჭირდა? რაღაც ფული ხომ ჰქონდა, მშიერი არ იყო, ისიც იცოდა, რომ მალე მნახავდა, რაღაცით დავეხმარებოდი.

ცხოვრება მცირედით გვასწავლის დიდს: ჩამოვარდნილი ვაშლით — სამყაროს მიზიდულობის კანონს.

თუმცა რა მიკვირს: მილიონობით კაციდან მხოლოდ ერთმა აღმოაჩინა ჩამოვარდნილი ვაშლის მეოხებით სამყაროს კანონი. ძალმიძს მე ასეთი რამ? დიახაც არა.

ადამიანები ერთმანეთს ჰგვანან, ვერავინ დაიკვეხნის ხუთი კი არა, ექვსი გრძნობა მაქვს და სხვანაირად მოწყობილი ტვინიო, ყველას შეუძლია თავის თავზე თქვას: არაფერი ადამიანური ჩემთვის უცხო არ არისო. და მაინც, რარიგ არ ჰგვანან ადამიანები ერთმანეთს, რარიგ განსხვავებულად უყურებენ ამ ქვეყანას, განსხვავებულად გრძნობენ, განსხვავებულად იქცევიან.

რამდენიც პიროვნებაა, იმდენი სამყაროა!

ნეტავ იმ გაყინულ ჭასთან მომხდარმა ამბავმა თუ იმოქმედა ძია პაშაზე? შეცვალა თუ არა მისმა ჯალათობამ? იქნებ გაასადისტა, ანდა, პირიქით, მისი ნამოქმედარი მუდმივად ტანჯავს?

ჩემში პირადული მას შემდეგ აღმოვაჩინე, როცა ნახევარი პურისთვის მე, თვითონაც მშიერი, ჩემს მშიერსავე ამხანაგებს შევეჯახე.

ვინ ვარ მე? როგორი პირადი თვისებები მაქვს?

ამას მხოლოდ მაშინ გავიგებ, როცა ჩემ ირგვლივმყოფ გარემოსთან მომიხდება შეხება, მის გავლენას ვიგრძნობ.

უაზრობაა პიროვნებაზე მისი გარემომცველი გარემოდან მოწყვეტით იმსჯელო. მის გარეშე პიროვნება არც გამჟღავნდება.

ყველასათვის გარემომცველი გარემოს ყველაზე არსებით ნაწილს მისი ადამიანური წრე შეადგენს. ყველა თავისებურად, სხვებისგან განსხვავებულად რეაგირებს მასზე. ყველა მასზეა დამოკიდებული. დამოკიდებული მდგომარეობა კი სულაც არ ნიშნავს გაუპიროვნებას. პირიქით, სწორედ ადამიანური გარემოს გავლენა ამჟღავნებს კიდეც ადამიანის უნიკალურ თავისებურებას.

შენ კაცთა მასებს შორის მე წარმომშობ, მე სხვებთან ერთად შენ.

აქამდე ჩვენ იმ შემთხვევებს განვიხილავდით, როცა ხალხის მასები პიროვნებაზე ცუდ გავლენას ახდენენ. მაგრამ ხომ პირიქითაც ხდება ხოლმე.

1947 წლის აგვისტოს დამლევს ჩემი სოფლიდან ისევ ინსტიტუტში ვბრუნდებოდი. კიროვში უნდა გადავჯდარიყავ მოსკოვის მატარებელზე.

ქვეყანა ჯერაც არ იყო დაწყობილ-დალაგებული ომის შემდეგ, ჯერაც ბრუნდებოდნენ ევაკუირებულნი და დემობილიზებულნი... დიადი ქვეყანა გზაზე იყო გამდგარი. სადგურები აევსო ნაირ-ნაირ ხალხს, იატაკზე მძინარეთ, მშივრებს, მთვრალებს, რომელთა ოცნებას მატარებელზე ბილეთის შოვნა წარმოადგენდა.

საბილეთო სალაროს სარკმელთან უზარმაზარი რიგი დამდგარიყო. რიგის კუდი ხმაურობდა, თავი—დუმდა, ... ადგილზე მიყინულივით. აქ იდგნენ ისინი, რომლებმაც თავიანთი ბედნიერება სადგურზე გატარებული უძილო ღამეებით მოიპოვეს, ხან იმედითა და ხან უიმედობით ატანილებმა.

და ჰა, შეტოკდა რიგის თავი, წინ წაიწია, მთელ მწკრივს თრთოლვამ გადაუარა, მოაშთო სიცილი, ჩამორეცხა ღიმილი, შეწყვიტა ლაპარაკი. სალარო გაიღო! შუაგულმა უმალვე თავისი დელეგატები გამოგზავნა წინ, რათა ურიგოდ არავინ გამძვრალიყო. ამ დელეგატთა შორის კი მაშინვე გამოირჩა ბელადი — ერთი ბრგე ბიჭი, წინ ჩამოყრილი ქოჩორით, თავხედური მზერით.

— ჩადექით რიგში! — ზემდეგვით გასცა ბრძანება მან, — თქვენ, მოქალაქევ, — უთხრა ვიღაც ქალს, — აქ იდექით თუ ახლა მიეწებეთ? თორემ ისე ხელდახელ შეგვიძლია გასმა!

მაგრამ მაშინვე მოწიწებით მოუხდა უკანდახევა ჟოლისფერი პაგონებისა და ჟოლოსფერციანი ქუდის წინაშე — რკინიგზის მილიციონერმა უბოდიშოდ მისწიმოსწია ხალხი და ვიღაც ახალგაზრდა ქალი მესამე დააყენა რიგში. ქალს მათხოვრულად ეცვა. კაცის გაქექილი ბამბულიდან წვრილი, უმწეო კისერი ამოგრძელებულიყო. ლოყები ჩამწვანებოდა, ჩაცვივნული თვალები შეშფოთებით უელავდა, ხელები შემცივნულივით გრძელ სახელოებში შეეყო.

—წესის დამრღვევებზე ზრუნავ, ძმაო? — ჰკითხა ბრგე ბიჭმა. მილიციელმა პასუხის ღირსად არც სცნო და ისეთივე მძინარე, უკმაყოფილო სახით მედიდურად გაეცალა იქაურობას.

რიგის თავსა და კუდში მტრული მითქმა-მოთქმა შეიქნა:

— ავტორიტეტი უნდა ჰქონდეს.

— თურმე კაია ჯიბგირობა, სახელმწიფო ხარჯზე გაგამგზავრებენ.

— ოღონდაც იქ არა, სადაც შენ გინდა.

— რა იყო, რა მოხდა?

— ციხის გომბიოები ჩააყენეს რიგში.

— ჩვენ მაგივრად კახპები წავლენ.

ბრგე ბიჭი კიდევ უფრო უნთებდა ცეცხლს:

— ნეტავ ვისი ბილეთი ერგება? იქნება შენი?.. კაცი სამშობლოსათვის სისხლსა ვღვრიდი, ეგ სახელმწიფოს ჩირქსა ცხებდა. ბანაკში ტყუილად არ დაამწყვდევდნენ. ახლა მაგას ელოლიავებიან. მე ფეხებზე ვკიდივართ.

ქალი ჩუმად იდგა, დაძაბული, მხოლოდ არაბუნებრივად აწურულ მხრებზე ეტყობოდა, ყველაფერი რომ ესმოდა და განიცდიდა.

ორმა წინ მდგომმა ბილეთი მიიღო. სწრაფად წავიდნენ. ქალი სარკმელისაკენ დაიხარა. რაღაც მოხდა. ქალი სარკმელს არ შორდება, აღელვებული რაღაცას უხსნის მოლარეს.

ვიღაც გლეხმა, მელიასავით სახე რომ ჰქონდა, ზურგზე კი ბარგი კუზივით ადგა, ლაპარაკს მიაყურა და ზეიმურად გადმოიხარა უკან:

— თურმე ფული არა ჰქონია, ბიჭებო. ევაჭრება, ბილეთზე არ ჰყოფნის.

(დასასრული 22-ე გვერდზე).

ელადის მინაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

კახაბერ სურგულაძე.

ჟურნალ „დროშაში“ (№ 6, 1988) გამოქვეყნდა ანდრე ცისკარიძის საინტერესო სტატია „ათენის პროფესორი საქართველოდან“. მასში საუბარია საქართველოში, კერძოდ წალკაში დაბადებულ, ხოლო შემდგომში ათენის უნივერსიტეტის ექსპერიმენტული კათედრის პროფესორ ლაზარე პავლეს ძე კოტანოვზე.

ავტორს დიდი მუშაობა ჩაუტარებია და დაუდგენია, რომ ლაზარე კოტანოვი, ეროვნებით ბერძენი, თბილისის სასულიერო სემინარიასა და გიმნაზიაში სწავლის დასრულების შემდეგ შევიდა კიევის უნივერსიტეტში სამკურნალო ფაკულტეტზე. სტუდენტთა არეულობაში მონაწილეობის გამო გადავიდა ათენის უნივერსიტეტში, რომლის დამთავრების შემდეგ მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხით პირეიში რუსეთის საზღვაო საავადმყოფოს მთავარ ექიმად დაიწყო მუშაობა. იგი ამავე დროს საბერძნეთის მეფის გიორგის მკურნალი გამხდარა.

ლაზარე კოტანოვის შესახებ საუბრისას ა. ცისკარიძე მოიხსენიებს ორ ქართველ ახალგაზრდას შევარდნაძეს და წითლიძეს, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ 1897 წლის საბერძნეთ-თურქეთის ომში. ავტორი სინანულით დასძენს „ჯერჯერობით მათი სახელები დადგენილი არ არისო“.

მართლაც, ქართველი ოლონტიორების ვინაობა დიდხანს უცნობი იყო. ამის გამო ჯერ კიდევ 1961 წელს ცნობილი მკვლევარი პავლე ინგოროყვა წერდა: „ვინ იყვნენ ეს კეთილშობილი ახალგაზრდები, ერთა თავისუფლებისათვის მებრძოლნი შევარდნაძე და წითლიძე, ამის შესახებ ცნობები ვერ მოვიძიეთო“ (ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. 10, გვ. 522).

თავის დროზე ჩვენ ვცადეთ მათი ვინაობის დადგენა, რის შესახებაც 1986 წელს ჟურნალ „ჰოროხში“ (№ 3, გვ. 71-75) დავბეჭდეთ ვრცელი წერილიც „საბერძნეთის არმიის ქართველი ოლონტიორები“. გაირკვა, რომ ისინი იყვნენ ერემია კონსტანტინეს ძე შევარდნაძე და ვარლამ (მამის სახელი კვლავაც უცნობია) წითლიძე. ერემია შევარდნაძე დაბადებულა 1869 წელს, დაუმთავრებია ქუთაისის კლასიკური გიმნაზია, მოხალისედ წავიდა საბერძნეთში და 10 თვის განმავლობაში მონაწილეობდა თურქეთის წინააღმდეგ ომში. იქვე დაჭრა. როგორც მოხალისე და საპატიო მებრძოლი, მკურნალობდა სამეფო ჰოსპიტალში. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ერემია შევარდნაძე რუსეთის არმიაში მსახურობდა, მიაღწია შტაბს-კაპიტნის ჩინს, 1919 წელს პენსიაზე გავიდა, გარდაიცვალა 1953 წელს.

გადმოცემით, განსაკუთრებული დამსახურებისათვის ე. შევარდნაძე საბერძნეთის მთავრობას დაუჯილდოებია „ძვირფასი ხმლით“ და სპილოს ძვლის ტარიანი ვერცხლის რევოლვერით. რომელსაც „ოქროს ასოებით“ სათანადო წარწერაც ამშვენებდა. აღნიშნული იარაღი ოჯახის რელიქვიად ითვლებოდა, მაგრამ 1924 წლის არეულობის დროს ჩამოურთმევიათ და დაიკარგა.

მეორე ვოლონტიორი ვარლამ წითლიძე ჩოხატაურის რაიონის სოფელ ზომლეთის მკვიდრია. იგი შევარდნაძის ნათლული ყოფილა. ძალზე ახალგაზრდა, თან უცოლშვილო, ამიტომ მშობლებს დიდი სასოებითაც გაუსტუმრებიათ. ქართველები ერთად ჩასულან პირეიში და ერთადვე განაწილებულან მოქმედ არმიაში. დაუზუსტებელი ცნობით, ვ. წითლიძე ერთ-ერთ ბრძოლაში დაიღუპა და იქვე, ელადის მიწაში, დაკრძალეს.

როგორ მოხვდნენ ე. შევარდნაძე და ვ. წითლიძე საბერძნეთის არმიაში? საბერძნეთ-თურქეთის 1897 წლის ომს ფართოდ გამოეხმაურა მსოფლიო საზოგადოება. მან ქართველთა ყურადღებაც მიიპყრო. მაშინდელ ჟურნალ-გაზეთებში („ივერია“, „მოამბე“, „კვალი“) მრავალი თანაგრძნობის წერილიც დაიბეჭდა. ბერძენთა სამართლიანი ომის პროპაგანდით ქართული პრესა ხელს უწყობდა ჩვენში ცარიზმის წინააღმდეგ მიმართულ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაძლიერებას.

საგულისხმოა, რომ პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს (თავ-რე რ. ფირცხალავა, მდივანი ალ. კალანდაძე) დელეგაცია, საბერძნეთის დროშით, მივიდა ამ ქვეყნის ელჩთან და ათენელი სტუდენტებისათვის სოლიდარობის ნიშნად, თანაგრძნობის დეპეშის გაგზავნა ითხოვა. ელჩს ეს აზრი უარუყვია, რადგან დეპეშის გაგზავნა სახიფათო ყოფილა (რუსეთი მაშინ კონფლიქტში არ ერეოდა), მაგრამ სტუდენტებს დაჰპირდა: „გადავცემ პირადად ჩემს მთავრობას თქვენს თანაგრძნობასო“.

მაშინ ზოგიერთ ქართველ ახალგაზრდას გამოუთქვამს შორეულ ელადაში გამგზავრებისა და ბერძენთა ლაშქარში მოხალისედ შესვლის სურვილი. თავიანთი განზრახვა მათ წერილობით გააცნეს ილია ჭავჭავაძეს და გიორგი წერეთელს. გ. წერეთელმა მაშინვე მოიწონა ეს გადაწყვეტილება, დიდმა ილიამ კი, სავსებით სამართლიანად, ზომიერი პოზიცია დაიკავა. „ბერძნებს, — წერდა იგი, — თქვენი თანაგრძნობა... ეამებათ, მაგრამ ბევრს არას არგებს“, თქვენ კი შეიძლება ხიფათში ჩავარდეთო. ამიტომ ბრძნულად ურჩევდა: „უმჯობესია ჯერ ცოდნა შეიძინოთ და უპატრონოთ ქვეყანას“, რომელიც „მოელის თქვენგან ხსნასა და ბედნიერებას“. წერილს ილია შოთასეული აფორიზმით ამთავრებდა: „სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს, ყარგისა მამაცისაგან“ (ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი. ტ. 10, გვ. 143-144).

ამის მიუხედავად, ე. შევარდნაძე და ვ. წითლიძე, 1897 წლის ზაფხულში მაინც გაემგზავრნენ საბერძნეთს და თავიანთი გმირული ბრძოლით ბერძენთა სიყვარული დაიმსახურეს. 1901 წლის 25 აგვისტოს ბათუმში ჩამოსვლისას საბერძნეთის დედოფალმა (იგი ბორჯომს მიემგზავრებოდა დასასვენებლად), პატივისცემით მოიხსენია შევარდნაძე და წითლიძე, რაც დამხვდურ მაღალ ჩინოსნებს ძალიან გაუკვირდათ. მაშინ დედოფალმა ისურვა, უკან დაბრუნებისას მაინც შეხვედროდა მათ (წითლიძის გარდაცვალება მისთვის ცნობილი არ იყო). სამწუხაროდ, მათი შეხვედრის ფაქტი ცნობილი არ არის. თვით სურვილი იმის მაჩვენებელია, რომ ქართველი ახალგაზრდები სახელოვნად იბრძოდნენ მისი სამშობლოს ინტერესებისათვის და შორეულ საბერძნეთში კიდევ ერთხელ ასახელეს საქართველო.

ე. შევარდნაძისა და ვ. წითლიძის მონაწილეობა ელადის განმანთავისუფლებელ ომში ქართველი და ბერძენი ხალხების მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის საყურადღებო ფურცელია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოცნება და სინამდვილე ვიდეოტელეფონზე





დღეს, როცა მსოფლიოში ტელეფონების რიცხვმა 600 მილიონს გადააჭარბა, კავშირგაბმულობის სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ დადგა დრო ტელეფონის ასე ნაცნობი აპარატი თანდათან ვიდეოტელეფონებმა შეცვალოს. დიახ, როცა აბონენტები ისაუბრებენ და თან პატარა ეკრანზე ერთმანეთს დაინახავენ.

შორეულ მანძილზე ვიდეოტელეფონებით ლაპარაკის იდეა მსოფლიოში ერთ-ერთმა პირველმა ცნობილმა ქართველმა მეკავშირემ მათე იანქოშვილმა გამოთქვა თავის წიგნში „ელექტრონი და საოცარი მანქანები", რომელიც ჯერ კიდევ 1895 წელს გამოიცა თბილისში.

აი, რას წერდა ამ წიგნში ქართველი მეოცნებე: „ვთქვათ, ქმარი წავიდა სამოგზაუროდ და უკვე ჩინეთის სატახტო პეკინშია, ცოლი კი შინ დარჩა, ვთქვათ, თბილისში. ახლა უნდათ, რომ ერთმანეთის ამბავი გაიგონ, მივა ცოლი აპარატთან, რომელიც მაგიდაზე დგას, დარეკავს ზარს, დაუძახებს ცენტრალურ სადგურს და ეტყვის: „შემაერთეთ ჩინეთში პეკინთან". ისიც შეაერთებს თუ არა, უპასუხებს: „მზად გახლავთო". ცოლი მეორედ დარეკავს ზარს და პეკინში მყოფ ქმარს დაუძახებს. ქმარი მივა აგრეთვე აპარატთან, შეხედავს და თავის ცოლს დაინახავს თბილისში, რომელიც ისე არხეინად ზის მკლავზედ დაყრდნობილი, თითქოს ერთად ერთს ოთახში სხედან და ისე მუსაიფობენ".

წიგნში მოთავსებულ ნახატზე გამოსახულია თანამედროვე გადამცემი ტელეკამერის მსგავსი პატარა ხელსაწყო, საიდანაც სამი სადენია გაჭიმული, ჩინეთში მყოფი ქართველი კაცი მეუღლეს მრგვალი ფორმის ეკრანზე უყურებს.

საინტერესოა, რომ შორს მანძილზე გამოსახულების და ლაპარაკის გადაცემაზე ერთ დროს ილია ჭავჭავაძის რედაქტორობით გამომავალი გაზეთი „ივერიაც" ოცნებობდა.

აი, რას წერდა 1889 წელს „ივერია": „ამ ტელეფონის გარდა, რომლის შემწეობითაც დიდს მანძილზედ შეიძლება მოლაპარაკება, არის აგრეთვე ისეთი ტელეფონიც, რომელიც ნახატს გადასცემს ერთის ადგილიდან მეორე ადგილზე, ასე რომ ნიუ-იორკიდგან შეიძლება პარიზში ოთახი და ოთახის მოწყობილობა დაინახოს კაცმა".

დიახ, „ივერია" მაშინ, რასაკვირველია, ოცნებობდა.

და აი, ამ ოცნების კიდევ უფრო კონკრეტული მაგალითი:

„სადილის დროს ბ-ნმა სმიტმა ფოტოტელეფონის საშუალებით გადაჰხედა პარიეს. დაინახა, რომ მისი ცოლი სადილად ჰზის პარიზში და დიდად უკმაყოფილოა მარტოობით.

— მითხარი, თუ ღმერთი გწამს, ჩქარა დაბრუნდები სახლში? — ეკითხება ბ-ნი სმიტი.

— დღეს საღამოს, — უპასუხებს ცოლი.

— ძალიან კარგია, რით წამოხვალ-მილით, თუ ჰაერის მატარებლით.

ბრგე ბიჭმა გამარჯვებული თვალი მოავლო იქ მყოფთ, ბეჭები გაშალა და ბრძანებით დაიძახა:

— მაშინ მოშორდეს მანდაურობას! ჰეი, ნათლიდედ, ადგილი გაწმინდე!

ქალი მორჩილად მოწყდა სალაროს.

— არ გამოგივიდა? — მკერდი გამობრიქა ბრგე ბიჭმა. — მიდი, მიდი, იმათ ეახლე, ვინც მოგიყვანა, ეგებ იმათ მოგცენ.

— იცინე, იცინე! — ძლივს გახსნა ჩათეთრებული ტუჩები ქალმა. — ავადმყოფი შვილებთან მივდივარ... ფული სადა მაქვს... რაც გამაჩნდა, ვზოგავდი. ორი დღეა ლუკმა პირში არ ჩამსვლია...

რიგი დუმდა, სახეს ქუშად მალავდნენ, სხვისი უბედურების გაგონება არავის სურდა. ბარგაკიდებული გლეხი დარცხვენილი იშმუშნებოდა, ახველებდა.

— აბა, ნუ გაუტიე აქა, — გამოძვრა ვიღაც ბებერი ქალი, ცხვირსახოცი გახსნა, შიგ მოიქექა და მანეთიანი ამოიღო.

— რამდენი გაკლია? ბევრი არა, ხომ?.. აიღე, გეთაყვა, ეგებ სხვამაც მოგცეს. მეტი არ შემიძლია...

ბარგიანმა გლეხმა ჩაახველა და ჯიბეში ჩაიყო ხელი.

— მართალს ამბობს, გოგო, თითო აცმა ძაფით პერანგი მოიქსოვაო. მეც შვილებთან მივდივარ. საჭმელი მიმაქვს... აიღე-მეთქი, როცა გაძლევენ!

ქალი გაუნძრევლად იდგა, ლოყებზე ცეცხლი ეკიდა.

— მათხოვარი ხომ არ არის! — დაიბუხუნა ვიღაცამ, — ჩამოიარე რიგი და შეაგროვე!

— სწო-რია, ორგანიზაციაა საჭირო, — დაირტყა მუხლზე ხელი ბრგე ბიჭმა, მერე ქუდი გადაიძრო, შიგ ხუთმანეთიანი ჩააგდო და ბებერი ქალისაკენ გაგზავნა.

— ჩააგდე, ბები, შენი მანეთიანი! შენც, ბიძია! მოქალაქენო! ვისაც გული აქვს!... გასაჭირში ვინ არ ყოფილა... გმადლობთ! დიდი მადლობა! კიდევ მადლობა!..

ქალი ძირს იყურებოდა, ლოყები აფორაჯებოდა და ცრემლებით მორწყოდა.

იმ ბრგე ბიჭმა ბილეთი აიღო და გაემგზავრა. მერედა რა: ვითომ სხვა კაცი გახდა. უფრო გულისხმიერი? ამის გაფიქრება მიამიტობა იქნებოდა. რა თქმა უნდა, ისევ ისეთი დარჩა.

მაგრამ ის თუ ისეთ ადამიანთა გარემოცვაში მოხვდა, რომელიც იძულებულს გახდის წლიდან წლამდე გულისხმიერად და არა თავხედურად მოიქცეს, მაშინ ალბათ გულისხმიერება ჩვევად გადაექცევა, ჩვევა ხასიათად და, პიროვნებაც შეიცვლება.

გიყვარდეს მოყვასი შენი, არა ჰკლა, არა იცრუო!.. წინასწარმეტყველები და პოეტები, პედაგოგები და ფილოსოფოსები საუკუნეთა მანძილზე სხვადასხვა ხმაზე ასე მოუწოდებდნენ კაცთ: სრულიქმენ თავი შენი, ბუნება შენი!

ძალიან მინდა სრულვიქმნა თავი ჩემი, მიყვარდეს, არა ვკლა, არა ვიცრუო, მაგრამ საკმარისია შეურიგებელი ანტაგონიზმით აღსავსე საზოგადოებრივ წყობაში მოვხვდე, რომ მძვინვარე სიძულვილი მეუფლება. ომია და, მეც მკვლელი ვხვდები. სახელმწიფო სისტემას დიქტატორი გამოჰყავს ასპარეზზე, რომელიც ხალხს ციხეებში ჰყრის და სჯის, მონურ მორჩილებას აიძულებს. მე ყველაფერს ვხედავ და ვდუმვარ, ზოგჯერ ვადიდებ კიდეც — მამა და მასწავლებელი, კაცობრიობის გენია! ერთსა და მეორე შემთხვევაში ვცრუობ და სხვაგვარი მოქცევა არ ძალმიძს.

— სრულიქმენ თავი შენი,—მორალისტების ამ კეთილგონივრულმა მოწოდებებმა. დიდი ხანია დაამტკიცა თავისი უძალობა.

ჩვენ ყველანი ერთმანეთზე ვართ გადაჯაჭვულნი, ერთმანეთზე ვართ დამოკიდებულნი, ცალკე არსებობა არ შეგვიძლია, ამიტომაც სრულქმნის შეძლება ჩვენს არსებაში არ ბუდობს: ჩემი — შენშია, შენი — ჩემში!

იქნებ აქედან უნდა დაიდოს დასაბამი იმ აზრმა, ჩვენს ყოფიერებას რომ შეცვლის?

თარგმნა **რუსუდან ქებულაძემ.**

— რასაკვირველია, მილით.
— რა დროს იქნები აქა?
— თერთმეტ საათზედ".

ასე წარმოიდგენდა გაზეთი „ივერია" დღევანდელი ვიდეოტელეფონის წინამორბედით საუბარს.

და აი, მრავალი წლის შემდეგ თანდათან სრულდება მათე იანქოშვილისა და ილიასეული „ივერიის" დიდი ოცნება.

და ეს ყველაფერი იმის წყალობით, რომ მეცნიერებმა და ინჟინრებმა დაამზადეს სინათლისგამტარები, რომლებშიც დენის ნაცვლად ლაზერის სხივი „მოგზაურობს".

ლაზერს სხვა მრავალ შესანიშნავ თვისებებთან ერთად ახასიათებს ერთი შეხედვით კიდევ უფრო დიდი საოცრება — მისი დახმარებით შესაძლებელია გადაიცეს ინფორმაცია უდიდესი რაოდენობით.

თითქოს მკვდრეთით აღსდგა სინათლე, როგორც კავშირგაბმულობის საშუალება. ჩვენი წინაპრების მიერ ანთებული სასიგნალო კოცონის სინათლის სხივი გარდაიქმნა უწვრილეს ლაზერის სხივად და ცდილობს პირველი ადგილი დაიკავოს კავშირგაბმულობის საშუალებათა შორის. დღეს ლაზერის სხივს შეუძლია კონკურენცია გაუწიოს რადიოტალღებს, რადიოსარელეო ხაზებს და ასობით სპილენძის სადენიან ტელეფონის კაბელებს.

ლაზერის განსაკუთრებულება იმაშია, რომ მისი გამოსხივებული ტალღების სიგრძე მხოლოდ და მხოლოდ 0,7 მიკრონია მაშინ, როცა ყველაზე მოკლე რადიოტალღებს რამდენიმე სანტიმეტრი სიგრძე აქვთ, ესე იგი ლაზერს დაახლოებით 10000-ჯერ ნაკლები სიგრძის ტალღები გააჩნია. ალბათ იკითხავთ, რატომ არის საინტერესო, რაც შეიძლება მოკლე ტალღები? თურმე, რაც უფრო მოკლეა ტალღები, მით უფრო მეტი რაოდენობის სატელეფონო საუბარია შესაძლებელი ერთდროულად. აბა, წარმოიდგინეთ, თეორიული გაანგარიშებით ლაზერის დახმარებით ერთდროულად ათობით სატელევიზიო პროგრამა გადაიცემა. რაც შეეხება სატელეფონო ლაპარაკს, მისი რაოდენობა ასტრონომიულ ციფრს — 10 მილიარდს აღწევს. დიახ, დედამიწის ყველა მცხოვრებს შეუძლია ტელეფონის ყურმილი აიღოს და ერთმანეთს გაესაუბროს. მართლაც გასაოცარია არა? — ერთი წვრილი სხივის დახმარებით.

და აი, გადაწყდა, ლაზერის სხივი „გაამგზავრონ" სინათლის გამტარში. თქვენ უკვე იცით, რომ ეს ამოცანა წარმატებით განხორციელდა. ამისთვის დიდი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა ჩატარდა.

საჭირო იყო, თუნდაც „სუფთა" მინის ძაფების დამზადება სინათლის გამტარებისთვის, რომელსაც არ ექნებოდა სხვადასხვა ელემენტების პაწაწინა მინარევებიც კი.

ამ საკითხზე ბევრი იფიქრეს და იმუშავეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტში ლენინური და ნობელის პრემიების ლაურეატის აკადემიკოს ა. მ. პროხოროვის ხელმძღვანელობით. საბჭოთა მეცნიერების მიერ შექმნილ მინის სადენებში სინათლის ძალა კილომეტრზე მხოლოდ სამჯერ მცირდება. ეს დიდი მიღწევაა, ხოლო დამზადების ტექნოლოგიის შესაძლებლობანი ჯერ კიდევ ამოწურული არ არის.

და აი, როცა სავსებით ცხადი გახდა, რომ სინათლის სადენებს დიდი შესაძლებლობები შეექმნათ, მეცნიერებმა და ინჟინრებმა მათში მიმართეს ლაზერის სხივი.

როგორ გამოიყენებიან სადღეისოდ სინათლის გამტარები?

ახლახან მოსკოვში ექსპლოატაციაში გადაეცა ოპტიკური კაბელები, რომლებშიც სატელევიზიო გამოსახულებები გადაეცემა. დიახ, ახლა მოსკოვის ერთ-ერთი სახლის მაცხოვრებლები სატელევიზიო პროგრამებს უყურებენ არა ბინებში, ან სახურავებზე დადგმული ანტენების მეშვეობით, არამედ უწვრილესი სინათლის გამტარების გამოყენებით.

საბჭოთა სპეციალისტების მიერ დამუშავებული ოპტიკური კაბელები გამოიყენება მოსკოვის, ლენინგრადის და ... სატელეფონო ქსელებში ... ტელეფონის სადგურებს შორის შემაერთებელი ხაზების რაოდენობის გაზრდის მიზნით.

სინათლის გამტარები გამოიყენეს საფრანგეთში ვიდეოსატელეფონო კავშირების დასამყარებლად.

ვიდეოსატელეფონო კავშირების მოწყობის ექსპერიმენტები უახლოეს წლებში სულ უფრო ფართო მასშტაბებს მიიღებს მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში. ამ პროცესს უსათუოდ ხელს შეუწყობს თვით სინათლის გამტარების დიდი რაოდენობით გამოშვება და მისი ტექნოლოგიის შემდგომი გაუმჯობესება. ვიდეოსატელეფონო კავშირები იმუშავებენ არა მარტო ქალაქების ფარგლებში, არამედ საქალაქთაშორისო სატელეფონო კავშირების დროსაც.

2000 წლისათვის ვიდეოტელეფონები, ალბათ, თანდათან გვერდში ამოუდგებიან ჩვენთვის ასე კარგად ნაცნობ ტელეფონის აპარატებს.

და ამაში თავისი დამსახურება სწორედ სინათლის გამტარ ძაფებს და მათში გამავალ ლაზერის სხივებს ექნება.

უკვე 1990 წლამდე „ესტუმრებიან" ოპტიკური კაბელები ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის სატელეფონო ქსელს და მიწისქვეშ გაყვანილ სადენებს ლაზერის სხივები გაჰკვეთენ — ბონენტებს სინათლით შეაერთებენ ერთმანეთთან. სინათლის გამტარები მკვეთრად დაიჩქარებენ სატელეფონო ქსელების გაფართოებას, ქალაქების ახალი თუ ძველი რაიონებისა და მიკრორაიონების ტელეფონიზაციას. გააუმჯობესებენ ტელეფონების მუშაობას. ასევე მოხდება შემდგომ ქუთაისში, ბათუმში, სოხუმსა და რესპუბლიკის სხვა ქალაქებში.

ანდრე კარგელაშვილი.

ნუთუ მართალია?

● მადმუაზელ ჰოლერის (1881-1939) წელის გარშემოწერილობა 12 დიუმი (33 სანტიმეტრი) იყო. კატერინ დე მედიჩმა ბრძანება გასცა, სამეფო კარზე ყველას ასეთი წერწეტა ტანი უნდა ჰქონდესო. როგორც ცნობილია, მე-16 საუკუნის ქალები წვრილი წელითა და მოხდენილი აღნაგობით გამოირჩეოდნენ. ალბათ, ყველამ მაინც ვერ შეძლო დედოფლის ბრძანების შესრულება.

● 2,400 დონორული ერთეული (1,080 ლიტრი) სისხლის გადასხმა დასჭირდა 50 წლის ვარენ ს. იურიხს (1970) გულის ღია ქირურგიის ჩასატარებლად. მიზეზი ის გახლდათ, რომ ავადმყოფს ჰქონდა ჰემოფილია, რაც ხელს უშლის სისხლის ნორმალურ შედედებას. მამაკაცთა დაავადებაა, თუმცა ქალებიდან ვრცელდება.

● ვიკი მერი დევისი თითქმის მკვდარი იპოვეს ციო ოთახში, როდესაც ტემპერატურა ფარენგეიტის მინუს 24 გრადუსამდე დაეცა. საავადმყოფოში მიყვანისას კი მისი სხეულის ტემპერატურა 60.8 გრადუსს შეადგენდა. ექიმებს დასჭირდათ 12 საათი, 2 წლის უსუსური ბავშვი რომ მოესულიერებინათ.

კრუიფის „შეგონებები"

ბარსელონის გაზეთმა „სპორტმა" გამოაქვეყნა წარსულში გამოჩენილი ოსტატის, ახლა კი ცნობილი მწვრთნელის, იოჰან კრუიფის „შეგონებები" თავისი ფეხბურთელებისადმი. კრუიფი „ბარსელონას" უდგას სათავეში და ესპანეთის ჩემპიონობისათვის იბრძვის.

— ყველაფერი იერიშისათვის!
— თამაშმა სიამოვნება უნდა მოგანიჭოს!
— ჭეშმარიტება კოლექტიურ თამაშშია!
— გონიერი ყველაფერს მიაღწევს!
— ბურთს კარგად დაეუფლე!
— რიტმის შეცვლა უნდა შეგეძლოს!
— პარტნიორს არასოდეს არ უნდა უმტყუნო!
— შემთხვევითი შესაძლებლობებიც უნდა გამოიყენო!
— იცოდე, სად იმყოფება პარტნიორი!
— იმ სქემას მისდიე, მწვრთნელმა რომ შეგასწავლა!
— „მოახრჩე" მეტოქე!
— გამოიყენე მეტოქის შეცდომები!
— ყველამ თავისი ამოცანა უნდა იცოდეს.
— ფეხბურთელი ბურთზე სწრაფი ვერ იქნება.
— ისწავლე ძალების დაზოგვა.

ტაისონი ურტყამს... თოჯინას

როგორც სოფიის გაზეთი „ნაროდენ სპორტი" წერს, ამერიკის პრეზიდენტობის კანდიდატთა შარშანდელი საარჩევნო კამპანიის დროს თავისებური მონაწილეობა სპორტსმენებმაც მიიღეს. ზოგჯერ ეს მონაწილეობა კომიკურ ელფერსაც კი იღებდა.

ლოს-ანჟელესში საარჩევნო კამპანიის ჩატარების დროს პრეზიდენტობის კანდიდატ მაიკლ დუკაკისს თან ახლდა მსოფლიო ჩემპიონი მძიმე წონის პროფესიონალ მოკრივეთა შორის მიკ ტაისონი. იმპროვიზებულ რინგზე იგი შეხვდა „თოჯინას, რომელსაც დუკაკისის მეტოქის ბუშის გარეგნობა ჰქონდა" და... ნოკაუტში გაისტუმრა იგი. სინამდვილეში კი, დაასკვნის გაზეთი, როგორც ცნობილია, სულ სხვანაირად მოხდა: პოლიტიკურ „რინგზე" ბუშმა სძლია დუკაკისს.

რეიგანი — სპორტული კომენტატორი?!

სოფიის „ნაროდენ სპორტის" ცნობით, ორი ამერიკული რადიოსადგურის ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ, თუ აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტი რონალდ რეიგანი მოისურვებს მათთან კონტრაქტის დადებას, გასამრჯელოდ 100 ათას დოლარს მიიღებს. ამ შემთხვევაში რეიგანი სპორტული კომენტატორი უნდა გახდეს (როგორც დაიწყო კიდეც ახალგაზრდობაში თავისი საქმიანობა) და ყოველდღიურად კომენტარს გაუკეთებს აქტუალურ სპორტულ მოვლენებს.

გივი გამრეკელი

ჯვრიანი



თარაზულად: 5. უმაღლესი სამეცნიერო სასწავლო დაწესებულება. 7. გამოჩენილი ქართველი მათემატიკოსი და მექანიკოსი, ნოვოსიბირსკის და თბილისის უნივერსიტეტის რექტორი. 8. ნ. დუმბაძის ნაწარმოების პერსონაჟი. 11. წელში გამოყვანილი ჩოხის ქვეშ ჩასაცმელი მამაკაცის სამოსელი. 13. ზღვის თევზი. 15. გზატკეცილი. 17. იონიზებული გაზი, სისხლის თხევადი ნაწილი. 19. ნოტიო და ჩახურებული ფქვილი. 20. საბჭოთა ენათმეცნიერი, რომელმაც დიდი ამაგი დასდო ქართულ სასულიერო და საერო მწერლობას და კულტურის საკითხების შესწავლას. 23. ზმნის მოქმედებითი გვარი. 24. საჭრელ და ძირითად კბილებს შორის მოთავსებული კბილი. 26. სოფელი, მდინარე ენგურის შესართავთან. 28. ობობას მსგავსი შხამიანი ცხოველი. 29. ნ. დუმბაძის ნაწარმოების პერსონაჟი. 30. საგრილებელი. 32. მეცნიერი, რომელიც სწავლობს გადაშენებულ ცხოველებსა და მცენარეებს.

შვეულად: 1. ფრინველის ან მწერის ბინა. 2. ბალახოვანი მცენარე. 3. ფუტკრის მსგავსი მწერი. 4. სიცოცხლისა და ცოცხალი ორგანიზმების განვითარების კანონზომიერებების შემსწავლელი მეცნიერება. 6. მატყლის ან ბამბის მკვრივი ქსოვილი. 9. ქართველი ენათმეცნიერი, თსუ პირველ პროფესორთა კოლეგიის წევრი. 10. ქართველი არქიტექტორი, ახლანდელი თსუ შენობის პროექტის ავტორი, და მისი მშენებლობის ხელმძღვანელი. 12. წარსულში ერთ-ერთი ქართველური ტომის წარმომადგენელი. 14. ფილოსოფიური ან სამეჯნიერო ხასიათის ოთხსტრიქონიანი ლექსი სპარსულ ან ტაჯიკურ პოეზიაში. 15. ქართველი ენათმეცნიერი თსუ ერთ-ერთი ფუძემდებელი. 16. შესასრულებელი სამუშაოს ანგარიშში თანხის წინასწარ გადახდილი ნაწილი. 18. თავდავიწყებით გატაცება. 21. ჭადრაკის ფიგურა. 22. მკურნალობის ღმერთი რომაულ მითოლოგიაში. 25. მცირე ფორმის თეატრი. 27. ჩრდილო დასავლეთისა და კავკასიის აბორიგენი ხალხის წარმომადგენელი. 28. ერთ-ერთი დუგმა, ანჯამა. 31. ერთხმიანი სიმღერა.

კროსვორდი შეადგინა ციალა ამაშუკელმა

მე-5 ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

ჰორიზონტალურად: 9. ჰაისერერი; 10. დარასელია; 12. ტრიკოტაჟი; 13. ზონინი; 14. ალეირი; 15. ილინი; 16. სანაია; 18. სიდნეი; 22. სემიბრატოვო; 23. აბსტინენცია; 24. ბულინი; 27. ილიადი; 31. დეინა; 34. არენდა; 35. გიბონი; 36. გულძმარვა; 37. ბანდეროლი; 38. ამფიბოლია.

შვეულად: 1. აჰვაზი; 2. ტირანია; 3. კრსტიჩი; 4. ბრეიდი; 5. მარანი; 6. ხარიანი; 7. ალავიძე; 8. დაფნია; 11. პოლიპერსონალიზმი; 17. არსენალი; 19. დვორუაკი; 20. ზიგოტა; 21. ატლონი; 25. ესენინი; 26. ნიაგარა; 28. ლეგაცია; 29. დროსელი; 30. მაკაბი; 31. დალალი; 32. აბრამი; 33. ბილბაო.

გარეკანის პირველ გვერდზე. ნუცა და გურთი. ფოტოეტიუდი ბონდო დვალიშვილისა.

„ანსამბლი-55“

ეროვნული ბიბლიოთეკა

იანვრის ის მშვენიერი საღამო დიდხანს ლამაზ მოგონებად შემორჩება მათ მეხსიერებას.

ეს იყო ძველ არბატზე, სადაც საქართველოს კულტურის ცენტრის განახლებულმა კერამ „მზიურმა“ გულთბილად გაუღო კარი თბილისელ მოსწავლეებს.

დადგა უველაზე ამაღელვებელი წუთები. დარბაზში გაისმა ქართული საცეკვაო მელოდიები. ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი პატარა მოცეკვავეები თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ სილაღესა და მოხდენილობაში, სინაზესა და სინატიფეში. ქართული ხელოვნების თაყვანისმცემლები დიდხანს აჯილდოვებდნენ ნორჩებს მხურვალე ოვაციებით, ტაშითა და ყვავილებით.

ვინ მოთვლის, რამდენი ასეთი შინაარსიანი და სიცოცხლით აღსავსე დღეები გაუტარებიათ ერთად თბილისის 55-ე საშუალო სკოლის (დირექტორი ოთარ ლომიძე) ქორეოგრაფიული ჯგუფის წევრებს. მათ „ქართულსა“ და „სვანურს“, „ყაზბეგურსა“ და „ქალ-ვაუთა მოხევურს“, „ნარნარსა“ და „აჭარულს“ არაერთხელ ჰქონია საგულისხმო წარმატებები არა მარტო ჩვენს რესპუბლიკაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

სასკოლო და სარაიონო, საქალაქო და რესპუბლიკური ოლიმპიადის მრავალგზის მონაწილეები, ასევე პირნათელი წარდგნენ საქვეყნოდ ცნობილი მოსკოვის ლიხაჩოვის სახელობის საავიაციო ქარხანასა და კინოთეატრ „კოსმოსში“ თავშეყრილი ათასობით მაყურებლის წინაშე. კოსმონავტების ქალაქ ზელენოგრადში გამართულმა კონცერტებმა კი ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. სწორედ ხელახალი შეხვედრის სურვილმა გადააწყვეტინათ მასპინძლებს ისევ მიეწვიათ ნორჩი ქართველი მოცეკვავეები ამ ქალაქის დღესასწაულზე.

წარმატებებს 55-ე სკოლელებმა, უპირველეს ყოვლისა, მზრუნველი ხელმძღვანელების დიდი შრომისა და ამაგის ფასად მიაღწიეს. ოთხიოდე წლის წინ მოვიდა ამ სკოლაში საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის წევრი მოცეკვავე, ქორეოგრაფი ფილფან გულბიანი.

თავდაპირველად თითო-ოროლას თუ გაუჩნდა სურვილი ცეკვის შესწავლისა, მაგრამ მასწავლებლის ენთუზიაზმი და თავისი საქმისადმი ფანატიკური მიდგომა რომ დაინახეს, მსურველებიც მომრავლდნენ. იხვეწებოდა ილეთები, თანდათან უფრო მოქნილები და ელასტიკურები ხდებოდნენ პატარები.

ისიც უნდა ითქვას, რომ ქორეოგრაფია ხელოვნების ერთ-ერთი უძველესი და რთული დარგია. იგი დიდ ძალისხმევასა და რუდუნებას მოითხოვს. ქორეოგრაფია ადამიანის სულიერი სფეროს სრულყოფასა და განვითარებას ემსახურება. მისი მიზანია ლტოლვა ჭეშმარიტების, სიკეთისა და სილამაზისადმი. ფ. გულბიანის აღსაზრდელებს ეს გრძნობები ჭარბად აქვთ მომადლებული. მათ იციან ნამდვილი მეგობრობა და სიყვარული, ერთმანეთის მხარდამხარ დგომა და ერთმანეთის გატანა, ურომლისოდაც ხელოვნება დაკარგავს თავის დანიშნულებას.

ამ კეთილი საწყისების გაღვივებასა და გაღრმავებაში დიდად ეხმარებათ ამავე სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე, ქალბატონი ლეილა დოლიძე, რომელიც მუდამ პატარების გვერდით ტრიალებს და ზრუნვასა და ყურადღებას არ აკლებს თითოეულ მათგანს.

გვიან საღამომდე არ ქრება შუქი 55-ე სკოლის სარეპეტიციო დარბაზში. იხვეწება ილეთები. იდგმება ცეკვები, საუბრობენ მომავლის გეგმებზე.

წინ კვლავ საინტერესო მოგზაურობებია. მალე ლენინგრადს ეწვევიან, შემდეგ კი... უფრო შორეულ მიზნებზე ოცნებობენ — საზღვარგარეთ აპირებენ გამგზავრებას. გვჯერა, იქაც ღირსეულად გაიტანენ ქართველი ერის კულტურასა და ხელოვნებას.

ნურც მოკლებოდეთ ლამაზი მიზნებისა და ოცნებების ახდენა.

ნუნუ კუპრეიშვილი.

გადაეცა წარმოებას 3.05.89. ხელმოწერილია დასაბეჭდად 31.05.89. უე 09324 ქაღალდის ზომა 70×108 1/8. გარეკანი, ჩანართი და ტექსტი იბეჭდება ოფსეტური წესით. ფიზიკური ფურცელი 3, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 4,2, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,69. ტირაჟი 50.000 შეკვეთა 1024. ფასი 35 კაპ.

380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» («Знамя»), (на грузинском языке). 380096, Тбилиси, ул. Ленина, 14. Типография издательства ЦК КП Грузии.

Адрес редакции: 380008, Тбилиси, 8, пр. Руставели, 42.

380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-54-66, პ/მგ. მდივნის — 99-82-69, განყოფილებათა გამგეების 9328-42, 99-01-39, რედაქციის სამდივნოსი — 99-54-66.

რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1 ივნისი ბავშვთა დაცვის
საერთაშორისო დღეა



ინდექსი 76056
ეროვნული
ბიბლიოთეკა